„დილა ამ გაზეთის გადაშლით დაიწყეთ...“

# საქართველოს რესპუბლიკა

ორშაბათი
23 ივნისი,
2003 წელი
№163
(4542)

გაზეთი დაარსებულია 1918 წლის 25 ივლისს, აღდგენილია 1990 წელს. ფასი 50 თეთრი.

სს „საქართველოს რკინიგზა“
The Georgian Railway Ltd

სნსკ
საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაცია
Georgian International Oil Corporation

თვალსაწიერი

## ყველა სტუმარი როდია ღვთისა!..

**ტელევიზიის ხიბლი ის არის, რომ იქ გამოსული კაცი შენი ოჯახის სტუმარია (ისე, ყველა კაცი ოჯახში არ შეიშვება), სტუმარი კი იმისაა, რა გინდ სისულელეს ლაპარაკობდეს, უნდა უსმინო, მაშ რის მასპინძელი ხარ. მაგრამ არის მომენტი, ყველა პირობითობას მიაფურთხებ და ტელევიზორს გამორთავ: ყველა სტუმარი როდია ღვთისა!**

მოგეხსენებათ, თბილისის საკრებულოს თავმჯდომარე ორატორი კაცია, ენა ალესილი აქვს და მახვილივით იქნევს, ოღონდ იმას აღარ დაგიდევთ, რამდენად სწორად იქნევს და სწორად ჭრის.

მაგრამ მე მაინც მგონია, რომ ეს იმდენად თვით სააკაშვილის ბრალი არ არის, რამდენიც იმ გარემოცვისა, მას რომ არტყია და შეჰხარის.

ეს გარემოცვა მისგან ყოველ წუთს „სენსაციას“ ელოდება, რათა ლოზუნგად აიტაცოს და ირგვლივ მყოფთ შეებას.

ვფიქრობ, ასეთი წარმომავლობისაა ბატონი მიხეილის ბევრი დიდი აღმოჩენა.

თვითონ განსაჯეთ. გამობრძანდა იმ დღეს ტელევიზიით და დელფოს მისანივით მოჭრა, ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენს საქართველოს ხაზინაში ერთი თეთრის საღირალი არაფერი შეუტანიაო.

ეს დაახლოებით ის შემთხვევაა, ვინმე ფანატიკოსი რომ მოგახლის, დედამიწა ბრტყელია და ხარის რქაზე დგასო.

მაგრამ იმ არამკითხე ასტრონომისგან განსხვავებით, რომლის შემოძახება უბრალოდ ღიმილს მოგგვრის და მეტი არაფერი, ბატონ მიხეილის განცხადება სხვა კატეგორიის მოვლენაა, სხვა გავლენა აქვს თავის თაყვანისმცემლებზე.

ჰოდა, გაამხილა ბატონმა მიხეილმა ეს ეკონომიკურ-პოლიტიკურად საჯაყი ამბავი და ატყდა ჩურჩულ-პუტუნი.

იხ. მე-2 გვ.

მეზობლებთან

## «ნაყოფისაგან საცნაურ არს სიკეთე ხისაი»



## ისტორიულ ტაო-კლარჯეთში ქართველ მეცნიერთა ექსპედიციის კვალზე

ასფალტირებული ტრასა ტბის ნაპირს მიუყვებოდა. ყოველ მოსახვევში ველოდებოდით, რომ აი აქ, ან ცოტა იქით დამთავრებოდა კლდეთა შორის მოქცეული ეს ცისფერი წყალსაცავი.

არ მთავრდებოდა.

ძალიან ჰგავდა ხელოვნურს. დავასკვენით, რომ ასეც არის და, რა თქმა უნდა, შევცდით: ეს იყო ტბა, ბუნებრივი, ოღონდ გაცილებით ახალგაზრდა იმ მონასტერთან შედარებით, რომლის მოსახილველადაც მივდიოდით 18 მაისს 2003 წლისა.

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „სრ“ № 152, 153, 159.

იხ. მე-3-4 გვ.

დაჯილდოება

## საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება

2003 წლის 21 ივნისი ქ. თბილისი

### ნანული სარაჯიშვილის ღირსების ორდენით დაჯილდოების შესახებ

ქართული თეატრისა და კინოხელოვნების განვითარებაში შეტანილი პირადი დიდი წვლილისათვის, ნაყოფიერი შემოქმედებითი და საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის თანამედროვე ქართული კინოს პოპულარული მსახიობი, სახასიათო როლების უბადლო შემსრულებელი, თბილისის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური დრამატული თეატრის მსახიობი, საქართველოს დამსახურებული არტისტი **ნანული სარაჯიშვილი** დაჯილდოვდეს ღირსების ორდენით.

ედუარდ შევარდნაძე.

წერილი

საერთაშორისო სავალუტო ფონდი
ვაშინგტონი, კოლუმბიის ოლქი 20431

13 ივნისი, 2003 წ.

## ბატონ ავთანდილ ჯორბენაძეს საქართველოს სახელმწიფო მინისტრს

პატივცემულო ბატონო ავთანდილ!

**მადლობელი გახლავართ თქვენი ა. წ. 12 ივნისის წერილისათვის, რომელშიც დეტალურად არის აღწერილი საქართველოს მიერ მიღწეული წინსვლა სავალუტო ფონდის პროგრამის მოთხოვნილებების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით. მოხარული ვარ, რომ საქართველოს ხელისუფლებამ მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა პროგრამით გათვალისწინებული პირობების შესრულების საქმეში.**

იხ. მე-2 გვ.

**ედუარდ და ნანული შევარდნაძეები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ მოულოდნელად გარდაიცვალა შესანიშნავი პიროვნება, სათნო ქალბატონი**

**მაგული გოგიტიძე – აბაშიძისა**

**და სამძიმარს უცხადებენ ასლან აბაშიძეს და ოჯახის ყველა წევრს.**

პარლამენტის თავმჯდომარე

## ისრაელში – ოფიციალურ ვიზიტად

პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე პარლამენტის თავმჯდომარის რანგში პირველი ოფიციალური ვიზიტით დღეს ისრაელში გაემგზავრება.

ისრაელში ბურჯანაძე ისრაელის პრეზიდენტს მოშე კაცავს, პრემიერ-მინისტრს არიელ შარონს, საგარეო საქმეთა მინისტრს, პარლამენტის (კნესეტის) თავმჯდომარეს აბრაამ ბურგს, საქართველო-ისრაელის პარლამენტების მეგობრობის ჯგუფს და დეპუტატებს შეხვდება.

ოფიციალური ვიზიტი 27 ივნისს დასრულდება.

ინტერ-პრესი.

რეგულარული, კვირაში ერთხელ, სახაზო გემით ტვირთების კონტეინერებით გადაზიდვა მარშრუტით:
ფოთი – ოდესა (ილიჩოვსკი) – ფოთი
ინფორმაციის მიღება შესაძლებელია:
თბილისი – (995 32) 227223, ფაქსი 221129,
Email: barwilt@access.sanet.ge;
ფოთი – (995 393) 71681/82, ფაქსი 71685/86,
Email: elglch@barwilpti.com.ge;
ოდესა (ილიჩოვსკი) – (380 482) 345912, 346027, ფაქსი 346141, Email: barwilt.odessa@barwil.com;
კიევი – (38044) 229 8539, ფაქსი 228 3036,
Email: aosadchiy@barwil. kiev.ua.

ინტერპანორამა

ირანელი მოჯაჰედების ლიდერის მეუღლეს მარიამ რაჯავის საფრანგეთის მართლმსაჯულებამ წინასწარი პატიმრობა მიუსაჯა. მას ბრალად დასდეს ტერორისტულ საქმიანობასთან კავშირი.



ავღანეთ-პაკისტანის საზღვარზე დაიწყო თალიბთა გასანადგურებლად გამიზნული მასშტაბური ოპერაცია. ამერიკელები აპირებენ საზღვრის გადაკეტვას, რათა შეაჩერონ თალიბთა რაზმების, მათი „ალყაიდელი“ მეკავშირეებისა და ყოფილი პრემიერის მომხრეთა გადაადგილება.



ერაყის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში, ბაღდადიდან 140 კილომეტრზე, აფეთქდა ნავთობსადენი. ფაქტის გამომწვევ მიზეზებს სწავლობენ. მანამდე ნავთობსადენი აფეთქდა ოპეკის კიდევ ერთ წევრ ქვეყანაში – ნიგერიაში, რამაც გუშინდელი მონაცემებით, 125 კაცი იმსხვერპლა.



ისრაელის სპეცსამსახურებმა დაპატიმრების მცდელობისას მოკლეს „ჰამასის“ კიდევ ერთი ლიდერი აბდულა კავასმე. იგი ითვლებოდა, იერუსალიმში მომხდარი ტერაქტის ორგანიზატორად, რომელმაც 17 ადამიანი შეიწირა.

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

სახელმწიფო
საქართველოს რესპუბლიკა
№ 163, ორშაბათი, 23 ივნისი, 2003 წელი.

წერილი

# ბატონ ავთანდილ ჯორბენაძეს საქართველოს სახელმწიფო მინისტრს

(პირველი გვერდიდან)

ამავდროულად, კვლავაც საჭიროა ზოგიერთი მნიშვნელოვანი საკითხის გადაჭრა, რათა სსფ-ის დაგეგმილ მისიას საშუალება ჰქონდეს, მიაღწიოს შეთანხმებას პროგრამის განხილვასთან დაკავშირებით. იმის გათვალისწინებით, რომ მისიის ჩამოსვლამდე ჯერ კიდევ გარკვეული დროა დარჩენილი, იმედი მაქვს, რომ დარჩენილი საკვანძო საკითხების მოგვარებისათვის შესაძლებლობები კვლავაც არსებობს.

ნება მიბოძეთ, გამოვყო ზოგიერთი ის ძირითადი საკითხი, რომელთა გადაწყვეტას მოველი. უპირველესად, რა თქმა უნდა, დღის წესრიგში რჩება არსებული ფისკალური გარღვევა და აღნიშნულთან დაკავშირებით ენერგოტარიფის აღდგენის საჭიროება მოკრების ისეთ დონემდე, რომელიც გაწეული დანახარჯების ამოღების დონეს მიაღწევდა; ასევე, დღის წესრიგშია ენერგეტიკის მარეგულირებელი კომისიის ავტონომიის უზრუნველყოფის საკითხიც, მეორე, საჭიროა დაჩქარდეს სახელმწიფო წილით მომუშავე საწარმოთა აუდიტი და მკაფიოდ გამოიკვეთოს საჯარო რეფორმის გეგმა.

უფრო მეტიც, პარლამენტის მიერ საგადასახადო კოდექსში შესწორებების შეტანა კვლავაც გადაუდებელ საკითხად დგას. ამ მხრივ ცოტა დროა დარჩენილი, მაგრამ აღიშნულთან დაკავშირებით ორიოდე დღის წინათ ჩვენი შეხვედრის დროს პარლამენტის სპიკერმა, ქალბატონმა ნინო ბურჯანაძემ დამაიმედებლად გვითხრა, რომ იგი მზად არის, მოიწვიოს პარლამენტის სპეციალური სხდომა საზაფხულო არდადეგების განმავლობაში საგადასახადო კოდექსის მეორე და მესამე მოსმენით მიღების მიზნით, თუ ეს სსფ-თან შეთანხმების მიღწევაში დაგვეხმარება. ეკონომიკურად მყარი საგადასახადო კანონმდებლობის მიღება იქნება მნიშვნელოვანი დადებითი წინსვლა, რომელიც დაადასტურებს ხელისუფლების მტკიცე თავდადებას რეფორმების გატარებისა და პროგრამის მეურვეობის საქმეში. ჩემი აზრით, ქალბატონი ბურჯანაძის მიერ ამ ვალდებულების აღება დამაიმედებელი ნიშანია, რომელიც ერთობლივი ეროვნული ძალისხმევის შესაძლებლობაზე მეტყველებს. ეს კი საქართველოს არსებული მდგომარეობის გათვალისწინებით, ერთობ უპრიანი იქნებოდა.

მინდა გისურვოთ წარმატებები გადაუჭრელი საკითხების მოგვარების საქმეში და გამოვთქვა იმედი პროგრამის განხილვის წარმატებულ დასრულებასთან დაკავშირებით. რა თქმა უნდა, თავად მე ყოველთვის მზად გახლავართ, დახმარება გაგიწიოთ ნებისმიერ საკითხში.

პატივისცემით,
**ჯ. კრემერი,**
აღმასრულებელი დირექტორი.

დაჯილდოება

## საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება

2003 წლის 21 ივნისი ქ. თბილისი

### ზურაბ ლომიძის ღირსების ორდენით დაჯილდოების შესახებ

ქართული ჟურნალისტიკის განვითარებაში შეტანილი თვალსაჩინო წვლილისათვის, სახელმწიფო და ბეჭდვითი სიტყვის ორგანოებში მოღვაწეობისას გამოვლენილი მაღალი პროფესიონალიზმისათვის, ქვეყნად მიმდინარე პროცესების ობიექტურად ასახვისა და ნაყოფიერი შემოქმედებითი-პუბლიცისტური საქმიანობისათვის საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტი **ზურაბ ლომიძე** დაჯილდოვდეს ღირსების ორდენით.

**ედუარდ შევარდნაძე.**

## საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება

2003 წლის 21 ივნისი ქ. თბილისი

### გივი წერედიანის ღირსების ორდენით დაჯილდოების შესახებ

საქართველოში ალპინიზმისა და სათხილამურო სპორტის განვითარებაში შეტანილი პირადი თვალსაჩინო წვლილისათვის, სამაშველო სამსახურის უფროსად მუშაობისას და ახალგაზრდა ალპინისტთა გადარჩენისას გამოვლენილი მაღალი პროფესიონალიზმისათვის, ნაყოფიერი სამწვრთნელო და პედაგოგიური მოღვაწეობისათვის მესტიის რაიონის სოფელ მაზერის არასრული საშუალო სკოლის ფიზიკური აღზრდის მასწავლებელი, ქვეყნის არაერთგზის ჩემპიონი ალპინიზმში, სპორტის ოსტატი **გივი წერედიანი** დაჯილდოვდეს ღირსების ორდენით.

**ედუარდ შევარდნაძე.**

კვირა

### რუბრიკას უძღვება ზურაბ ოიკაშვილი

— რით იყო მნიშვნელოვანი გასული კვირა ქვეყნისთვის და თქვენთვის პირადად?

— „კვირის“ ტრადიციულ შეკითხვას უპასუხებს მოსკოვის დიდი თეატრის პრემიერი, რუსეთის ფედერაციის სახალხო არტისტი, რუსეთის სახელმწიფო პრემიის ორგზის და რუსეთის თეატრალური პრემიის „ოქროს ნიღბის“ სამგზის ლაურეატი ნიკა ცისკარიძე.



**ქვეყნისთვის:**

სამი წელიწადია, თბილისში აღარ ვყოფილვარ და გარკვეული ცვლილებები შევნიშნე — საღამოობით ქალაქი, მეტ-ნაკლებად, განათებულია, მოსახლეობას აწვდიან გაზს, ერთგვარად, უკეთესი ყოფითი პირობებია შექმნილი და მაინც, მეტ სისუფთავეს ვისურვებდი ჩემი ქალაქისთვის, სადაც მუდამ ჰყვაოდა ულამაზესი ყვავილები, რომლის ბაღები და სკვერები ჩემს მეხსიერებაში სწორედ ყვავილთა მრავალფეროვნებით არის ჩაბეჭდილი. კარგად მახსოვს თბილისურ ეზოებში გაშლილი სუფრები და ქალაქური ნადიმები, რომლებსაც მეზობლები მართავდნენ ხოლმე ერთმანეთის პატივსაცემად. ალბათ, ესეც აღდგება დროთა ვითარებაში.

**ჩემთვის პირადად**

— სამწლიანი პაუზა, მოგეხსენებათ, მცირე დრო არ არის და ამდენად, თბილისში ყოფნა ჩემთვის ძალზე სასიამოვნოა — შეხვედრები ახლობლებთან, მეგობრებთან... სამწუხაროდ, ზოგიერთი გარდაიცვალა, ზოგიც სხვა ქვეყნებში დასაქმდა...

თბილისში ცეკვა, მშობლიური თეატრის სცენაზე გამოსვლა ჩემი სასიამოვნო „მოვალეობაა“ და თუ ამით ჩემს ხალხსაც ვანიჭებ სიხარულს, თავს ბედნიერად ჩავთვლი.

თვალსაწიერი

(პირველი გვერდიდან)

# შველა სტუმარი როდის ღვთისა!..

არადა, სულ რაღაც ერთი თვის წინათ, ჩვენი გაზეთის 23 მაისის ნომერში დაბეჭდილ საქართველოს პრეზიდენტის საგანგებო რწმუნებულის, საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაციის პრეზიდენტის გიორგი ჭანტურიას ინტერვიუში სულ წვრილად არის დათვლილი და დაანგარიშებული უკვე რამდენი რამ შემატა ამ ნავთობსადენმა ქვეყანას.

და თუმცა „საქართველოს რესპუბლიკის“ მკითხველებმა უკვე კარგა ხანია იციან ეს, იძულებული ვარ ზოგიერთ კარგდაუნახანავ პოლიტიკოსს და მის უსიტყვოდ დამჯერ პუბლიკას შევახსენო, რომ:

მარტო ფოთისა და ბათუმის ნავსადგურებმა მილების ტრანსპორტირებაში უკვე მიიღეს 4 მილიონ ლარამდე შემოსავალი, რკინიგზამ — 2 მილიონი (მან კიდევ უნდა გადაზიდოს 3 მილიონი ტონა ტვირთი, რაც, ბუნებრივია, დამატებით შემოსავალს მისცემს).

თეთრი წყაროს რაიონი, სადაც მშენებლობა უკვე დაიწყო, მარტო ანარიცხების სახით მიიღებს 3,5 მილიონ ლარს.

რაკი „არც ერთ თეთრზეა“ ლაპარაკი, მაშინ „დავწვრილმანდები“ და ვიტყვი, რომ მილების სასაწყობო მეურნეობის მოწყობისათვის მშენებელმა 10 ათასი ლარი გადაიხადა, მოსახლეობისგან პროდუქტების შესაძენად — 12 ათასი ლარი (საერთოდ, მოსახლეობისგან პროდუქტების შესაძენად გათვალისწინებულია 1,5 მილიონი ლარის დახარჯვა), 17 ათასი ლარი ჩაირიცხა რაიონის ბიუჯეტში, საიდანაც გაიცემა მასწავლებელთა ხელფასები, პენსიები. 10 ათას ლარამდე ღირებულების ადგილობრივი წარმოების ქვიშა და ღორღია შეძენილი (სულ სამშენებლო მასალების შესაძენად რეგიონებში 10 მილიონ ლარამდე დაიხარჯება). ერთი, მცირე მოცულობის სამუშაოს შესრულებაზე, ჯამში რაიონისთვის გადახდილია 250 ათასამდე ლარი.

ახალციხის, ბორჯომის, წალკის რაიონებში დღეისათვის მიწის საკომპენსაციოდ გაცემულია 7,5 მილიონი ლარი.

ამას ემატება სოციალური პროგრამებისათვის უკვე გამოყოფილი 10,5 მილიონნამდე ლარი, 1 მილიონის ფონდი სკოლების აღსადგენად, ამბულატორიებისათვის.

მილსადენის მშენებლობაზე დასაქმებულთაგან 80 პროცენტი ადგილობრივი მოსახლე იქნება, სულ სხვადასხვა დოზით 170 ათას კაცს შეეხება მილსადენის სამუშაო, ვისაც ფულს გადაუხდიან.

მონიტორინგისათვის პასუხისმგებელი ჩვენი მხარეა. მსოფლიო ბანკმა 5 მილიონი დოლარი გამოჰყო ამ მიზნით. ქართველმა მეცნიერმა ექსპერტებმა უკვე მიიღეს 500 ათასი ლარი. სუფსიდან დაწყებული, კომპანია „ბრიტიშ პეტროლეუმმა“ მარტო არქეოლოგიაზე 1,6 მილიონი დოლარი გაიღო. ეს პროცესი გრძელდება...

დღეისთვის საქართველოში უკვე გახარჯულია 12 მილიონი დოლარი...

ვფიქრობ, საკმარისია!

მესმის, პოლიტიკა დიდი ბინძური რამ არის, იგი ბევრ ავ საქმესაც ჩაგადენინებს და ბევრ სისაძაგლესაც გათქმევინებს, მაგრამ, ამასთან, არის ელემენტარული წესიერებაც, რამაც ყველაფრის უფლება არ უნდა მოგცეს!

რა თქმა უნდა, უნდა იყვირო „მეფე შიშველიაო“, როცა იგი მართლა შიშველია, ხალხს კი თვალებს უბამენ, ჩაცმულიაო. ოღონდ, თუ იმ კაცს პერანგის ამხანაგი მაინც აცვია (არის მომენტი, როცა ნიფხვის როლი შეიძლება ლეღვის ფოთოლმაც კი შეასრულოს) და მაინც იჭაჭები, შიშველია-შიშველიაო, არაფრით იმათზე უკეთესი არ ხართ, ვინც შიშველ კაცზე, ჩაცმულიაო, იძახის.

ეს ისე, თორემ ბატონ მიხეილს ჩემგან რა ესწავლება.

ახლა მეორე.

პარლამენტარი ჯემალ გოგიტიძე საერთოდ სწორხაზოვანი პოლიტიკოსი რომ არის, ეს ყველასთვის თვალნათლივია, ვისაც კი ერთხელ მაინც მოუსმენია მისი გამოსვლა პარლამენტში თუ ტელევიზიით. მას ან უყვარს ან სძულს, საშუალო არ არსებობს. უყვარს ძალიან, ძალიან, ძალიან ცოტა ვინმე, სძულს ძალიან, ძალიან, ძალიან ბევრი ვინმე. და ეს სიძულვილი იმდენად უკიდეგანო და ყოვლისმომცველია, რომ ობიექტურობის გრძნობას აკარგვინებს და ეს ხშირად მოსდის.

მაგალითად, იმ დღეს ბატონმა ჯემალმა ხელისუფლება კიდევ ერთ სიყალბეში ამხილა — პრეზიდენტის დავალებით შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ პოტენციურ ამომრჩეველთა რიცხვის დასადგენად გაწეულ ხანგრძლივ მუშაობას წყალი გადაუწურა: როგორ თუ 3,2 მილიონი ამომრჩეველიაო, მათი რაოდენობა აპაპაპა, 2 მილიონზე მეტი არ არისო, საქართველოდან 1,7 მილიონი კაცია საზღვარგარეთ გასულიო!

და ეს განაცხადა ისეთი თავდაჯერებით, თითქოს ის 2 მილიონი სულ თითო-თითოდ ჰყავს დათვლილი, 1 მილიონ შვიდასი ათასი კი სათითაოდ თვითონ გააცილა საქართველოდან.

მე არ ვიცი, საიდან აქვს ასეთი ზუსტი მონაცემები ბატონ ჯემალს, მაგრამ ის კი ვიცი, რომ მან არამცდაარამც არ შეიძლება საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილეზე, აღიარებულ სტატისტიკოსსა და ეკონომისტზე სოსო არჩვაძეზე მეტი იცოდეს. ბატონი სოსო კი ასეთ უტყუარ ცნობას გვაწვდის:

2002 წლის საყოველთაო აღწერით (აფხაზეთისა და ყოფილი სამხრეთ ოსეთის გარდა) საქართველოს მოსახლეობა შეადგენს 4372 ათას ადამიანს. თუ აქედან ასაკობრივად საარჩევნო ხმის უფლების მქონეებს დავიანგარიშებთ, სწორედ 3,1-3,2 მილიონი გამოვა.

ე. ი. შინაგან საქმეთა სამინისტროს აღწერის მონაცემები არ გაუბერავს (რათა შემდეგ არჩევნების გაყალბება გაიოლებულიყო. როგორც ჩანს, სწორედ ეს „ეჭვი“ ასულდგმულებდა ბატონ გოგიტიძის სტატისტიკურ წიაღსვლებს).

ახლა ის, თუ რამდენი კაცი წავიდა საქართველოდან.

1989 წლის მოსახლეობის საყოველთაო აღწერით, საქართველოში 5400 ათასი ადამიანი ცხოვრობდა.

როცა 2002 წლის მონაცემებს ვიღებთ და გვინდა ზუსტად განვსაზღვროთ სხვაობა, იგი უნდა შევადაროთ არა 1989 წლის რაოდენობას, არამედ 1992 წლის დასაწყისისას, რადგან ამ თარიღამდე მოსახლეობის ზრდა ჯერ კიდევ გრძელდებოდა, მერე კი კლება დაიწყო.

აქედან გამომდინარე, 2002 წელს 1992 წლის დასაწყისთან შედარებით, 1,1 მილიონი მცხოვრებით ნაკლები იანგარიშება.

ოღონდ: ამ 1,1 მილიონიდან 230 ათასი კაცი ჩარჩენილია აფხაზეთსა და ყოფილ სამხრეთ ოსეთში, აქედან წავიდა 1989 წელს აღწერილი 80 ათასი რუსი სამხედრო მოსამსახურე და მათი ოჯახის წევრები.

ამდენად, 1992 წლის იანვრის შემდეგ საზღვარგარეთ გასულია 900 ათასამდე კაცი (898 ათასი!), მათ შორის: 743 ათასი — საქართველოს ხელისუფლების კონტროლირებადი ტერიტორიიდან, 155 ათასი — არაკონტროლირებადი ტერიტორიიდან.

ამრიგად, როგორც სტატისტიკა გვარწმუნებს, ბატონი ჯემალ გოგიტიძე ღრმად ცდება ორივე რიცხვის — 2 მილიონის და 1,7 მილიონის — დასახელებისას (ის ცალკე საკითხია, თუ რატომ იტყუებს თავს).

ისე რომ, ძვირფასო მკითხველო, ნუ ენდობი ტელევიზიით მოსმენილ (და გაზეთში წაკითხულ!) ყველა სიტყვას, რა გინდ ანგარიშგასაწევი პიროვნება არ უნდა იყოს მისი წარმომთქმელი. ამას ისევ შენს სასიკეთოდ გეუბნები, ბატონო, თორემ, ღმერთმა სიკეთე მოგცეს — როგორც გინდა, ისე მოიქეცი!

**ალეკო ასლანიშვილი.**

რკინიგზა

## მიმოსვლას უახლოეს მომავალში აღადგენენ

თბილისი-ცხინვალის სარკინიგზო მიმოსვლა უახლოეს მომავალში განახლდება და ამოქმედდება, — აცხადებენ შპს „საქართველოს რკინიგზაში“.

როგორც პრაიმ-ნიუსს შპს „საქართველოს რკინიგზის“ მთავარმა ინჟინერმა, ტექნიკური დარგის დირექტორმა თენგიზ დონაძემ განუცხადა, ამ მხრივ მუშაობა გარკვეულწილად უკვე დაიწყო.

მისი თქმით, ცხინვალში გამართული რამდენიმე შეხვედრის შემდეგ ქართველმა და ოსმა რკინიგზელებმა საჭირო სამუშაოები გააანალიზეს, ასევე ადგილზე დაათვალიერეს ყველა დაზიანებული მონაკვეთი.

აღდგენასთან დაკავშირებული ძირითადი სამუშაოები „საქართველოს რკინიგზის“ ძალებით განხორციელდება, თუმცა გარკვეული დახმარება ევროპის რიგი დონორი ქვეყნებიდანაც შემოვა, — თქვა დონაძემ.

**პრაიმ-ნიუსი.**

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

მეზობლებთან


ოშკი დიდებული.

# «ნაყოფისაგან საცნაურ არს სიკეთე ხისაი»

## ისტორიულ ტაო-კლარჯეთში ქართველ მეცნიერთა ექსპედიციის კვალზე

(პირველი გვერდიდან)

ტაძარი იყო ოშკი.

ტბა — თორთუმის.

მათ შორის საუკუნეთა სხვაობა იდო, დრო — შვიდასი წელიწადი. 1791 (სხვა ცნობით — 1771) წლის ძლიერმა მიწისძვრამ ხორს-ბაშიდაღს მოგლიჯა მწვერვალი და ჩაიხერგა თორთუმისწყლის კალაპოტი, მდინარის წყალმა თანდათან აავსო ყანწივით მორკალური კლდოვანი ხეობა და გაჩნდა 12-კილომეტრიანი ტბა, რომლის სიგანე ალაგ 1,7 კილომეტრია, ზოგან — 2,5.

მიწისძვრას, რომელმაც მთაც კი მოარღვია, ტაძარი არ დაუზიანებია.

ტექტონიკურ მიზეზთა ძებნას ნუ დაიწყებთ, მიიღეთ ფაქტი, როგორიც არის და — დაფიქრდით.

ესეც საკმარისია.

დგას ათსაუკუნეგამოვლილი ტაძარი მწვანე ჭალაში კლდეთა შორის, ოშკის წყლის ნაპირზე, ჩრდილოეთიდან სობათის ქედის კლდეებით დაცული.

ერთ-ერთ წინა რეპორტაჟში (თუ გახსოვთ) ვწერდი კლდეთა, ამ კოლოსების უჩვეულო გამომსახველობითს ფორმათა შესახებ, კობა იმედაშვილს ხან ციხე-კოშკად, ხან ჯვრისფორმიან სკულპტურად რომ ეჩვენებოდა.

ახლა მე გადაგიშლით ღვთისკაცის და მეცნიერის — ექვთიმე თაყაიშვილის წიგნს, რომელიც საქართველოს სამხრეთ პროვინციებში 1917 წელს მისი თაოსნობით მოწყობილი ექსპედიციის სამეცნიერო ანგარიშია (ექსპედიციაში მონაწილეობდნენ მიხეილ ჭიაურელი, ლადო გუდიაშვილი, არქიტექტორი კარგინი და სხვები) და ერთად წავიკითხოთ ერთი ნაწყვეტი ოშკის მონასტრისადმი მიძღვნილ თავში „...მწვერვალის კლდეები ატმოსფერული ნალექებისგან ისე არის დაჭრილ-დასერილი, რომ შორიდან მწვერვალი ქვის ლოდებისგან ნაშენებ ციხე-კოშკსა ჰგავს“.

მართლა ჰგავს — აქაც და ჭოროხის ხეობაშიც, და როცა ჩემი თანამედროვე ისევე აღიქვამს ამ მსგავსებას, როგორც ჩვენი დიდი წინაპარი, ეს იმას ნიშნავს, რომ ანალოგია არც მოგონილია და არც გაპრანჭული აღფთოვანებაა აღფრთოვანებისათვის.

თუმცა, მე მგონი, აღქმის მსგავსება, ამ შემთხვევაში, ისტორიულ განზომილებაში, „რეალურ ირეალობაში“ გადასვლის მიზეზითაც არის განპირობებული.

თუ ეჭვი გეპარებათ, ჩადით და დარწმუნდებით.

ჩასვლას გააჩნია: ჩვენ, 21-ე საუკუნის დასაწყისის ექსპედიციის წევრებს ოშკი შეძლებისდაგვარად მოვლილი დაგვხვდება — ცივილიზებული დამოკიდებულების კონკრეტული შედეგი.

სულ სხვანაირი ნახა ეს ტაძარი ექვთიმე თაყაიშვილმა და — მოვუსმინოთ მას:

„საყდარი საერთოდ კარგად არის შემონახული იმის წყალობით, რომ მისი სამხრეთი ეკვდერი მუსულმანებმა მეჩეთად აქციეს და ტაძრის კედლების დანგრევა მათ ინტერესებს არ შეესაბამებოდა. თუმცა, ამას მათთვის ხელი არ შეუშლია, რომ საყდრის სხვა ნაწილები — სამხრეთი გალერეა, ჩრდილოეთ ეკვდერი, ჩრდილოეთ და სამხრეთი მკლავები და სხვა — ბოსლებად, თავლებად და სათივეებად ექციათ, და, შესაბამისად, ტიხრებით გადაეღობათ.

სანამ ტაძრის გაზომვასა და აღწერას შევუდგებოდით, — განაგრძობს მკვლევარი, — ვაიძულეთ გაესუფთავებინათ საყდრის ყველა ნაწილი ნაკელისგან და ნაგვისგან, მაგრამ ქვათა ჩამოცვენილი გროვები, რა თქმა უნდა, ადგილზე დარჩა“.

ჩვენ მსგავსი არაფერი იქ არ გვინახავს. მიმსგავსებულიც კი. დახედეთ ფოტოებს და თავად დარწმუნდებით. ხოლო ერთ ადგილზე კედელს მიდგმული ხის რაღაც გაუგებარი ხუხულა, გაშავებული მორებისგან და ფიცრებისგან შეკოწიწებული (ესეც იხილეთ ფოტოზე) უფრო გამონაკლისი იყო, ვიდრე ის ბინძური განზოგადება, რაც ერთმა ავტორმა (რომელსაც ოშკი თვალით არ უნახავს) ერთ გაზეთში იკადრა.

თუმცა ვინ რის ქექვასაც მიჩვეულია, ვერ გადააჩვევ და, საბოლოოდ ისე გაიტანენ წმინდა ადგილიდან, როგორც იმ ნაგავს, რომელიც ეს-ესაა ვახსენე.

* * *

მე რომ კაცმა მკითხოს, ტაძარი ის „ისტორიული აუდიტორიაა“, სადაც სტუდენტები უნდა აზიარო არა მარტო ცოდნას და ეროვნულ ცნობიერებას, არამედ რწმენა და იმედი ჩაუნერგო.

ალბათ დადგება დრო, როცა მომავალ ხელოვნებათმცოდნეებს, ისტორიკოსებსა და ფილოლოგებს, არქიტექტორებსაც ლექციებს ისტორიული ტაო-კლარჯეთის დიდებულ ძეგლთა შესახებ აქ წაუკითხავენ.

ნებისმიერი სიტყვა, ამ თაღებქვეშ თქმული, სულ სხვა ჟღერადობას იძენს — იტვირთება მაღალი ზნეობით, სულიერებით, ემოციურად აღმატებული ხდება, ხელშესახები თითქოს, როგორც დიდებულ ტაძართა ეს თბილი და


ოშკის ინტერიერი.

ძალიან მშობლიური კედლები ამ გაზაფხულის მზიან დღეს.

სუნთქავენ ტაძრები, ეგებ, უფრო ღრმად ივსებენ ფილტვებს-თაღებს ხელთა ჩვენთა შეხების გამო. და გულში რეკავენ ოშკის ზარები.

10 საუკუნის (და მეტიც) შემდეგ მოვსულვართ სისხლი სისხლთაგანი და ხორცი ხორცთაგანი მათი.

მოგვცეს ამის საშუალება, მოგვიპატიჟეს, და მადლობა ყველას ამისთვის.

ახლა კი ლექცია ანუ ინტერვიუ, რომელსაც ორ პროფესორს ლაურა გრიგოლაშვილსა და გრივერ ფარულავას ჩამოვართმევ.

ინტერვიუ — სავსე ცოდნითა და განცდით, გაცხადებული შინაგანი მონოლოგი შთაბეჭდილებებით დამუხტული ადამიანის, გარემოების ისეთი ძლიერი გავლენის ქვეშ მყოფისა, რომ თუ არ გამოთქვი, ვერანაირი მგრძნობელობითი სისტემა ამ დაძაბულობას ვერ გაუძლებს.

ბრძანეთ, რაც გეთქმევინებათ, ბატონო გრივერ და ქალბატონო ლაურა, თუმცა მსმენელთა აუდიტორია არის მხოლოდ ერთი ჟურნალისტი და მისი „სონის“ მარკის დიქტოფონი:

საუბარს გრივერ ფარულავა იწყებს:

— ჩვენ ვიმყოფებით ისტორიულ ნაწილში საქართველოისა — ტაო-კლარჯეთში, — დაწყება დინჯი და აკადემიურია, მაგრამ თანდათან მაღალ რეგისტრში გადადის, — აქ გვეგულებოდა აკვანი ქართული კულტურის იმგვარი გამოღვიძება-მომძლავრებისა, რამაც თავი იჩინა არაბთა ბატონობის შემდგომ. ყველა ქართველის ცნობიერებაში ფიქრი ამ სივრცის და ამ კულტურული სამყაროს შესახებ უკავშირდება გრიგოლ ხანძთელის პიროვნებას. ამიტომაც უპრიანი იქნება, წინამძღვრად ჩვენს საუბარში ვიახლოთ ეს უმშვენიერესი, უდიდესი ფიგურა ჩვენი ეროვნული კულტურისა.

მერვე საუკუნის მიწურული იდგა და აქ, ამ მხარეში ქართლიდან მობრძანდა გრიგოლ ხანძთელი დიდი სამომავლო ჩანაფიქრით, რათა კულტურული გამოღვიძება, სულიერ-ზნეობრივი ამაღლება ამ მხარისა გამხდარიყო ფუნდამენტი და ბალავერი არაბთა უღლის გადასაგდებად, ქართველობის ძალის მოკრეფისა და შინაგანი შემართებისა. ამან მოიტანა დიდებული შედეგი: ეს მხარე დაიფარა ქართული ეკლესია-მონასტრებით, გაიღვიძა ქართულმა ეროვნულმა ცნობიერებამ, გაძლიერდა ქართველთა სულიერი გათავისუფლებისადმი სწრაფვა.

X საუკუნის ბოლოსთვის საქართველოს ერთიანი და მონუმენტური შენობა რომ წამოიმართა, აქ ჩაყრილი საძირკვლის შედეგი და ნაყოფი იყო. ეს იყო შედეგი ბერ-მონაზონთა მოღვაწეობისა, რომლის კვალზე ჩვენ ახლა დავდივართ.

ოპიზის, ხანძთის სავანე აქ აიგება, 836 წლის შემდგომ შატბერდიც აშენდება, და აქ, ამ ტერიტორიაზე მოხდება ფორმირება იმ გამამთლიანებელი იდეის, რომელიც ყველა ქართველს მოეხსენება — „ქართლად ფრიადი ქვეყანაი აღირაცხების, რომელსაცა შინა ქართულითა ენითა ჟამი შეიწირვის და ლოცვა-ყოველი აღესრულების“.


ლექცია-ინტერვიუ ტაძარში: გრივერ ფარულავა (ცენტრში მარცხნივ) და ლაურა გრიგოლაშვილი (ცენტრში მარჯვნივ).


ოშკი.
ვიღაც მაინც შეეცადა კედლის გამაგრებას.

იხ. მე-4 გვ.

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

საქართველოს რესპუბლიკა
№ 163, ორშაბათი, 23 ივნისი, 2003 წელი.

## მეზობლებთან

# «ნაყოფისაგან საცნაურ არს სიკეთე ხისაი»

## ისტორიულ ტაო-კლარჯეთში ქართველ მეცნიერთა ექსპედიციის კვალზე

(მესამე გვერდიდან)

ორი სვეტი, ორი ბურჯი, ამბობს გრიგოლ ხანძთელი მისი ცხოვრების აღმწერის გიორგი მერჩულის თხზულებაში, რომელსაც დაეყრდნო საქართველოს მთლიანობა, იყო საქართველოს ტერიტორიათა შემოკრება, ქართული ენისა და ქრისტიანული სარწმუნოების კვალობაზე.

ამ მთლიანობამ მოგვცა ის სიკეთე, რომ XX საუკუნემდე მოვიტანეთ ქართული სული, და დღესაც, თუ ქართული კულტურა ღონივრად გამოიყურება, ეს ძალიან მნიშვნელოვან წილად აქ გაკეთებული საქმეების შედეგია.

ხანძთისა და შატბერდის გვერდით, იმ კვალზე, იმ სულისკვეთების მიდევნებით, რაც აქ დაითესა გრიგოლისა და მისი მოწაფეების — საბა იშხნელის, თეოდორეს, ქრისტეფორეს და სხვათა მიერ, აღმოცენდა სხვა მონასტრები, რომელთა ერთი ნაწილი მოვიხილეთ. ყველა მათგანი აგებული იყო უძლიერესი დუღაბით, ამ დუღაბმა სიყვარულსა და სარწმუნოებასთან შენივთებულმა დღემდე მოიტანა პარხალი, ოთხთა ეკლესია, იშხანი, მათმა საოცარმა მშვენიერებამ და იმ სულმა, რომელიც შთაუბერავთ ამ ქვებისთვის მაშინდელ ქართველ მოღვაწეებს, გაგვიმტკიცა დიდი იმედი, რომ შევძლებთ შევინარჩუნოთ ამ ფესვებთან ჩვენი ერთობა...

ახლა ოშკის შესახებ.

ოშკის სახელწოდება სოფლის სახელიდან მოდის. ძველ ქართულ წყაროებში უშკი წერია ზოგან.

ბიბლიის უძველესი ქართული ტექსტი — ძველი და ახალი აღთქმისა — მთლიანად აქედან, 978 წლიდან მოდის.

— ეს არის ოშკის ბიბლია, — სიტყვას ჩამოართმევს ლაურა გრიგოლაშვილი, — რომელიც ათონის მთიდან დაუკვეთეს აქაურ ბერებს. სხვათა შორის, დამკვეთი იყო თორნიკე ერისთავი, ათონის მთაზე იმ ტრადიციების გამგრძელებელი, რომელთაც ტაო-კლარჯეთში დაედო სათავე. მე მიმაჩნია, არ არის გადაჭარბებული იმის თქმა, რომ ტაო-კლარჯეთის და ათონის მთის ქართველმა მოღვაწეებმა მოახერხეს ქართული კულტურის, ქართული მწერლობის ევროპულ რადიუსზე გასწორება. მას მერე ეს რადიუსი ჩვენს მწერლობას კარგა ხანს არ დაუკარგავს. ეს ძალიან მნიშვნელოვანია.

— კორნელი კეკელიძეს პირდაპირ უწერია, რომ ათონის ივერთა სავანე, რომელმაც ყველაზე დიდი როლი შეასრულა ქართული კულტურის დონის ევროპული კულტურის დონესთან მისაახლოებლად, დაფუძნდა და იკვებებოდა ერთი საუკუნის მანძილზე მაინც ტაო-კლარჯეთის სალიტერატურო სკოლის ტრადიციებით, — აგრძელებს გრივერ ფარულავა, — ძლიერად განვითარდაო ტაო-კლარჯეთში ქართული კულტურა, ვეღარ დაეტია ამ ლოკალში, გეოგრაფიულ საზღვრებში, გადმოვიდა დიდ ნაკადად და ბიზანტიაში წარმოშვა ათონის ლიტერატურული სკოლა, ხოლო ამ უკანასკნელმა შეასრულა ყველაზე დიდი როლი ქართული მწერლობის გამოსაყვანად ევროპული კულტურის წინა ხაზზე. ეს იმაშიც გამოვლინდა, რომ ათონელმა მოღვაწეებმა, მათ შორის, ექვთიმე ათონელმა, არა მხოლოდ გაამდიდრეს ქართული მწერლობა ბერძნულიდან ნათარგმნი ძეგლებით, არამედ გაამდიდრეს თვით ბერძნული მწერლობა: ექვთიმე ათონელმა ქართულიდან ბერძნულ ენაზე თარგმნა „სიბრძნე ბალაჰვარისა“ და „აბუკურა“. მათგან პირველი ითარგმნა ლათინურად და ორივე ტექსტს — ბერძნულსაც და ლათინურსაც აწერია, რომ თარგმნილია ათონელი მოღვაწის ექვთიმე იბერის — ქართველის მიერ. მერე ეს თარგმანი ლათინურის გზით შევიდა ევროპულ ლიტერატურაში. მე მგონი, არავითარი გადაჭარბება და ქედმაღლობა არ იქნება, თუ ვიტყვი, რადგან ეს აღიარებულია მეცნიერებაში, რომ „ბალავარიანი“, რომელიც შუა საუკუნეების ევროპის ყველა ხალხის ლიტერატურაში ბიბლიის შემდგომ ყველაზე უფრო საკითხავ წიგნად ითვლებოდა, სწორედ ქართულიდან არის თარგმნილი. ოშკი, რომელშიც ჩვენ ახლა ვდგავართ, იყო მკვებავი იმ დონისა, რომელიც მერე ათონელ მამათა დიდ შემოქმედებითს მუშაობაში გადაიზარდა.

— უსათუოდ უნდა ითქვას ისიც, — კვლავ ლაურა გრიგოლაშვილი, — რომ ტაო-კლარჯეთში არა მარტო ქართულ მწერლობას, ქართულ ხუროთმოძღვრებას და ასე შემდეგ, არამედ, ამასთან ერთად, ქართული სასულიერო პოეზიის ტრადიციებს ფაქტობრივად ჩაეყარა საფუძველი. უფრო ადრეულ ეპოქებშიც იქმნებოდა ასეთი კრებულები, მაგალითად, საბაწმინდაში იყო კულტურის კერა, სადაც იქმნებოდა ჰიმნები, ითარგმნებოდა, მაგრამ რაც ტაო-კლარჯეთში გაკეთდა, რაც მიქელ მოდრეკილის სახელთან არის დაკავშირებული, განუმეორებელია. იგი შატბერდის მოღვაწე იყო, მის მიერ შატბერდში შედგენილი ჰიმნოგრაფიული კრებული „იადგარი“ უნიკალური მოვლენაა. აქ არის წარმოდგენილი ნათარგმნი მდიდარი ბიზანტიური ჰიმნოგრაფია, აგრეთვე, ქართველი ჰიმნოგრაფები. ეს არის კრებული, რომელსაც ახლავს ნევნები — სანოტო ნიშნები, რაც იმას ნიშნავს, რომ ამ დროს ქართული ჰიმნოგრაფია თავისი განვითარების უმაღლეს მწვერვალზე იყო.

* * *

ოშკის გარღვეულ თაღებქვეშ ვისმენდი ჩემი მეგობრების ლექციას, რომელიც იქ და იმ დროს ძალიან ჰგავდა ჰიმნებს, რომელთა შესახებაც მიყვებოდნენ ისინი...

ლევან მენაბდეს ზუსტად შეუნიშნავს და ერთგან ასეთ ცნობას გვაწვდის: „ადგილობრივ მკვიდრთა შორის უკანასკნელ ხანამდე გავრცელებული იყო ასეთი გამონათქვამი: განთქმულია სილამაზე ოშკისა, ადგილმდებარეობა ხახულისა და მხატვრობა იშხნისაო“.

მაგრამ ხახულს სხვა, აღმატებული ღირსება აქვს: „ტაძარი... გაოცებას იწვევს გრანდიოზულობით, სილამაზით, სამკაულებით, ჰარმონიული სტილით. მოცულობით მას ბაგრატის ტაძარი, სვეტიცხოველი და ალავერდის კათედრალი თუ შეედრება“.

ჩემი მასწავლებლის ამ დახასიათებას მე ვერაფერს დავუმატებ... მაგრამ თქვენს ყურადღებას კი მივაპყრობ ერთ უნიკალურ ფაქტს: ბატონი ლევანი ტაო-კლარჯეთში არასოდეს ყოფილა. მაგრამ როგორი ინტუიცია, წარმოსახვის როგორი უნარი უნდა ჰქონოდა მას, სინამდვილესთან ასე მისადაგებულად ჩვენთვის რომ წარმოედგინა ხუროთმოძღვრების ეს დიდებული ძეგლი.

**ცნობისთვის** (რეალური წარმოდგენის შესაქმნელად): ოშკის ტაძრის სიგრძე 38,5 მეტრია (დასავლეთის ეკვდერის გარეშე), სიგანე შუა ნაწილში — 36 მეტრი, სიმაღლე 40 მეტრს აღწევს.

სამწუხაროდ, უკვე აღარ არსებობს სამნავიანი ბაზილიკის შენობა, რომელიც ექვთიმე თაყაიშვილის ექსპედიციის დროს ჯერ კიდევ ყოფილა, სპეციალისტების აზრით, — სემინარია-საოსტიგნო, აღარც ორი მცირე ეკლესიის რაიმე ნაშთია შემორჩენილი.

* * *

ისევ დაიკლაკნება გზა თორთუმის ტბის სანაპიროზე. მასპინძლები ულამაზეს ჩანჩქერთან მიგვიყვანენ. „ტბა სამ ჩანჩქერს წარმოშობს, მათგან პირველი უდიდესი და ულამაზესია“. (ექვთიმე თაყაიშვილი).

კვირაა.

ახალგაზრდობით სავსეა აქაურობა. დამსვენებლებით, დასველებული დამსვენებლებით. არ არის ეს სიტყვათა უნიჭო თამაში, — ფაქტია. ჩანჩქერის მარცხენა ნაპირს ბეტონის კიბე ჩაუყვება, რომელსაც სადღაც შუა წელზე, ქვემოთ უფრო, კლდეს ასხლეტილი წყლის მძლავრი ნაკადის ჩქერი ტროპიკულ წვიმასავით ეცემა.

აუცილებელი რიტუალივითაა ამ შხეფებში განბანვა, რიტუალივით კი არა, უფსკრულის მიზიდულობასავით არის, და თუ მე ვერ შევძელი ამის გაკეთება, არა იმიტომ, რომ ცდუნება დავძლიე, არამედ იმიტომ, რომ ჩემი ყავარჯნებით მხოლოდ რამდენიმე საფეხურზე ჩასვლას თუ მოვახერხებდი...

ამოსვლისა, რა მოგახსენოთ...

სამაგიეროდ, სანამ გაბედულები ქვემოთ იწუწებოდნენ, ზედა ბაქნიდან ბუნების ამ საოცრების ცქერას და მარტოდ ყოფნას არავინ მიშლიდა.

აქაურობის სიმბოლურობამ ჩამითრია და ჩამიყოლა: იყო ისტორიასთან შეხვედრის დიდი წამი, იმ ისტორიასთან, რომელიც, თორთუმის ტბასავით დაგუბებული, დიდხანს იდგა უძრავად დაუძლეველი ჯებირით გადახერგილი. მაგრამ ბოლოს და ბოლოს იპოვნა გზა და ამ ჩანჩქერივით გადმოეშვა ჩვენსკენ, გნებავთ, ასე ვთქვათ, — ზოგადსაკაცობრიო ისტორიასთან შესაერთებლად.

თავისთავად არაფერი ხდება. მოდით, ნუ გამახსნევინებთ ფრჩხილებს, რადგან თქვენც კარგად იცით, ვისი ძალისხმევითა და ვისი პოლიტიკის წყალობით გახდა ყოველივე ეს შესაძლებელი...

* * *

**გრიალებდა ჩანჩქერი, როგორც ფიქრთა დუღილი და ამ სტიქიისგან გამყოფ რკინის მოაჯირთან (მომეჩვენა?) თავი ამოჰყო შარვლიანმა ალმა. დავაკვირდი, გრივერ ფარულავა არ ყოფილა?!**

**გრივერ ფარულავა იყო, რომელსაც დინების ამ ყოვლისწამლეკაობაში ეპოვნა პატარა ბოლაზი „საკუთარი წარმოების“ ერთი ბოთლი ღვინის ჩასაცივებლად.**

**ეს ერთი ბოთლი იმ საღამოს ძალიან გამოგვადგა. რა სადღეგრძელოსაც ვიტყოდით, თქვენც კარგად მოგეხსენებათ.**

**არმაზ სანებლიძე,**
„სრ“ სპეც. კორ.

ელგუჯა ხინთიბიძის, დარეჯან მენაბდის და ავტორის ფოტო.

(გაგრძელება იქნება).



ოშკი. შიდა ხედი.



ოშკის კედელს მიდგმული ის გაუგებარი ხუხულა.



თორთუმის ტბიდან გადმომსკდარი დიდი ჩანჩქერი.

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

თემის გაგრძელება

# როგორ მზადდებოდა სტალინის თხზულებათა პირველი ტომი

**„საქართველოს რესპუბლიკის“ 2003 წლის 21 აპრილის ნომერში დაიბეჭდა ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის ივანე შენგელაიას წერილი „როგორ მზადდებოდა სტალინის თხზულებათა პირველი ტომის გამოცემა საქართველოში“. სათაური სრულად გამოხატავს პუბლიკაციის შინაარსს. ბატონი ვანო გვაცნობს მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის მიერ გაწეულ რთულ და შრომატევად სამუშაოს პირველ ტომში შესული სტალინის მოღვაწეობის საწყისი ეტაპის — „საქართველოს პერიოდის“ ნაწარმოებთა შეგროვებისა და შერჩევისათვის 1940-იან წლებსა და 1950-იანი წლების დასაწყისში.**

**ხელთ მაქვს პარიზში გამომავალი ისტორიული ალმანახის „Минувшее“-ს 1989 წლის მე-7 ნომერი (იგი საფრანგეთიდან მომაწოდა იქ მივლინებით მყოფმა ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატმა გიორგი მამულიამ). ალმანახში დაბეჭდილია ფ. ბლაგოვეშჩენსკის მოგონება „სტუმარად პ. ა. შარიასთან“. ავტორი გვიამბობს 1979 წლის მარტის ბოლოს თბილისში პატრე შარიასთან სტუმრობის შესახებ, მის სიკვდილამდე ცოტა ხნით ადრე. იქ ლაპარაკია ჩვენთვის ამჟერად საინტერესო საკითხზე — სტალინის თხზულებათა გამოცემაზეც, რაც გარკვეულად ავსებს ბატონ ივანე შენგელაიას პუბლიკაცია.**

მაგრამ სანამ ფ. ბლაგოვეშჩენსკის პირით გადმოცემულ პ. შარიას ნაამბობს და სხვა მასალებს გავაცნობდე მკითხველს, მანამდე თვით პ. შარიას გავაცნობ.

პეტრე ათანასეს ძე შარია (1904-1979 წ. წ.) დაიბადა გალში. დაამთავრა მოსკოვის წითელი პროფესურის აკადემია და ფილოსოფიის ინსტიტუტის ასპირანტურა. 1929-1938 წლებში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პედაგოგია, იმავდროულად, მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტის („იმელის“) ფილიალის დირექტორის მოადგილე, შემდეგ — პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის განყოფილების გამგე, პარტიის ცენტრალური კომიტეტის მეცნიერებისა და სკოლების განყოფილების გამგე, აგიტაციისა და პროპაგანდის განყოფილების გამგე.

1938 წლის შემოდგომაზე მოსკოვში, სსრკ შინაგან საქმეთა სახალხო კომისრად (ერთხანს სახკომის პირველ მოადგილედ) გადასულმა ლავრენტი ბერიამ პეტრე თან წაიყვანა სამდივნოს უფროსად, 1939-1943 წლებში ჯერ სსრკ შინსახკომთან არსებული განსაკუთრებული ბიუროს უფროსია, შემდეგ — ამ უწყების სასწავლო დაწესებულებათა სამმართველოს უფროსი, პირველი სამმართველოს უფროსის მოადგილე, სსრკ სახუშიშროების სახალხო კომისარიატის პირველი სამმართველოს უფროსის მოადგილე.

1943-1948 წ. წ. კვლავ პარტიულ სამუშაოზეა — საქ. კპ (ბ) ცკ-ის მდივანი. ამ პერიოდში შერისხეს კომუნისტისათვის (მით უმეტეს — ცეკას მდივნისთვის!) შეუფერებელი, მისტიკური ლექსისათვის. შეიძლება ძალზე დიდი გადახვევა გამომივდეს, მაგრამ თავს უფლებას მივცემ მკითხველს ვუამბო ეს ამბავი, რომელიც ბევრი რამით არის საინტერესო და საყურადღებო.

1948 წლის 28 მაისს საქართველოს კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა კანდიტ ჩარკვიანმა მოსკოვში შემდეგი შინაარსის წერილი გაგზავნა:

„ამხანაგ ი. ბ. სტალინს
ამხანაგ ა. ა. ჟდანოვს

თქვენი დავალების თანახმად, შევამოწმე საქართველოს კპ (ბ) ცკ-ის პროპაგანდის დარგში მდივნის ამხ. შარიას მიერ მისი ვაჟის გარდაცვალების გამო დაწერილი იდეოლოგიურად მავნე ლექსის გამოცემის გარემოებანი. ამხ. შარიას საქართველოს კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის და პირადად ჩემთვის არაფერი უცნობებია ამ ფაქტზე. ამხ. შარიას სიტყვით, წიგნაკი მან 1943 წელს დაწერა მოსკოვში, უშუალოდ შვილის სიკვდილის შემდეგ. მაშინ ამხ. შარია სსრკ სახელმწიფო უშიშროების სამინისტროში მუშაობდა. გამოცემითაც მოსკოვში გამოსცა 1944 წლის ბოლოს. იმ დროისათვის იგი უკვე საქართველოს კპ (ბ) ცკ-ში მუშაობდა და მოსკოვში მივლინებით იმყოფებოდა.

როცა ამხ. შარიას წიგნაკს გავეცანი, გამაოგნა მისმა შინაარსმა. ეს არის ნაწარმოები, რომელიც ერთიანად გამსჭვალულია რელიგიური მისტიკური მსოფლმხედველობით, თვით სულის უკვდავებისა და იმქვეყნიური ცხოვრების რეალობის აღიარებამდეც კი.

შარია იდეოლოგიური ფრონტის განათლებული და უნარიანი მუშაკი, კარგი ლიტერატორია, შეუძლია ცოცხლად და მიმზიდველად გადმოსცეს თავისი აზრები. ერთი სიტყვით, იგი პარტიისთვის საჭირო და სასარგებლო მუშაკია. ამიტომ ჩადენილი მძიმე დანაშაულის მიუხედავად, შეიძლება, რომ ამხ. შარია დავტოვოთ პარტიაში და ვაკმაროთ ცკ-ში სამუშაოდან მოხსნა და პარტიული სასჯელის დაკისრება.

განსახილველად წარმოგიდგენთ საქ. კპ (ბ) ცკ-ის დადგენილების პროექტს პ. ა. შარიას საკითხზე“.

სკკპ (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა 31 მაისს მიიღო დადგენილება „ამხ. პ. ა. შარიას შესახებ“, რომლითაც დაამტკიცა კ. ჩარკვიანის მიერ წარდგენილი დადგენილება: 1. იდეოლოგიურად მავნე გალექსილი წიგნაკის დაწერისა და გამოცემისთვის პ. შარია მოიხსნას საქ. კპ (ბ) ცკ-ის მდივნის თანამდებობიდან და გამოეცხადოს საყვედური სააღრიცხვო ბარათში შეტანით. 2. გაიგზავნოს ამხ. შარია პედაგოგიურ სამუშაოზე თბილისის ერთ-ერთ უმაღლეს სასწავლებელში, იმ პირობით, რომ საქ. კპ (ბ) ცკ მეთვალყურეობას გაუწევს მის მუშაობას.

1948-1952 წლებში პ. შარია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი და ფილოსოფიის ისტორიის კათედრის გამგე იყო. 1952-1953 წ. წ. ციხეში იჯდა „მეგრული ნაციონალისტური ჯგუფის“ საქმის გამო. 1953 წ. აპრილ-ივნისში სსრკ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ლ. ბერიამ იგი ციხიდან განთავისუფლების უმალ აიყვანა თანაშემწედ. მაგრამ ლ. ბერიას დამხობისთანავე, 1953 წ. ივნისის ბოლოს, დააპატიმრეს და 1954 წ. სექტემბერში, სსრკ უზენაესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიის განაჩენით, 10 წლით პატიმრობა მიუსაჯეს (და მაინც, ლეფორტოვოდან ვლადიმირის ციხეში გადაყვანამდე დაწერა პოემა „პარტიას“). 1963 წელს გაათავისუფლეს. მუშაობდა თბილისის შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტში. არჩეული იყო (1944 წ.) საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსად. 1943 წელს მიენიჭა სახელმწიფო უშიშროების მე-3 რანგის კომისრის, 1945 წელს კი — გენერალ-ლეიტენანტის წოდება.

ამ, ვგონებ ზედმეტად ვრცელი შესავლის შემდეგ, მთავარ სათქმელს დავუბრუნდები.

ფ. ბლაგოვეშჩენსკი ცოტა არ იყო აგდებულად ლაპარაკობს თავის მასპინძელზე, ხაზს უსვამს მის სიჩაჩანაკეს, როგორ „დაჩინდრიკობდა“ თითქოს გახევებული ფეხებით, როგორ ეცრემლებოდა მარცხენა თვალი (ეს დეტალი მეც მახსოვს, 1966-1967 წ. წ. „ცოდნაში“ მუშაობის დროს პ. შარიასთან შეხვედრებისას), როგორ დარჩა ტანსაცმლის გამოცვლის შემდეგ ხვანჯარი შეხსნილი, როგორ არავის არ სურდა მასთან ურთიერთობა და ლაპარაკი...

ამის შემდეგ ავტორი უშუალოდ საქმეზე გადადის — გადმოგვცემს პეტრეს მოგონებებს.

1945 წელს 40 წელი შესრულდა ა. წულუკიძის გარდაცვალებიდან. პეტრე შარიამ გადაწყვიტა ამ თარიღისათვის რუსულ ენაზე გამოეცა წულუკიძის რჩეული თხზულებების ტომი. სამი თვე თვითონ ჩაუჯდა სტატიების თარგმანს. წიგნი პოლიტბიუროს ყველა წევრს დაურიგდა.

რამდენიმე ხნის შემდეგ იგი სასწრაფოდ გამოიძახეს სკკპ (ბ) ცეკას მდივან გიორგი მალენკოვთან.

გაირკვა, რომ ერთხელ მალენკოვი სტალინთან იმ დროს შესულა, როცა იგი წულუკიძის ტომს ფურცლავდა. მეც მაქვს ეგო, — უთქვამს მალენკოვს. პასუხად კი მოესმა: „მგონი, ჩემი თხზულებების შესახებაც იყო გადაწყვეტილება?“

კაბინეტიდან გამოვიდა თუ არა, მალენკოვმა ცნობების შეგროვება დაიწყო. მართლაც, სტალინის თხზულებათა კრებულის გამოცემის შესახებ გადაწყვეტილება დაახლოებით 1935 წელს მიუღიათ. შარიას სიტყვით, სტალინის თხზულებებზე მაშინ დაწყებული მუშაობა მოჩალოვის გამო დამუხრუჭებულა, რომელიც ათი წელი „ეჯდა სტალინის განყოფილებას „იმელში“. ვასილ მოჩალოვი (1902-1970 წ. წ.) 1938-1945 წ. წ. ხელმძღვანელობდა ამ ინსტიტუტის ი. ბ. სტალინის სექტორს, ერთ-ერთი ავტორი იყო წიგნისა „იოსებ ბესარიონის ძე სტალინი. მოკლე ბიოგრაფია“ (1939 წ. მეორე, შესწორებული და შევსებული გამოცემა გამოვიდა 1950 წ.). 1945 წელს, როგორც ჩანს, შარიას მიერ აღწერილი ამბის შემდეგ, ამ სამუშაოდან გადააყენეს. იყო ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, 1960-66 წ. წ. — ჟურნალ „სსრკ ისტორიის“ მთავარი რედაქტორი.

აღმოჩნდა, რომ მოჩალოვს გამოსაცემად მზად არ ჰქონდა სტალინის შრომების ტექსტები, უფრო მეტიც, ეს შრომები შეგროვებულიც არ იყო თურმე.

შარიამ საგანგებოდ შეისწავლა სტალინის სტილი,სტალინის ნაშრომებს მიაკვლია მრავალრიცხოვან ხელმოუწერელ საგაზეთო სტატიებს შორის და ეს ადრეული ნაშრომები რუსულ ენაზე თარგმნა. მოჩალოვი კი წინააღმდეგობას უწევდა, „ეს კამენევია, ეს უცნობია ვინ არისო“.

ერთხელ თურმე სტალინთან შეკრებილი არიან გიორგი ალექსანდროვი (პარტიული მოღვაწე და ფილოსოფოსი, აკადემიკოსი, იმ დროს სკპ (ბ) ცკ-ის პროპაგანდისა და აგიტაციის სამმართველოს ხელმძღვანელი), ვლადიმერ კრუჟკოვი (ფილოსოფოსი, სკპ (ბ) ცკ-თან არსებული მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტის დირექტორი), მარკ მიტინი (მარქსისტულ-ლენინური ფილოსოფიის წამყვანი სპეციალისტი, აკადემიკოსი, 1939-1944 წ. წ. მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტის დირექტორი, მარქსის, ენგელსის, ლენინის თხზულებათა გამოცემების ხელმძღვანელი), ვასილ მოჩალოვი და პეტრე შარია.




სტალინმა სიტყვა მოჩალოვს მისცა. მან განაცხადა, ქართველი ამხანაგები, რა თქმა უნდა, კეთილი განზრახვით, მზად არიან სტალინს სხვისი ნაშრომები მიაწერონო. სტალინმა სთხოვა კონკრეტულად ეთქვა. ყველას ენა ჩაუვარდა.

„იქნებ შარიამ თქვას“?

„დიახ, ვიტყვი — დაიწყო შარიამ — ასეთი თავხედობა ჯერ არ მსმენია. „თუ შეიძლება, ლანძღვის გარეშე“! — შეაჩერა იგი სტალინმა.

შარიამ ემოციები მოთოკა და განაცხადა, არაფერს არ ვამატებ, ანონიმური სტატიები იმიტომ მოვამზადე და წარმოვადგინე, რომ მათი ავტორობის შესახებ თვით ავტორს ვკითხოთო.

„ეგრე იყოს! — და სტალინი ნაშრომებს ათვალიერებს — ჩემია, ჩემია (მოჩალოვი ფითრდება), ჩემი არ არის (მოჩალოვს ფერი უბრუნდება)“.

„დახედეთ, ამხანაგო სტალინ! — ეუბნება შარია, — ეს ხომ თქვენი ენა, თქვენი კომპოზიციაა“.

„ა, გამახსენდა, — წარმოთქვა სტალინმა, — ამ სტატიის წერა მე დავიწყე, მაგრამ წასასვლელი ვიყავი და ჩემი თეზისებით იგი დავითაშვილმა დაამთავრა“.

ერთ-ერთი შეხვედრის დროს შარიამ თურმე სტალინის ყურადღება მიაპყრო იმაზე, რომ არ ივარგებდა თხზულებათა „კუსტარულად“ გამოცემა, საჭირო იყო სარედაქციო კოლეგია. „შემოგთავაზეთ“ — უთხრა სტალინმა.

შარიამ პირველად ი. სტალინის თანაშემწე პოსკრებიშევი დაასახელა და თანამოსაუბრეთა გაკვირვებულ რეაქციაზე უპასუხა, მხოლოდ პოსკრებიშევს შეუძლია ყოველთვის მიმართოს ავტოროსო. სტალინმა უარყო პეტრე პოსპელოვის კანდიდატურა (სკპ (ბ) ცკ-ის პროპაგანდისა და აგიტაციის სამართველოს გამგის მოადგილე და „პრავდის“ რედაქტორი. 1953 წ. სკკპ ცკ-ის მდივანი გახდა, იმავე წლის ოქტომბერში — აკადემიკოსი).

რედკოლეგიის წევრები უკეთეს შემთხვევაში კორექტურული სწორებით შემოიფარგლებოდნენ. სერიოზული შენიშვნები პირველი ტომისათვის მხოლოდ შარიამ მოამზადა და პოსკრებიშევს გაუგზავნა. ერთხელ სტალინის თანაშემწემ მოსკოვში ყოფნისას თავისთან გამოიძახა. აღმოჩნდა, რომ პოსკრებიშევმა სტალინს არც კი უთხრა რაიმე ამ შენიშვნებზე: „სულელი ხომ არ გგონივარ? ასეთი სწორებით, თუ გინდა, თვითონ მიდი მასთან“. ჰოდა, სტალინს მოახსენა, შარია ჩამოვიდა პირველ ტომზე წინადადებებითო.

სტალინი კითხულობს ხაზგასმულ თავის ფრაზას: „პროლეტარიატს ვემხრობით, იმიტომ რომ მომავალი მას ეკუთვნის“ და შარიამ მიმართავს: „რა არ მოგწონთ აქ“? შარიამ უპასუხა, ახლა მარქსიზმს აკრიტიკებენ პრაგმატიზმისთვის, მორალის უქონლობისთვისო და ასე შეცვლა შესთავაზა: „ჩვენ პროლეტარიატს ვემხრობით იმიტომ, რომ იგი კერძო საკუთრების წინააღმდეგია“. სხვა ადგილას სტალინი პლუს ნიშნით წერდა ნეოდარვინიზმზე. მაგრამ ამჟამად ნეოდარვინიზმი სხვაგვარად ფასდება, შეედავა შარია და ურჩია შეფასება შეეცვალა ან საეროდ ამოეღო ტექსტის ნაწილი. „ეს შემგუებლობა იქნება“! „არა, თქვენ ავტორი ხართ, თქვენ უფლება გაქვთ“.

კამათი დიდხანს გაგრძელდა. სტალინმა მიიღო შარიას წინადადებები. შემდეგ ბრძანება გასცა, შარიას სწორებები ჩემთან შეუთანხმებლად გაიგზავნოს ხოლმე დასაბეჭდადო.

შარია ახლაც, ამდენი წლის შემდეგაც ბედნიერი იყო მისდამი გამოცხადებული ნდობითო, წერს ფ. ლაგოვეშჩენსკი და თავის მხრივ დაუმატებს, ეს ყველაფერი შარიამ მოგვაწოდა როგორც იმის ილუსტრაცია, რომ „სტალინთან შეიძლებოდა წინააღმდეგობის გაწევა, მასთან შეიძლებოდა კამათი — აბა რა ტირანი იყო ის“?

არ დაგვავიწყდეს, რომ იგი სწორედ ი. სტალინის ბრძანებით ჩასვეს „მეგრელთა საქმესთან“ დაკავშირებით: მე დასაპატიმრებელთა სიაში პირველი ვეწერე, მაგრამ თავიდან სტალინმა ამომშალა. შემდეგ კი, როცა დაარწმუნეს ჩემს დანაშაულში, თვითონ დარეკა, აიყვანეთო. მაგრამ არავითარი წყენა სტალინის მიმართ არ შემორჩენოდა — „ასე იყო საჭირო“!

ასე იგონებდა პეტრე შარია. ახლა ღმერთმა იცის, რა არის ამასში ნაღდი და ხალასი და რა — მიმატებული და შელამაზებული, მაგრამ თავისთავად, იმ სახითაც, როგორც ჩვენამდე მოვიდა, ვფიქრობ, საინტერესო უნდა იყოს მკითხველისთვის.

**ალეკო ასლანიშვილი.**

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

საქართველოს რესპუბლიკა
№ 163, ორშაბათი, 23 ივნისი, 2003 წელი.

## გულახდილი საუბრები: ქართული ესტრადა დღეს

**დღეს ქართულ საესტრადო ხელოვნებას, შეიძლება ითქვას, ახალი და ფართო ასპარეზი მიეცა. მხედველობაში გვაქვს სასიმღერო ჟანრი, რომლის ბუმი ამჯერად აშკარაა. სცენაზე სულ ახალ-ახალი ვარსკვლავები ჩნდებიან ახალი სიმღერებით, ახალი პროექტებით. ძალას იკრებს და თანდათან აქტიურდება შოუ-ბიზნესი. ეს ყოველივე დრომ მოიტანა, მაგრამ სამწუხაროდ, დღევანდელ საესტრადო „პროდუქციას" ობიექტური შეფასება აშკარად აკლია, თითქმის არ ჩანს ამა თუ იმ სიმღერის საჯაროდ შემფასებელი კაცი, არადა, მცირე გამონაკლისის გარდა, სცენა დაიპყრეს სიმღერის მკეთებლებმა, „მოლექსეებმა". მოჭარბდა არაქართული ინტონაციები და რიტმები. არც მსმენელი აკლია საკონცერტო დარბაზებს, უმეტესად ახალგაზრდობა, ეგრეთ წოდებული თინეიჯერები ავსებენ მათ.**

**ქართული საესტრადო მუსიკის პრობლემებზე ჩვენს გაზეთში ადრეც გვისაუბრია. რა გამოვიდა? ქარავანი მიდის. იქნებ ეს საუბარი წაადგეს ჩვენი ესტრადის, შოუბიზნესის პრობლემებს? ვნახოთ. ამჯერად ჩვენს კითხვებს უპასუხებენ საყოველთაოდ ცნობილი, ქართველი ხალხის საყვარელი კომპოზიტორები.**

**1. რას იტყვით თანამედროვე ესტრადის შესახებ, რით იკვებება იგი დღეს?**

**2. რატომ უნდა აძლევდეთ ხელს ჩვენი ესტრადის მომღერლებს ნასესხები ინტონაციებით შეთხზული სიმღერის შესრულება?**

**3. შესაძლებელია თუ არა ამ სუროგატის მოზღვავების შეჩერება, თუ თვითონ გადაჰყვება დროს?**

**4. რა აზრის ბრძანდებით გარემიქსებულ ძველ სიმღერებზე? გემოვნებაზე არ დავობენ და ის, რაც ჩვენ არ მოგვწონს, თურმე ძალიან მოსწონთ თინეიჯერებს...**

**5. და მაინც, როგორ გესახებათ ქართული საესტრადო მუსიკის მომავალი?**

**ვაჟა აზარაშვილი:** ყველა თაობას უჩნდება ახალი სურვილები, მაგრამ საჭიროა ზომიერების დაცვა. დღეს ესტრადიდან უმეტესად ვისმენთ უცხოური სიმღერების უნიჭო მიბაძვით შექმნილ ნაწარმოებებს. ქართველმა კაცმა ქართული მუსიკა უნდა წეროს. შესაძლოა ადამიანმა უცხოური მიმართულებები გადმოიღოს, მაგალითად როკი, რეპი, მაგრამ ამის გაკეთება ქართულადაც შეიძლება, ბრმად გადმოღება კი არა. ეს პლაგიატობაა და დილეტანტიზმია. ყველაზე დიდი უბედურება კიდევ ის არის, რომ ჩვენი მომღერლები ამერიკული მანერით ასრულებენ ფსევდო-ქართულ სიმღერებს. ეს უკვე დილეტანტიზმის აპოთეოზია. კიდევ კარგი, აღიარებული მომღერლები ამას არ კადრულობენ, ამაზე უნდა დავფიქრდეთ. ერთხანს მოდაში შემოვიდა ვოკალური თანხლება (ბეკები), ანუ როცა გამოიყენება იმიტაციის ხერხი. პირველად ამ ხერხით დაწერილი ოცდაათამდე სიმღერები რომ მოვისმინე, მომეწონა, მაგრამ როცა უკვე ბევრი დაიწერა, სტერეოტიპი გაჩნდა და მან ინტერესი დაკარგა. მიმბაძველობას კარგი არაფერში მოუტანია.

ძალიან სცოდავს პროპაგანდა. ჩვენი სატელევიზიო არხები და რადიო (განსაკუთრებით დამოუკიდებელი) ცუდ, უგემოვნო, კომერციულ მუსიკას უწევენ პროპაგანდას. სახელმწიფო ტელევიზიის | არხმა უნდა შეცვალოს თავისი დამოკიდებულება მოყვარულთა სიმღერების მიმართ, რომელთა უმეტესობა ლექსზე კი არა, სიტყვების რახარუხზეა შექმნილი. ყველაფრის გამოტანა ეკრანზე და ეთერში არ შეიძლება. ახალგაზრდობა კარგ ნიმუშებზე უნდა აღიზარდოს, სავსებით შესაძლებელია, დრომ შეიტანოს ამ სფეროში კორექტივი, ნათქვამია, „წყალნი წავლენ და წამოვლენო", ოღონდ კარგი ნაწარმოებების დაპირისპირებით. მოყვარულთა შორისაც არიან ნიჭიერნი. მათ პირობები უნდა შევუქმნათ. დღეს, სამწუხაროდ, ყველანაირი ტექნიკა თუ ფინანსები ხელთა აქვთ იმ პიროვნებებს, რომლებსაც მუსიკალური განათლება არ გააჩნიათ; გამოდის რომ, თუ მე უფულო ვარ, ჩემი სიმღერა აღარ უნდა ისმოდეს ეკრანზე? მე მგონია, რომ კლიპში სიმღერა ბოლო პლანზე გადადის, წინ კი სექსომანია დგას.

სიმღერის გაახლებას, გარემიქსებას რომ უწოდებენ, გააჩნია ვინ და როგორ გააკეთებს. მაგალითად, ლირიკულ სიმღერას დისკოს რიტმს თუ მიუსადაგებ, ყველაფერი დაიკარგება. არანჟირებისას ხშირად სიმღერას ზომებს უცვლიან, რაც ამორფულია. საბაზრო ეკონომიკამ არ უნდა გააბაზროს ყველაფერი. შოუბიზნესის მოწინააღმდეგე არავინ არ არის, ოღონდ ეს მაღალხარისხოვნად, მაღალ დონეზე უნდა გაკეთდეს.



# პლაგიატობისა და დილეტანტიზმის აპოთეოზი

კრიტიკის არარსებობა ალაღებს დილეტანტიზმს. მახსოვს, როცა ჩემი თაობა გამოდიოდა ასპარეზზე, იყო სამხატვრო საბჭოები და მისი დასტური ჩვენთვის ყველაფერს ნიშნავდა. ნაწარმოების დაბეჭდვის შემთხვევაში კი გამომცემლობებშიც მკაცრი ჟიური არსებობდა. ისე არ გამიგოთ, რომ მე ამ ბარიერების აღდგენის მომხრე ვარ, მაგრამ რაღაც კონტროლი ხომ უნდა არსებობდეს? დღეს ერთი სიტყვა რომ დაგცდეს კრიტიკული, მტრობას დაგაბრალებენ. ეს არ არის დემოკრატია!

პროფესიონალ კომპოზიტორებს დღეს არანაირი მატერიალური ხელშეწყობა არა აქვთ, არც სახელმწიფოსაგან, არც მეცენატებისაგან. დროს დაველოდოთ, მოვლენ ახალი თაობები და, ალბათ, კარგი და ცუდი განირჩევა.

**ნუნუ დუდაშვილი:** დრომ მოიტანა ყოველივე. ყველაფერი და ძალიან ბევრი ადამიანი ჩაერთო დღეს ხელოვნებაში: ნიჭიერი თუ უნიჭო, პროფესიონალი თუ არაპროფესიონალი, ვისაც სხვა რამეში მოეცარა ხელი, ესტრადას მიეძალა, ჩემი აზრით, ეს შეუქცევადი პროცესია.

სამწუხაროდ, სცენაზე დღეს დგანან ისეთი მომღერლები, რომლებსაც განათლების საეჭვო დონე აქვთ. შემსრულებელთა უმეტესობა ცდილობს აჰყვეს დროს, მსმენელის გული მოიგოს, მსმენელთა უმრავლესობა კი ისეთი ადამიანებისაგან შედგება, რომლებიც მუსიკით ავსებენ სიცარიელეს. ყველა დროს მოაქვს თავისი მუსიკა. ხელოვნება საზოგადოებრიობის ენერგიაა, მისი სულიერი და ფიზიკური ენერგიის გამოხატულება. იქნებ ჩვენც უნდა დავთმოთ ზოგჯერ რაღაცეები, იქნებ ესეც საჭიროა.

ახლა ძალიან დამკვიდრდა სიმღერის განახლება ახალ ენაზე. ჩემი აზრით, ფოლკლორის ხელის ხლება არ შეიძლება, რაც შეეხება უკვე კლასიკურად ქცეულ სიმღერებს, მათ განახლებაში ნაკლებ დანაშაულს ვხედავ, ცხადია, თუ ეს გემოვნებით არის გაკეთებული. ამ გზით ნაწარმოები ახალ მწვერვალზე უნდა აიყვანო.

პირადად მე, არც ვარსკვლავების სიმრავლე მაღიზიანებს, საქმე იმაშია, რომელი გაკაშკაშდება, რაკი ასე უნდათ და სიამოვნებთ, დე, გაახარონ გული. ძალიან მაწუხებს, როცა სიმღერა ტექსტზე იწერება და არა ლექსზე; ირგვლივ უამრავი ნიჭიერი პოეტია, ხალხურ მთქმელთა შორისაც, მაგრამ მათ ამღერებას არავინ ცდილობს.

როცა ყოფა შეიცვლება და ერის ცხოვრებაში ნათელი პერიოდი დადგება (თუ არ დადგება, ერიც მოკვდება), მატერიალური დონე ამაღლდება და გაჩნდება ათვლის წერტილი, ხალხი გონების შესაფერისი საქმიანობით დაკავდება, მაშინ გზას ნამდვილ ხელოვანებს დაუთმობენ, ისევ დალაგდება და დაიხვეწება ყველაფერი, მსოფლიოში ამის დიდი ტრადიცია არსებობს. ნიჭიერება მთავარია, და მის შეცნობასაც განათლება უნდა, შეფასებასაც უნდა სათანადო დონე, ცოდნა, კულტურა, გემოვნება. დიდი გემოვნების კრიტერიუმები არსებობს, რასაც ნიჭიერება და განათლება იძლევა.

**იაკობ ბობოხიძე:** დღევანდელი პერიოდი ქართული ესტრადისა, ჩემი წარმოდგენით, დაფიქსირდება დეგრადაციის ხანად და, აი, რატომ: მიმბაძველობა, რომელიც დღეს ძალიან გაბატონდა საესტრადო შემოქმედებაში, დამღუპველია, რამეთუ იგი მეორადია, დოღს ვუწოდებდი იმას, რაც დღეს ხდება სცენაზე. მღერიან არამომღერლები, წერენ არაკომპოზიტორები და ყოველივე ამას ხელს უწყობენ არაპროფესიული სატელევიზიო არხები და რადიო, რამეთუ ამდენი ვარსკვლავი საქართველოს გარდა, დღეს მსოფლიოს არც ერთ ქვეყანას არ ჰყავს. არა პოეზია, არა სული, არა მუსიკა — აი, ეს არის დღეს ჩვენი ესტრადა, ზოგიერთი გამონაკლისის გარდა. იმათ კი, ვისაც ეს საკითხი ეხება, სამწუხაროდ, სძინავთ.

ბევრ მომღერალს არა აქვს ხმა, სული, მაგრამ გამოჩენა, თავისი თავის ჩვენება უნდა და ამისათვის ყველანაირ ხერხს მიმართავს. ახალგაზრდობას აღზრდა უნდა და ასეთი აღმზრდელების ხელში ქვეყანა დაიღუპება. უცხოური ანდაზაა: დაღუპე ქვეყნის ახალგაზრდობა და დაიღუპება ქვეყანა...

ყოველივე ცუდი და სუროგატი ქვეყანაში კანონმა უნდა შეაჩეროს. ამის მაგალითები მსოფლიოში ბევრია. მაგალითად, საფრანგეთმა კანონით ბევრი რამ დაიცვა, ინგლისური ენაც კი აკრძალა თავის ქვეყანაში. სულიერი ფასეულობები უნდა შეფასდეს ისე, რისიც ღირსია. გემოვნებაზე არ დავობენო, — მართალია, გემოვნებაზე არ დავობენ ტოლი ნიჭისა და ტოლი გემოვნების ადამიანები.

უბედურებად მიმაჩნია, როცა უცხოურ სიმღერებს ქართულად გადმოაკეთებენ, მახვილები და მარცვლები საშინლად მახინჯდება. შოუბიზნესი მოდაა და მე მეიმედება მისი, იგი დახვეწავს ბევრ რაღაცას; კაცი რომ ფულს იხდის, ის ტყუილუბრალოდ არ გადაყრის მას. ფული ისეთი რამეა, ბევრს აკეთებს, მაგრამ ყველაფერს ვერა, — სულს ვერ ჩაუდგამს, ლექსს ვერ დაწერს.

მე ვფიქრობ, დროთა განმავლობაში ყველაფერი ეს მობეზრდება ხალხს და პროფესიონალიზმი გაიმარჯვებს.

**ნუნუ გაბუნია:** მიმაჩნია, რომ ჩვენი ესტრადა დღეს სავალალო მდგომარეობაშია, მიუხედავად იმისა, რომ გვყავს შესანიშნავი შემსრულებლები, ბევრი მათგანი ნებისმიერი ქვეყნის სცენას დაამშვენებდა. მაგრამ ერთხელ ერთ ცნობილ მომღერალს ვკითხე, რატომ მღერი ამ სიმღერას-მეთქი? მან მიპასუხა — ეს რომ არ ვიმღერო, კონცერტში არ ჩამრთავენო. ახლა ვიწყებთ შოუბიზნესში გარკვევას, მაგრამ სანამ სწორ ლიანდაგზე დავდგებით, ამ მხრივ ძალიან ბევრი გვაქვს გასაკეთებელი, ნამდვილი შოუბიზნესის არსს რომ ჩავწვდეთ.

ცუდი იმიტომ მოეძალა დღეს ესტრადას, რომ კონტროლი აღარ არის, აღვირახსნილობასა და თავისუფლებას შორის დიდი განსხვავებაა. ხშირად ვუსმენ ნაწარმოებს და ვფიქრობ, ნეტავ რა ენაზე მღერის-მეთქი შემსრულებელი და შევმცდარვარ, ქართული ყოფილა, ეს მახვილის დამახინჯების გამო ხდება. რა თქმა უნდა, წინ მივდივართ, ახალი შემოდის, რიტმიკის თუ მეთოდიკის თვალსაზრისით, მაგრამ ჩვენ მდიდარი ტრადიციების მქონე ქვეყნის შვილები ვართ და ეს გზა არ უნდა დავკარგოთ. ქართული სასიმღერო კულტურა, ფაქტობრივად, მივიწყებას ეძლევა. მაგალითად, მელოდიკა, რაც ძალიან მნიშვნელოვანია სიმღერაში, სამაგიეროდ ზანგური, აღმოსავლური ჰანგები გვეძალება.

სიმღერების გაახლებას მივესალმები, თუ ის კარგად იქნება შესრულებული. ნიჭიერი არანჟირებით შეიძლება ყმაწვილი ისეთი ქმნილებებისკენ მოაბრუნო, რაც ისე, დამოუკიდებლად, არ იპყრობდა მის ყურადღებას.

სუროგატს რა შეაჩერებს. მე მგონი, ეს შეიძლება ზღვაზე მოვარდნილ დიდ ტალღას შევადარო, იგი ხომ ნაპირზე არ დარჩება. დროც დაწმინდავს, საცერში გაატარებს. ახალგაზრდობას სწორი აღზრდა სჭირდება, ამიტომ ხშირად უნდა მივაწოდოთ კარგი პროდუქცია ტელეეკრანიდან; სამწუხაროდ, ამის საშუალება ნაკლებადა აქვს პროფესიონალ კომპოზიტორებს და აი, რატომ: ერთი სიმღერის არანჟირებას 500 დოლარი სჭირდება, შემდეგ ხდება მისი ჩაწერა. სტუდიაშიც გვარიანი თანხაა გადასახდელი, ასე რომ, ერთი სიმღერა 1000 დოლარი მაინც ჯდება. ცოცხალი შესრულება ნაკლებად აინტერესებთ. წინათ რადიო-ტელევიზიის სიმფონიური ორკესტრი ამას უანგაროდ, ენთუზიაზმით აკეთებდა. ფონდში რაც არის შემონახული, ყველაფერი ამ ორკესტრის დამსახურებაა. დღეს კი არავის სჭირდება ეს ორკესტრი, თუმცა კაპიკების ფასად ემსახურება ქართულ მუსიკას.

* * *

ამჯერად, საბაასოდ, მხოლოდ პროფესიონალ კომპოზიტორებს ვუხმეთ. თემას გავაგრძელებთ, გაზეთის ფურცლებს სხვათა მოსაზრებებსაც დავუთმობთ, ძირითადად ახალგაზრდა კომპოზიტორებსა და მომღერლებს, ვესაუბრებით ყველას, ვისაც ქართული საესტრადო მუსიკის ავ-კარგი აწუხებს.

**რუსუდან მუხიგულაშვილი.**

## მსოფლიო შტრიხებში

# ყველაფერი ნივრის ბრალია

**ის დიდხანს მუშაობდა ინგლისის ერთ-ერთ უდიდეს სამხედრო ქარხანაში და ისე იყო შენიღბული, რომ ყველას ინგლისელი ეგონა. ასე აგროვებდა საიდუმლო მასალებს იტალიელი ჯაშუში კარლო პერუჯი და რომში გადასცემდა.**

**ამას წინათ პერუჯიმ ლონდონში ახალი სახლი იყიდა და მის დასალოცად ქარხნის თანამშრომლები მოიწვია. სტუმრებს შორის იყო კაცი, რომლის ქალიშვილი იტალიელ სტუდენტზე იყო გათხოვილი და, ასე თუ ისე, იცნობდა იტალიურ სამზარეულოს.**

**ამიტომაც იტალიელის სიმამრის ყურადღება მიიპყრო მასპინძლის მენიუს ერთგვარმა თავისებურებამ — ზოგიერთი კერძი ძალზე წააგავდა იმ იტალიურ საჭმელებს, რომლითაც სიძე უმასპინძლდებოდა. ფხიზელ ინგლისელს განსაკუთრებით საეჭვოდ მოეჩვენა ნივრით შენელებული ზოგიერთი კერძი, რაც ასე უჩვეულოა ნისლიანი ალბიონის მოსახლეობისათვის.**

**ეჭვიანი სტუმრის დაბეზღებით პერუჯი ჯერ ქარხნის სპეცსამსახურმა შეამოწმა, შემდეგ კი — სამეფოს უშიშროებამ, რასაც ნივრის მოყვარული ჯაშუშის მხილება მოჰყვა.**

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა"!

# სპორტი

ბილიარდი

## „ცხრიანი“ და „ჩარლი“




**საბილიარდო კლუბ „ოლიმპიკში“ 22-მა ქალთა და 26-მა ვაჟმა, რომლებიც წარმოადგენდნენ თბილისს, სოხუმს, ქუთაისს, ლანჩხუთსა და ოზურგეთს, გაათამაშეს საქართველოს ჩემპიონატის ჯილდოები ამერიკული პულის სახეობაში „ცხრიანი“.**

ქალთა ფინალურ შეხვედრაში (შვიდ მოგებამდე) თბილისელმა თეონა შარეიძემ ანგარიშით 7:5 სძლია თანაგუნდელ სოფო ფირცხალაიშვილს. მესამე ადგილზეა ასევე დედაქალაქელი ნათია დოლიძე. ვაჟთა გადამწყვეტ თამაშში (თერთმეტ მოგებამდე) ემილ თოფჩიევმა 11:6 დაამარცხა გაგა რიქამაძე, ბრინჯაოს მედალი მოიპოვა ლადო ასათიანმა. ეს სამეული წარმოადგენდა თბილისს. სამახსოვრო პრიზი — „ყველაზე ახალგაზრდა მონაწილე“ — გადაეცა 11 წლის ლაშა ლომაიას, ხოლო ყველაზე ხნიერი მოასპარეზე გახლდათ 63 წლის თემურ დონაძე (ორივე თბილისი).



თუ გასულ წლებში ევროპის ჩემპიონატებში მონაწილეობისათვის საქართველოს უთმობდნენ ორ ადგილს ვაჟებში, ეს ციფრი წლეულს ოთხამდე გაიზარდა. კონტინენტის ასპარეზობა გაიმართება ოქტომბერში. ჩემპიონატის გამართვის ადგილი ზუსტდება — გერმანია, ან ბელგია.

* * *

ბილიარდის მოყვარულებს კიდევ ერთი კერა დაემატა — გაიხსნა საბილიარდო კლუბი „ჩარლი“, რომელიც მარჯანიშვილის 24-შია განთავსებული. ორ დარბაზში ხუთი სათამაშო მაგიდაა (ორი კლასიკური პირამიდის, სამი კი ამერიკული პულისთვის). ფუნქციონირებს ბარი. კლუბის მესვეურებს გადაწყვეტილი აქვთ ბილიარდის სპორტული სკოლის გახსნა, სხვადასხვა მასშტაბის შეჯიბრებების გამართვა.

**ამირან გაგნიძე.**

**სურათებზე: საბილიარდო „ჩარლი“; ასპარეზობის მომენტები; ქალთა და ვაჟთა ტურნირებში გამარჯვებულნი.**

**რობერტ ბაზოიანის ფოტო.**







თაობა

## ბარსელონა — იმედის ქალაქი

**ადიდებულ მდინარეს ჰგავდა „ლაგუნა ვერეს“ ცისფერი ბილიკები. ოთხი დღის განმავლობაში აქ მიმდინარეობდა საბჭოთა კავშირისა და საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის — ლუკა იოაკიმიდის ხსოვნის ტურნირი. ერთ-ერთი პირველი ავიდა კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე საქართველოს ნაკრების წევრი, 22 წლის ზურაბ ხომასურიძე, რომელმაც 50 მეტრზე გულაღმა ცურვაში გაიმარჯვა.**

**ზურაბ ხომასურიძე თბილისში დაიბადა და გაიზარდა. წლეულს სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტი დაამთავრა. თექვსმეტი წელიწადია, ცურვაში ვარჯიშობს ირინა მინჟულინას ხელმძღვანელობით.**

— თოთხმეტი წლისამ პირველად მოვიპოვე საქართველოს ჩემპიონობა, — მითხრა შეჯიბრების დამთავრების შემდეგ ზურაბმა, — რვა წელიწადია, სხვადასხვა სახეობასა და დისტანციაზე უმეტესად პირველ ადგილებს ვიკავებ.

**— გამორჩეულად რომელი სახეობა გიყვარს?**

— ბატერფლაი. ალბათ, შემთხვევითი არ იყო, რომ 1995 წელს სწორედ ამ სახეობაში მოვიპოვე ოქროს მედალი ირანის საერთაშორისო ტურნირზე. მაშინ სამი ბრინჯაოს მედალიც დავიმსახურე, ოღონდ თავისუფალი ყაიდით ცურვაში.



**— საერთაშორისო ტურნირებში ხშირად მონაწილეობ?**

— სამწუხაროდ, უსახსრობის გამო უცხოეთში გამგზავრებას იშვიათად ვახერხებ. შარშან თურქებმა თავიანთ საკლუბო ჩემპიონატში მიმიწვიეს. „ფენერბახჩეს“ შემადგენლობაში მეორე ადგილი დავიკავე. ამ შეჯიბრებაში ბულგარელებიც მონაწილეობდნენ ცალკე გუნდად და სწორედ მათმა წარმომადგენელმა მაჯობა მცირედით. ამის მიუხედავად, „ფენერბახჩეს“ კლუბის ხელმძღვანელობას, როგორც ჩანს, მოვეწონე და კარგი კონტრაქტიც შემომთავაზა ერთი პირობით — ეროვნება შემეცვალა. უარი ვუთხარი და თბილისში დავბრუნდი. მართალია, ბატონი ვლადიმერ გოიაშვილი, როგორც წყალჯომარდობის ფედერაციის პრეზიდენტი და „ლაგუნა ვერეს“ დირექტორი, სულსა და გულს არ გვაკლებს, რაც შეუძლია, გვეხმარება, მაგრამ რა ქნას — ფედერაციას მწირი შემოსავლები აქვს. არადა, შეჯიბრებებში თუ არ გამოვედით, მარტო წვრთნით მაღალ შედეგებს ვერ მივაღწევთ.

**— ლუკა იოაკიმიდის ხსოვნის ტურნირზე რას იტყვი?**

— კარგი ასპარეზობა იყო. აზერბაიჯანელთა მონაწილეობამ მას დაძაბულობა შემატა. ნაყოფიერი გამოდგა იგი ჩვენთვის — საქართველოს ნაკრების წევრებისთვის. 13-27 ივლისს ბარსელონა მსოფლიო ჩემპიონატს უმასპინძლებს. ამ შეჯიბრებაზე ქალბატონ ირინა მინჟულინას ხელმძღვანელობით გავემგზავრებით მე, ლევან ბერიძე და ოლეგ ფეიქრიშვილი. ხარჯებს ცურვის მსოფლიო ფედერაცია გაიღებს. ეს ჩემპიონატი იმით არის მნიშვნელოვანი, რომ იქ 2004 წლის ათენის ოლიმპიური თამაშების პირველი საგზურები გათამაშდება.

**— როგორი შანსები გაქვთ?**

— იცით, რომ ლევან ბერიძე ამერიკის შეერთებულ შტატებში სწავლობს და უნივერსიტეტის | ლეგიონის გუნდში ვარჯიშობს. პირობები კარგი აქვს და თავგამეტებითაც ემზადება. ოლეგ ფეიქრიშვილიც კარგ სპორტულ ფორმაშია, რაც ამ შეჯიბრებაზეც დადასტურდა. არც მე ვარ ურიგოდ მომზადებული, თუმცა, ამჯერად ელადის საგზურის მოპოვება ძალიან გაგვიჭირდება. ვნახოთ, როგორ შევძლებთ ლიცენზიისთვის საკვალიფიკაციო ნორმატივების შესრულებას. მკითხველისთვის ნათელი რომ იყოს, უფრო მარტივად ვიტყვი: მაგალითად, ბატერფლაით 100 მეტრზე ცურვაში ვინც აჩვენებს 56,4 წამს, მას საგზური გარანტირებული აქვს, იმის მიუხედავად, ჩემპიონატზე რომელ ადგილს დაიკავებს.

**— შენი საუკეთესო შედეგი თუ უახლოვდება სალიცენზიო ნორმატივს?**

— წლეულს გაზაფხულზე ასმეტრიანი დისტანცია 57,7 წამში დავფარე. წინ თითქმის თვეა, საკუთარი რეკორდის გაუმჯობესება თუ ვერ შევძელი, ტრაგედიად არ ჩავთვლი, რადგან კიდევ რამდენიმე სალიცენზიო შეჯიბრება გველის: მათ შორის — ევროპის ჩემპიონატი, რომელსაც გაისად მაისში მადრიდი უმასპინძლებს. ყოველმხრივ ვეცდები, საქართველოს ოლიმპიურ გუნდში მოვხვდე. ლევან ბერიძეს, ალბათ, ამის პრობლემა არ ექნება. იგი ამერიკის წყალთა სახეობების ფედერაციაშიც არის გაწევრებული და ოკეანის გაღმაც შეუძლია, ათენში გამგზავრების უფლება მოიპოვოს...

როგორც ცნობილმა მწვრთნელმა ირინა მინჟულინამ მითხრა, ქართველი „დელფინები“, ბარსელონისკენ რომ აპირებენ „გაცურვას“, ძალიან ყოჩაღი, პერსპექტიული ყმაწვილები არიან და მათგან წარმატებებს უნდა ველოდოთ. მით უმეტეს, რომ ბარსელონა ქართველ სპორტსმენებს კარგად აქვთ დაცდილი: 1970 წელს სწორედ აქ მოიპოვა ევროპის ჩემპიონობა სასიქადულო ქართველმა მოცურავემ თინათინ ლეკვეიშვილმა, ბარსელონაში გახდნენ ოლიმპიური ჩემპიონები კახი კახიაშვილი, დავით ხახალეიშვილი და ლერი ხაბელოვი.

ვიმედოვნებთ, რომ ბიჭები შეძლებენ, ჯერ სერვანტესის, შემდეგ კი ჰომეროსის სამშობლოში ასახელონ რუსთაველის ქვეყანა.

**ვაჟა დანელია.**

**სურათზე: ზურაბ ხომასურიძე.**

ოლიმპიზმი

## კეთილშობილი მიზანი

საერთაშორისო ოლიმპიური აკადემია, რომელიც 1961 წელს შეიქმნა, ბერძნული ეროვნული ორგანიზაციაა. მას დაარსების დღიდანვე მხარს უჭერს სოკი. მისი მიზანია სპორტის პედაგოგიკური და სოციალური პრინციპების შესწავლა, პრაქტიკული განხორციელება და ოლიმპიური იდეოლოგიის განმტკიცება. აკადემიის თემატიკა განსაზღვრულია შემდეგნაირად: ოლიმპიური თამაშებისა და საერთოდ სპორტის ფილოსოფია და იდეოლოგია, ანტიკური ოლიმპიური თამაშების ისტორია, თანამედროვე ოლიმპიური თამაშებისა და საერთოდ სპორტის ევოლუცია, სპორტის გავლენა ხელოვნებასა და სოციალურ მეცნიერებებზე, სპორტის მორალური პრინციპები და ამ პრინციპების საფუძველზე სულიერ ფასეულობათა შექმნა.

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური აკადემია, რომელიც 1990 წლის თებერვალში შეიქმნა, იყო საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის სტრუქტურული დანაყოფი. მისი პირველი რექტორი გახლდათ საქართველოს პედაგოგიური აკადემიის წევრი, მეცნიერებათა დოქტორი პროფესორი ავთანდილ ციბაძე. წლეულს, მარტში აკადემია გარდაიქმნა დამოუკიდებელ სტრუქტურად, რომელიც მიზნად ისახავს ოლიმპიზმის პროპაგანდას, ოლიმპიური მოძრაობის ისტორიის გაშუქებას, ოლიმპიური იდეების გავრცელებას, აწყობს სასწავლო სემინარებს, სიმპოზიუმებს, გასვლით სესიებს, გამოსცემს ოლიმპიურ ლიტერატურას, თანამშრომლობს საერთაშორისო ოლიმპიურ აკადემიასთან, მონაწილეობს საერთაშორისო სემინარებსა და კონკურსებში. 1997-1998 წლებში შეიქმნა აკადემიის ფილიალები.

ამას წინათ საქართველოს ფიზიკური აღზრდის და სპორტის სახელმწიფო აკადემიაში გაიმართა წარმომადგენლობითი კრება, რომელშიც მონაწილეობდნენ სპორტის, განათლების, კულტურის, სეოკ-ის რეგიონული ორგანიზაციების წარმომადგენლები. კრებაზე აირჩიეს აკადემიის ხელმძღვანელი ორგანოები, განიხილეს მომავალი საქმიანობის გეგმები. აკადემიის რექტორად კვლავ აირჩიეს სპორტის აკადემიის, სპორტის ისტორიის და მართვის კათედრის გამგე დოცენტი ლელა აფციაური, ხოლო ვიცე-პრეზიდენტებად — სპორტის აკადემიის პრორექტორი პროფესორი გურამ ძაგანია და ქუთაისის სპორტის მუზეუმის დირექტორი, ოლიმპიური აკადემიის იმერეთის ფილიალის ხელმძღვანელი ზურაბ ჯავახაძე.

კრებაზე, აგრეთვე, აირჩიეს აკადემიის გამგეობა და კომისიების ხელმძღვანელები.

**გარი ამირხანოვი.**

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

## აქეთური, იქეთური



### „მშვენიერაძე, რა თქმა უნდა, სივოშს სჯობდა“

**წარსულში ცნობილმა წყალბურთელმა, სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა იური გრიგოროვსკიმ ჟურნალისტებს განუცხადა:**

**– მშვენიერაძემ თავისი თამაშით ყველას რამდენიმე ათწლეულით გაუსწრო. მე მას ბობ ბიმონს შევადარებდი. როცა იგი მექსიკაში ჩატარებულ ოლიმპიადაზე 8 მეტრსა და 90 სანტიმეტრზე გადახტა, საყოველთაო აღიარებით, ეს იყო XXI საუკუნის ნახტომი.**

**წყალბურთის მცოდნეები ხშირად კამათობენ, ვინ უფრო ძლიერი იყო, მშვენიერაძე თუ მისი მუდმივი მეტოქე, დიდი უნგრელი იშტვან სივოში? სივოშს ხელსაყრელ პირობებს მისი მაღალი კლასის გუნდი უქმნიდა, პარტნიორები შესანიშნავი გადაცემებით ამარაგებდნენ, მეტოქეებს ფხიზლად დარაჯობდნენ. ამავე დროს სივოშს უფრო სუსტი მეტოქეები ჰყავდა, ვიდრე პეტრეს. თავდამსხმელი კი უკეთ ჩანს, როცა შედარებით სუსტი მეტოქე ჰყავს.**

**ასე რომ, რა თქმა უნდა, პეტრე უფრო დიდი ოსტატი იყო, ვიდრე ესოდენ განთქმული იშტვან სივოში. მას შეიძლება წყალბურთის პელე ვუწოდოთ.**

### ჩინურ ფეხბურთს რომ უყურებს, გული უწვრილდება

განთქმული ინგლისელი ოსტატი, ლოთობითა და უდისციპლინობით ცნობილი პოლ გასქოინი ახლა ჩინეთის მეორე ლიგის კლუბ „განსუ ტიანმაში“ გამოდის, მაგრამ საკუთარი განცხადებით, თამაშით არავითარ სიამოვნებას არ იღებს. პირიქით, აქაური ფეხბურთის ყურებით, პოლ გასქოინი, როგორც გაზეთი „დეილი მირორი“ წერს, დეპრესიაშიც კი აღმოჩნდა.

ახალი სეზონიდან გასქოინი სამშობლოში დაბრუნებას აპირებს, სადაც მას დიდი სიამოვნებით მოელის მეორე დივიზიონის კლუბ „სტოკფორდის“ მწვრთნელი კარლტონ პალმერი.

### „გოლს რომ გაიტან, რას აკეთებ“?

**ჟურნალისტმა ანდრეი შევჩენკოს ჰკითხა:**



**– ფეხბურთელები გოლის გატანას სხვადასხვანაირად ზეიმობენ. რაული საქორწინო ბეჭედს აკოცებს ხოლმე, კლოზე მალაყს გადადის. თქვენ როგორღა აღნიშნავთ ამ ამბავს?**

**– ეს შთაგონების საკითხი გახლავთ. მე ყოველთვის სხვადასხვანაირად ვიქცევი, ისე, როგორც გრძნობა მიკარნახებს.**

### სჯობს მისთვის შესაფერის გუნდში ითამაშოს!

„მილანის“ ხელმძღვანელობა აპირებს გააუქმოს ხელშეკრულება ბრაზილიელ ლეგიონერ რივალდოსთან და თანახმაა მას კომპენსაციის სახით 3 მილიონი ევრო გადაუხადოს.

„მილანის“ მესვეურები თვლიან, რომ რივალდომ, რომელიც გუნდში შარშან ზაფხულში ჩაირიცხა, ახალ კოლექტივში საერთოდ ვერაფერს მიაღწია. მისგან გოლების გატანას ელოდნენ, მაგრამ ბრაზილიელს ამ მხრივ თავი არ გამოუჩენია.

– „რივალდომ მისთვის უფრო შესაფერის გუნდში უნდა ითამაშოს. მისი სტილი „მილანისათვის“ უცხოა. – ასეთია ექსპერტების დასკვნა.

### დიახ, კანმა აშკარად აიშვა



**როგორც მიუნხენის „ბაიერნის“ მწვრთნელმა ოტმარ ჰიტცფელდმა აღნიშნა, ოლივერ კანმა, მსოფლიოს უძლიერესმა მეკარემ, ამ სეზონში აშკარად აიშვა.**

**ჯერ იყო და, აქაოდა ტრავმა მაქვსო, ნაკრებიდან და კლუბიდან განთავისუფლდა, უნდა ემკურნალა. სინამდვილეში კი ძმასთან ერთად ღამის ბარში წავიდა, დებოში ატეხა, რისთვისაც 10 ათასი ევროთი დააჯარიმეს.**

**შემდეგ იყო, რომ მთელი გერმანია გააოცა. 21 წლის მოცეკვავე ქალს გადაეყარა, მაშინ როცა მისი მეუღლე ფეხმძიმედ იყო და შვილს ელოდებოდა. საქმე განქორწინებითა და ქონების განაწილებით დასრულდა.**

### თასს მეოთხეჯერ დაეუფლა

ინგლისის თასს მეოთხედ დაეუფლა „არსენალის“ მეკარე დევიდ სიმენი, რომელსაც მალე 40 წელი შეუსრულდება. ეს მოქმედი ფეხბურთელებისათვის სარეკორდო მიღწევა გახლავთ. აი წინათ კი სამმა მოთამაშემ, რომელთა გვარები თანამედროვე გულშემატკივრებს არაფერს ეუბნება, ინგლისის თასი ხუთხუთჯერაც კი მოიპოვეს.

### უკრაინა და პოლონეთი – ერთობლივად

**უკრაინის მთავრობის ვიცე-პრემიერმა დმიტრი ტაბაჩნიკმა მხარი დაუჭირა იდეას უკრაინის და პოლონეთის მიერ ევროპის 2012 წლის ჩემპიონატის ერთობლივად ჩატარების შესახებ. ასეთი პრეცედენტი უკვე იყო: 2000 წელს ევროპის საფეხბურთო ჩემპიონატის ორგანიზატორები იყვნენ ბელგია და ჰოლანდია, 2008 წელს კი მას ავსტრია და შვეიცარია გაუძღვებიან.**

**უკრაინამ უკვე დაიწყო თავისი სპორტული ნაგებობების და სტადიონების რეკონსტრუქცია.**

### იალტაში, სექტემბერში?

როგორც უკრაინული ოფიციალური საინტერნეტო წარმომადგენლობა „უკრაინის პრეზიდენტი“ იუწყება, „ილიუმჟინოვმა მიმართა კუჩმას წინადადებით, მოაწყოს მატჩი მსოფლიო პირველობაზე პონომარიოვსა და კასპაროვს შორის“.

როგორც ილიუმჟინოვმა აღნიშნა, ამ მატჩის გამართვა ხელს შეუწყობს უკრაინის ავტორიტეტის ზრდას საერთაშორისო ასპარეზზე, ჭადრაკის შემდგომ პოპულარიზაციას მსოფლიოში.

დაიწყო ამ მატჩის მოწყობის განხილვა. საორიენტაციოდ იგი სექტემბერში იალტაში უნდა გაიმართოს.

### ის, ვინც „სერია A“-ს შეავსებს

**ბევრი ექსპერტის აზრით, „სერია A“ ახლა უძლიერესი ლიგაა მსოფლიოში. დებულების თანახმად იგი 18 მონაწილიდან ოთხმა უსუსტესმა დატოვა, მაგრამ ლიგას სათანადო შევსებაც ეყოლება. ესენია ჩინებული კლუბები: გენუის „სამპდორია“ (ოდესღაც რომ იტალიის ჩემპიონი იყო), „სიენა“, „ლეჩე“ და „ანკონა“. ამასთან თუ „ლეჩე“ სულ ერთი წლის შესვენების შემდეგ დაუბრუნდა უმაღლეს დივიზიონს, „ანკონა“ ამას 10 წლის შემდეგ აკეთებს.**

### რონალდინიოს პრობლემებს უქმნის მხოლოდ... რონალდინიო

23 წლის რონალდინიო რომ უნიჭიერესი ფეხბურთელია, ეს ყველასათვის კარგად არის ცნობილი. შარშან იგი მსოფლიო ჩემპიონი გახდა, შემდეგ კი თავი... ვერაფრით დაგვამახსოვრა.

– მას შემდეგ, რაც მსოფლიო ჩემპიონატიდან დაბრუნდა, მას „ვარსკვლავური ავადმყოფობა“ შეეყარა – განაცხადა „პარი სენ-ჟერმენის“ ამჟამად უკვე ყოფილმა მწვრთნელმა ლუის ფერნანდესმა – ხან ვსჯიდით, ხან ვამხნევებდით, არაფერმა უშველა. ამ ჩემპიონატში სამადსამ მატჩში თუ გამოიჩინა თავი. გამომწვევად იქცეოდა. ამხანაგებიც კი ეუბნებოდნენ, არ შეიძლება სადილობდე და თან ქუდი გეხუროს.



მთელ მის პრობლემებში მხოლოდ თვითონ არის დამნაშავე. ჩვენ სრული თავისუფლება მივეცით. ხომ ხედავთ, როგორ გამოიყენა.

### ოღონდ ჩვენთან ითამაშოს

**გაბრიელ ბატისტუტას ხელშეკრულება ყატარის კლუბ „ალ-არაბისთან“ მართლაც გამორჩეული გამოდგა. იგი ორი წლის განმავლობაში 8 მილიონ დოლარს მიიღებს. თუკი ერთი წლის შემდეგ ამ გუნდში დარჩენა აღარ მოინდომა, 5,5 მილიონი დოლარი უნდა გადაუხადონ. მას და მის მხლებლებს ქ. დოხაში დიდი ვილა უნდა გადასცენ. გარდა ამისა, კლუბი ვალდებულებას იღებს, წელიწადში 10 ავიაბილეთი (ორივე მხარეს) უყიდოს იტალიისაკენ, სადაც ბატისტუტას ცოლი და შვილები ცხოვრობენ.**



### „ხალხის სურვილი კანონზე მაღლა უნდა იდგეს“

ასე ფიქრობს გაზეთი „ნაპოლიპიუ“, იმასთან დაკავშირებით, რომ ნეაპოლის საქალაქო საბჭომ თხოვნით მიმართა იტალიის მთავრობას სახელი შეუცვალოს „სან-პაოლოს“ და მას „დიეგო მარადონას სტადიონი“ უწოდოს.

ამ სახელის შეცვლას ეწინააღმდეგება კანონი, რომელიც ჯერ კიდევ ფაშიზმის დროს მიიღეს და დღემდე არავის გაუუქმებია. იქ ნათქვამია, რომ საჯარო ობიექტს არ შეიძლება ეწოდოს ადამიანის სახელი, თუ მისი გარდაცვალებიდან 10 წელი მაინც არ არის გასული.

როგორც გაზეთში გამოქვეყნებულ წერილშია ნათქვამი, „ხალხის სურვილი 76 წლს წინათ გამოქვეყნებულ კანონზე მაღლა უნდა იდგეს“.

შეიძლება „სან-პაოლოს“ სახელი მართლაც შეეცვალოს, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ „ნაპოლის“ მარადონას წასვლის შემდეგ არაფერი ეშველა. ყოფილი გრანდის მისწრაფება ბოლო წლებში ასეთია: რადაც არ უნდა დაუჯდეს, როგორმე შეინარჩუნოს ადგილი მეორე დივიზიონში.

### ინტერნეტით მოთამაშეთა რეიტინგი

**ეს ჭადრაკისათვის სრული სიახლე გახლავთ. მოსკოვის გაზეთ „სოვეტსკი სპორტის“ დამატება „შახმატმა“ (იგი თვეში ორჯერ გამოდის) გამოაქვეყნა ინტერნეტით მოთამაშეთა რეიტინგი. არიან მოჭადრაკეები, რომლებიც ასეთნაირად სისტემატიურად თამაშობენ და ამრიგად უამრავ ქულას აგროვებენ. ზოგი მათგანი საჭადრაკო ელიტასაც მიეკუთვნება. რამდენიმე დიდოსტატი, ძნელი სათქმელია რა მოსაზრებით, ფსევდონიმებს იყენებს. ერთხელ ნაიჯელ შორტს, რომელიც მსოფლიო ჩემპიონობის პრეტენდენტი იყო და ამდენად, ფართოდ ცნობილი პიროვნებაა, ვიღაცა უცნობი ეთამაშა. მატჩი დასრულდა ანგარიშით 8:0 სწორედ ამ უცნობის სასარგებლოდ და შორტს ახლაც ძლიერი ეჭვი აქვს, რომ მის წინააღმდეგ თვით ფიშერი გამოდიოდა. „თუ არა ფიშერს, აბა, თანამედროვე სამყაროში სხვას ვის შეეძლო ასე დავემარცხებინე“. თვით ფიშერს ამაზე არც ჰო უთქვამს და არც არა.**

**ახლა კი გავეცნოთ ინტერნეტით მოთამაშეთა რეიტინგებს. 1. დიდოსტატი ალექსანდრ მოროზევიჩი (რუსეთი) – 3506. 2. დიდოსტატი ალექსანდრ რუსტემოვი (რუსეთი) – 3504. 3. დიდოსტატი ალექსეი შიროვი (ესპანეთი) – 2475. 4. დიდოსტატი რომან ჯინჯიხაშვილი (აშშ), თამაშობს ირლოკის ფსევდონიმით – 2456. 5. დიდოსტატი ლევონ არონიანი (სომხეთი) – 2451. 6. დიდოსტატი ალექსეი დრეევი (რუსეთი) – 2448. . ტრაის ტნეძევი (ფიჯი) – 2446. ეს ნაკლებად ცნობილი ოსტატი მხოლოდ ინტერნეტით თამაშობს. 9. დიდოსტატი გატა კამსკი (აშშ) – 3439. მსოფლიო ჩემპიონობის ეს ყოფილი პრეტენდენტი ახლა მხოლოდ ინტერნეტით თამაშობს. 10. დიდოსტატი ენრიკე მეკინგი (ბრაზილია) – 3434. 11. დიდოსტატი თეიმურ რაჯაბოვი (აზერბაიჯანი) – 3427. 12. დიდოსტატი სერგო მოვსესიანი (სლოვაკეთი) – 3426. 13. დიდოსტატი ალექსანდრ მოისეენკო (უკრაინა) – 3415. 14. საერთაშორისო ოსტატი იგორ მილადინოვიჩი (საბერძნეთი) – 3415. 15. დიდოსტატი იერუნ პიკეტი (ჰოლანდია) – 3387. 16. დიდოსტატი ემილ სუტოვსკი (ისრაელი) – 3387. 17. ოსტატი რაუფ მამედოვი (აზერბაიჯანი) – 3378. 18. დიდოსტატი მიშიკო (ასე სწერია სიაში) მჭედლიშვილი (საქართველო) – 3365. 19. დიდოსტატი ალექსანდრ გრიშჩუკი (რუსეთი) – 3363. 20. დიდოსტატი პეტრე სვიდლერი (რუსეთი) – 3361. 21. ოსტატი როლანდ შმალცი (გერმანია) – 3359. 22. დიდოსტატი მურთაზ კაჟგალეევი (ყაზახეთი) – 3352. 23. ოსტატი ჰიკარუ ნაკამურა (აშშ) – 3351. 24. დიდოსტატი შახრიარ მამედიაროვი (აზერბაიჯანი) – 3350 და ა. შ.**

### წიგნს ფილმი მოჰყვება

დიეგო მარადონას წიგნმა „მე-დიეგო“, რომელიც 2000 წელს გამოიცა, დიდი პოპულარობა მოიპოვა და მრავალ ენაზე ითარგმნა. ახლა ამ წიგნს უკვე ფილმი მოჰყვება. იგი დოკუმენტურად ასახავს დიდი არგენტინელის ცხოვრებას. გამოყენებული იქნება არა მარტო კარგად ცნობილი კადრები, არამედ ისეთებიც რომელთაც გულშემატკივრები აქამდე არ გასცნობიან. უკვე მიღწეულია შეთანხმება ფილმის იტალიელი პროდიუსერებისათვის ჩვენების უფლების გადაცემის შესახებ. დასაწყისისათვის




ფილმს არგენტინელი, ესპანელი და იტალიელი მაყურებლები ნახავენ. როგორც თვით მარადონამ განაცხადა, იგი სულაც არ გამოედევნება რაღაც დიდი შემოსავლის მიღებას, არამედ ცდილობს თავისი, ამ ბოლო ხანებში, ცოტა არ იყოს, შელახული სახელის აღდგენას.

### ხულიგანი ხულიგანია, რელიგია მხოლოდ საბაბია

**ბოსნიაში საფეხბურთო ხულიგნები ისე მომრავლდნენ, რომ მატჩების გამართვა დიდი პრობლემა გახდა. ამას წინათ ქალაქ მოსტარში ერთმანეთს ხვდებოდნენ უმაღლესი ლიგის ადგილობრივი კლუბები „ველეჟი“ და „ზრინსკი“. ხულიგანმა მაყურებლებმა ქვები დაუშინეს ფეხბურთელებს, მსაჯებსა და წესრიგის დამცველებს. 9 პოლიციელი დაიჭრა, ხოლო პოლიციის 12 ავტომობილი ძალიან დაზიანდა. ამ ფაქტამდე სულ რამდენიმე დღით ადრე გულშემატკივრებმა სცემეს (მარტო მანქანის დაწვას ვინ ჩივის) დედაქალაქიდან ჩამოსულ ხუთ ფანატს. ადგილობრივი მიმომხილველები ამ გაუთავებელ აყალმაყალს იმ ცუდი, მძაფრი ურთიერთობით ხსნიან, რომელიც ბოსნიელ მაჰმადიანებს და ხორვატებს აქვთ.**

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

# აქეთური, იქეთური




## საკუთარ აბონენტებს აღარიბებს

**როგორც ინგლისური გაზეთი „სანი“ იუწყება, მომავალი სეზონიდან ლონდონის „არსენალის“ წლიური აბონემენტი 317-დან 1220 გირვანქა სტერლინგამდე გაიზრდება. როგორც კლუბის ადმინისტრაცია აცხადებს, ბოლო 10 წლის მანძილზე გულშემატკივრები ძალიან მცირე თანხას იხდიდნენ, ახლა კი ჯიბეზე ხელი უნდა გაიკრან.**

## არც ევროპა შველის და არც — სამხრეთ ამერიკა

უკვე კარგა ხანია კოლუმბიელი ფაუსტინო ასპრილია, რომელიც ადრე „პარმასა“ და „ნიუკასლ იუნაიტედში“ თამაშობდა, ნამდვილ საფეხბურთო ხულიგნად ითვლება. ახლა იგი ჩილეს „უნივერსიდადში“ გამოდის, სადაც მცირე ტრავმის გამო ვარჯიშიდან გაანთავისუფლეს და მეგობარ ქალთან ერთად ტრიბუნაზე იჯდა.

უცბად ასპრილიას რაღაცა არ მოეწონა, იძრო დამბაჩა და ჰაერში სროლა დაიწყო. შემდეგ თავის მანქანაში დაჯდა და გაუჩინარდა.

## საკუთარმა გულუხვობამ დაღუპა

**საფრანგეთის პროფესიულმა საფეხბურთო ლიგამ პირდაპირ გაუგონარი დადგენილება მიიღო. ქვეყნის ვიცე-ჩემპიონი და ლიგის თასის მფლობელი (გარდა ამისა, ტარდება ქვეყნის თასის გათამაშებაც) „მონაკო“, რომელსაც სხვადასხვა**



**შეფასებით 51-დან 87 მილიონამდე ევრო ვალი ჰქონდა, გადაყვანილია... მეორე დივიზიონში. ერთი სიტყვით კლუბი, რომელსაც სექტემბრიდან ჩემპიონთა ლიგაში უნდა ეთამაშა და ჯგუფური ტურნირიდანაც კი განთავისუფლებული იყო, ახლა ვინ იცის, რა კამპანიაში აღმოჩნდა.**

**შექმნილ სიტუაციაში კლუბს ერთადერთი იმედიღა აქვს — რომ მას მონაკოს პრინცი ალბერტი დაეხმარება. ალბერტი კი მონაკოს მთავრის რენე გრიმალდის შვილია. შარშან პრინცმა ალბერტმა ნება არ მისცა კლუბის პრეზიდენტ დოქტორ ჟან-ლუი კამპორას საკონტროლო პაკეტი რუსულ კომპანია „ფედკომინსვესტისათვის“ მიეყიდა.**

**ასეთ დღეში „მონაკომ“ თვითონ ჩაიგდო თავი. იგი მოთამაშეებს ძალიან დიდ ხელფასს აძლევდა — თვეში სამ მილიონ ევრომდეც კი.**

## გერმანია ემზადება

ფიფას დელეგაციამ ძალიან მაღალი შეფასება მისცა გერმანიის მზადებას მსოფლიოს 2006 წლის ჩემპიონატისათვის. „ჩვენ აღარაფერი დაგვრჩენია იმის გარდა, რომ მივულოცოთ პირველობის ორგანიზატორ ქვეყანას“ — განაცხადა დელეგაციის ერთ-ერთმა წევრმა და დაუმატა, რომ ყველა სტადიონი მშვენივრად გამოიყურება, რაც შეიძლება მხოლოდ შეგშურდეს. საბოლოო სახით 12 არე-






ნა მზად იქნება 2005 წლის ზაფხულისათვის. ზოგიერთი სიძნელე წარმოიქმნა ნიურნბერგში, და ის ისტორიული ძეგლების დაცვასთან არის დაკავშირებული, აგრეთვე, შტუტგარტში, სადაც პრეს-ცენტრი სტადიონის უხერხულ ადგილას არის განლაგებული.

## ჩემპიონი კი გახდა, მაგრამ სკანდალები ვერ აიცილა

**მთელი უკანასკნელი სეზონის განმავლობაში „მანჩესტერ იუნაიტედი“ თან ქულების მოპოვებას ცდილობდა და თან — უამრავი სკანდალიდან თავის დაძვრენას.**

**უმთავრესი მაინც წიგნი იყო, რომელიც როი კინის კარიერას შეეხებოდა. ირლანდიელმა ისეთ რამეებზე ილაპარაკა, რომ კლუბის ხელმძღვანელობა მეტად უხერხულ მდგომარეობაში ჩააყენა. კერძოდ, კინი წერდა, რომ განზრახ მიაყენა უმძიმესი ტრავმა „მანჩესტერ სიტის“ მოთამაშე ალფ-ინგე ჰაალანდს, რომელიც ამის შემდეგ ვეღარ დაუბრუნდა ფეხბურთს. მკითხველი მაშინვე გაიფიქრებდი, ხომ არ გაკეთდა ეს „მანჩესტერ იუნაიტედის“ ხელმძღვანელობის დავალებით?!**

**ანდა რად ღირს ის ფაქტი, რომ „არსენალთან“ წაგების შემდეგ გაცოფებულმა ალექს ფერგიუსონმა ბუცი**



**ესროლა დევიდ ბექჰემს და კინაღამ დიდ ხიფათს გადაჰყარა.**

## სერბული გაზეთი იუწყება...

...რომ დონეცკის „შახტიორმა“ კონტრაქტი გააფორმა სერბეთის ჩემპიონატის საუკეთესო სნაიპერთან, ბელგრადის „პარტიზანისა“ და ეროვნული ნაკრების ნახევარმცველ ზვონიმირ ვუკიჩთან. 23 წლის ვუკიჩში მეშახტეებმა 5 მილიონი დოლარი გადაიხადეს. ეს გარიგება ყველაზე უფრო ძვირადღირებულია პოსტსაბჭოთა სივრცეში. მანამდე რეკორდი ეკუთვნოდა გიორგი დემეტრაძეს, რომლის გადასვლა „ალანიიდან“ 1999 წელს კიევის „დინამოში“ 4,5 მილიონი დოლარი დაჯდა.

## არგენტინაში კვლავ „ოქროზე“ ფიქრობენ

**თუმცა ჯერ მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირიც კი არ დაწყებულა, არგენტინული ფეხბურთის მესვეურები უკვე ოქროს მედლებზე ფიქრობენ. როგორც არგენტინის ფეხბურთის ასოციაციის პრეზიდენტმა ხულიო გრონდონამ განაცხადა, 2006 წელს არგენტინას მსოფლიო ჩემპიონობას მოუტანს კარლოს ბილარდო, რომელმაც მწვრთნელის რანგში გაიმარჯვა 1986 წლის პირველობაზე, ხოლო ოთხი წლის შემდეგ ვერცხლის მედლები მოიპოვა.**

## ელბერი პირველია, ბალაკი — მეორე

ცნობილმა გერმანულმა ჟურნალმა „კიკერმა“ ჩაატარა თავისი პოპულარული გამოკითხვა, გერმანიის საუკეთესო (მინდვრის) მოთამაშის გამოსავლენად. სულ ამ გამოკითხვაში პირველი ბუნდესლიგას 261 ფეხბურთელი მონაწილეობდა.

პირველი ადგილი ბრაზილიელ ჯოვანე ელბერს მიეკუთვნა, მეორე — მიხაელ ბალაკს.

## 92 წლამდე ვიმუშავებ

**ჯერ კიდევ შარშან ალექს ფერგიუსონი მწვრთნელად მოღვაწეობის შეწყვეტას აპირებდა და „მან-**



**ჩესტერ იუნაიტედში“ სხვა თანამდებობას ეძებდა, ახლა კი მკვეთრად შეიცვალა გადაწყვეტილება.**

**— ამ სეზონმა დიდი იმედები მომცა. მე ახლა მხოლოდ 61 წლისა ვარ. მინდა მუშაობის გაგრძელება, როგორც მინიმუმი, 92 წლამდე.**

**რატომ მაინცდამაინც 92 წლამდე, ამის შესახებ სერ ალექს ფერგიუსონს არაფერი უთქვამს.**

## უმაღლესი კლასი და უდიდესი ერთგულება

შესაძლებელია 35 წლის პაოლო მალდინის მაღალი კლასი არავის უკვირდეს, მაგრამ მისი კლუბისადმი ერთგულება დღევანდელ პირობებში, მართლაც რომ, უმაგალითოა. თქვენ თვითონ წარმოიდგინეთ: 19



წელია იგი პროფესიონალი ფეხბურთელია და მთელი ეს დრო მხოლოდ ერთ კლუბში — „მილანში“ გაატარა, რომლის შემადგენლობაში ოთხჯერ მოიპოვა ჩემპიონთა თასი და ექვსჯერ გახდა ქვეყნის ჩემპიონი. თავისი პირველი მატჩი „მილანის“ შემადგენლობაში 16 წლის მალდინიმ 1985 წლის იანვარში ითამაშა „უდინეზეს“ წინააღმდეგ. თავის ერთ-ერთ ინტერვიუში ჯერ კიდევ ყმაწვილმა პაოლომ ნახევრად ხუმრობით, ნახევრად კი სერიოზულად განაცხადა, რომ უმჯობესი იქნებოდა გვარის შეცვლა. სასურველი იქნებოდა, რომ მას იცნობდნენ უბრალოდ როგორც პაოლოს და არა ჩეზარე მალდინის შვილს. რამდენიმე ხნის შემდეგ კი, როცა ჩეზარე მალდინი სათავეში ჩაუდგა იტალიის ნაკრებს, მანაც თითქმის იგივე თქვა: დიახ, მიცნობენ, როგორც პაოლო მალდინის მამას, მაგრამ თვითონაც რაღაცას წარმოადგენს. თუ შედარებაზე მიდგება საქმე, ჩეზარე მალდინის ავტორიტეტი, როგორც მწვრთნელისა, მაინც საგრძნობლად ჩამოუვარდება მისი ფეხბურთელი შვილისას.

თანამედროვე ჟურნალისტები პაოლო მალდინის იტალიური ფეხბურთის იდეალურ წარმომადგენელს უწოდებენ, აქ კი მის დიდებულ ოსტატობას, შესანიშნავ ფიზიკურ კონდიციებს, საფეხბურთო აზროვნებასა და გაწონასწორებულობას გულისხმობენ.

მართალია, პაოლო მალდინიმ უკვე უარი თქვა ნაკრებში თამაშზე, მაგრამ „მილანთან“ გამოთხოვებას ჯერ სულაც არ აპირებს.

## ეს მოხულიგნო ფეხბურთელები

**როგორც ლონდონის გაზეთი „დეილი მირორი“ იუწყება, ინგლისის ნაკრების მიერ ესპანურ ქალაქ ლა-მანგაში მოწყობილი საწვრთნელი შეკრების დროს ძალიან უხერხულ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ მთავარი მწვრთნელი სვენ-გორან ერიქსონი და გუნდის ხელმძღვანელები.**

**საქმე ის არის, რომ ნაკრების მცველმა რიო ფერდინანდმა და ნახევარმცველმა ჯონ ტერიმ გადაჰკრეს და მთელი ღამის განმავლობაში თამაშობდნენ ბილიარდს. განთიადზე მათ მოუხმეს სასტუმროს თანამშრომელს და ულტიმატუმის ფორმით მოთხოვეს შეეკეთებინა მაგიდა. უარი რომ მიიღეს, ორივე ძალიან გაბრაზდა, თავს დაესხნენ თანამშრომელს და კინაღამ გაგლიჯეს.**

**ინგლისის ფეხბურთის ასოციაციას ოფიციალური ბოდიშის მოხდა მოუხდა, დამნაშავეებს კი, ეტყობა, დასჯიან.**

## ფეხბურთს პოლიტიკა სჯობს?!

2002 წლის მსოფლიო ჩემპიონატში ბელგიელთაგან თუ ვინმე გამოირჩეოდა, ეს 33 წლის ცნობილი ნახევარმცველი მარკ ვილმოტსი იყო. შემდეგ იგი ბუნდესლიგის კლუბ „შალკე 04“-ს დაუბრუნდა, სეზონის ბოლოს კი მისი მთავარი მწვრთნელიც კი გახდა. აი, ამ ახალ ამპლუაში ვილმოტსს აშკარად არ გაუმართლა და მას შემდეგ, რაც „შალკემ“ რამდენიმე მწარე დამარცხება იგემა, გადადგომა მოუხდა.

ასე არ უნდაო, და ვილმოტსმა სულ სხვანაირ საქმიანობას მიჰყო ხელი. იგი ბელგიის ლიბერალურ პარტიაში შევიდა, და სულ მალე, რომ იტყვიან, ერთი ხელის მოსმით, ქვეყნის პარლამენტის წევრი გახდა.

## ნარკოტიკების პრობლემა

**იმ 700 პროფესიონალ ფეხბურთელს შორის, რომლებიც ინგლისის ლიგებში თამაშობენ, გამოკითხულთა ნახევარი თვლის, რომ ინგლისურ ფეხბურთში ნარკოტიკების მოხმარების ძალიან სერიოზული პრობლემაა. გამოკითხულთაგან ყოველმა მეორემ განაცხადა, რომ პირადად იცნობს კიდეც ასეთ მოთამაშეებს.**

## ვეტერანები შეუყვარდა

„მანჩესტერ სიტიმ“ ერთწლიანი კონტრაქტი გააფორმა განთქმულ მეკარესთან, 39 წლის დევიდ



სიმენთან, რომელმაც ეს-ეს არის დატოვა ლონდონის „არსენალი“. სიმენს 75 მატჩი აქვს ნათამაშევი ინგლისის ნაკრებში.

საინტერესოა, რომ სიმენი „მანჩესტერ სიტიში“ შეცვლის მეორე სუპერვეტერანს, განთქმულ დანიელს პეტერ შმაიხელს.

## კალაძეს მხარში ამოუდგება კაფუ

**ბრაზილიის ნაკრების კაპიტანმა კაფუმ, როგორც თავისუფალმა აგენტმა, ისე მოაწერა ხელი კონტრაქტს „მილანთან“. ამ ხელშეკრულების ძალით, იგი „მილანში“ 2005 წლის ივნისამდე ითამაშებს.**

**ადრე თვლიდნენ, რომ კაფუ, რომელიც 1997 წლიდან „რომაში“ თამაშობდა, კარიერას იაპონიაში გააგრძელებდა.**

## რონალდოს აგენტებს მოხვდებათ

რიო-დე-ჟანეიროს პოლიციამ დააპატიმრა რონალდოს ორი აგენტი: ალეშანდრე მარტინსი და რეინალდო პიტა. მათ ბრალდებათ ყალბი საბუთებით ბრაზილიიდან შვეიცარიაში 33,4 მილიონი დოლარის გატანა საზოგადოებრივი ფონდის თანხებიდან, რომლებიც ქალაქის სოციალური პროგრამისათვის იყო განკუთვნილი.



გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

ვარსკვლავი

# 3vbs[hf7 fmtlfy uftshbtj7 itvltu rb ,jlbib vjvb[flf4



**ამ სეზონში საბოლოოდ გამოეთხოვა ფეხბურთს 90-იანი წლების ერთ-ერთი საუკეთესო მეკარე პეტერ შმეიხელი. ამას იგი ჯერ კიდევ ორი წლის წინათ აპირებდა, როცა ლისაბონის „სპორტინგში" გამოდიოდა, მაგრამ ბირმინგემის „ასტონ ვილას" დაუჯერა და თამაში გააგრძელა, შემდეგ კი „მანჩესტერ სიტიში" აღმოჩნდა.**

**— იქნებ მაინც ადრეა ფეხბურთთან გამოთხოვება?**

— არა, მე დევიდ სიმენივით არ მოვიქცევი, რომელმაც ჯერ განაცხადა, რომ აღარ ითამაშებს, შემდეგ კი დიდ ფეხბურთს დაუბრუნდა. ადრე თუ გვიან დგება მომენტი, როცა გამოთხოვება უნდა გადაწყვიტო.

**— თქვენი საფეხბურთო კარიერიდან ყველაზე უფრო რა დაგამახსოვრდათ?**

— დანიის ნაკრების გამარჯვება ევროპის ჩემპიონატზე 11 წლის წინათ. შეიძლება „მანჩესტერ იუნაიტედის" გამარჯვებაც დავასახელოთ 1999 წლის ჩემპიონთა ლიგაში.

**— რამ გაიძულათ ასეთი ტრიუმფის შემდეგ „მანჩესტერ იუნაიტედის" დატოვება? თქვენ ხომ პრემიერლიგაშიც გაიმარჯვეთ, ინგლისის თასშეც და ჩემპიონთა ლიგაშიც.**

— მე უკვე 30 წელს გადავცილდი და მივხვდი, რომ ასეთ გიჟურ ტემპს ველარ გავუძლებდი. ამიტომ შედარებით უფრო „წყნარ", ლისაბონის „სპორტინგში" გადავედი.

**— ამბობდნენ, რომ თქვენ „მანჩესტერ იუნაიტედი" ალექს ფერგიუსონთან კონფლიქტის გამო დატოვეთ...**

— ეს სრულიად უსაფუძვლო ხმები იყო. დიახ, ბოლო ხანებში მას ბევრ გახმაურებულ სკანდალს მიაწერენ, მაგრამ, დარწმუნებული ვარ, სერ ალექსი რომ არა, არც მე ვიქნებოდი და არც 90-იანი წლების „წითელი ეშმაკების" სხვა ვარსკვლავები. მის ვალს ვერასოდეს გადავიხდით.

**— განა იმ 9 წლის მანძილზე, რომელიც „მანჩესტერ იუნაიტედში" გატარეთ, ამ მოგლანდიელ მწვრთნელთან არასოდეს მოგსვლიათ უთანხმოება?**

— რომ გითხრათ, რომ არაფერი მოგვსვლია, ცხადია, სწორი არ ვიქნებოდი. მახსოვს, როცა 1994 წელს „ლივერპულთან" სამი გოლი გავუშვი, მითხრა, გუნდიდან წაეთრიეო, მეორე დღეს კი ბოდიში მომიხადა. თქვა, რომ ძალიან გაცხარდა. სკანდალი ამით ამოიწურა.

**— შეიძლება ვთქვათ, რომ მალე მწვრთნელი გახდებით?**

— მე ჯერ არ გადამიწყვეტია, რას გავაკეთებ. შეიძლება მთლიანად ჩემს ჰობის — მუსიკას დავუთმო დრო.

ჩემპიონი

# იგი 23 წლისაა

**უკვე გაუწყეთ ქართველ სამბისტთა მორიგი ტრიუმფის შესახებ, რომლებმაც ბულგარეთის საკურორტო ქალაქ ალბენაში დასრულებული ევროპის პირად-გუნდური ჩემპიონატიდან სამშობლოში 19 მედალი ჩამოიტანეს. დღეს წარმოგიდგენთ ყველაზე პრესტიჟულ — მძიმე წონაში გამარჯვებულ 23 წლის რუსთაველ გოლიათს ზვიად ჩინჩალაძეს.**



— ათი წლისამ „აზოტის" ქარხნის სპორტულ დარბაზში მწვრთნელ ვასილ ჩიხლაძის ხელმძღვანელობით სწორედ სამბოში დავიწყე ვარჯიში — მეუბნება კონტინენტის უღონიერესი ახალგაზრდა — თუმცა, არც ქართული ჭიდაობის მიმართ ვიყავი გულგრილი, რადგან მიმაჩნია, რომ ყველა მნიშვნელოვანი წარმატების საწინდარი, მართლაც რომ ჩვენი ეროვნული ჭიდაობაა. მას შემდეგ დიდი დრო გავიდა. ამჟამად ოსტატობის დასახვეწად დედაქალაქში კვირაში სამჯერ მიწევს ვარჯიშებზე ჩამოსვლა.

**— თქვენ საკმაოდ დიდი — წელიწადნახევრიანი პაუზა გქონდათ. რა მოხდა?**

— შარშანწინდელ ევროპის ჩემპიონატზე, რომელსაც ასევე ბულგარეთი მასპინძლობდა, ბელორუს ვიტალი სვირიდთან შეხვედრისას ხელი მოვიტეხე. ხანგრძლივი მკურნალობის შემდეგ შარშან მსუბუქ დატვირთვებს დავჯერდი.

**— დაბრუნებაზე რას გვეტყვით?**

— სარბიელზე ისევ წლეულს თებერვალში, ფოთში გამართულ ეროვნულ ჩემპიონატზე გამოვჩნდი, რომელიც პარალელურად ალბენას ბატალიებისთვის შესარჩევ ტურნირს წარმოადგენდა. მოხარული ვარ, რომ ამ შავიზღვისპირა ქალაქში ქვეყნის ჩემპიონობა მოვიპოვე მძიმე წონაში. მადლიერი ვარ ნაკრების თავკაც ოლეგ იაძისა, რომელმაც დიდი ნდობა გამომიცხადა და კვლავ ჩამრიცხა საქართველოს მთავარ გუნდში. შემდეგ იყო ორკვირიანი შეკრება „შევარდენის" მძლეოსნურ მანეჟში და ავტობუსით მომქანცველი მგზავრობა ალბენამდე.

**— ...სადაც სამი მეტოქე დაამარცხეთ...**

— მართალი ბრძანდებით — პირველ წრეში, მართალია ქულებით, მაგრამ დიდი უპირატესობით მოვუგე ლიტვის წარმომადგენელს, მეორეში ორი ქულით ვძლიე რუს პეტროვს, ფინალში კი ჩემს ძველ ნაცნობთან — ბელორუს სვირიდთან რევანში ავიღე. მაშინ, როცა საპატიო კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე მდგომი საქართველოს ეროვნულ ჰიმნს ვუსმენდი, ჩემზე ბედნიერი ადამიანი არსად მეგულებოდა.

**— იქნებ პერსპექტივაც გაგვანდოთ.**

— სიამოვნებით. ახლახან ქართველმა სამბისტებმა ძვირფასი საჩუქარი მივიღეთ — საბოლოოდ მოვცილდით თბილისის ფალავანთა კლუბის ყოვლადაუტანელ პირობებს და შეიარაღებულ ძალთა სამხედრო აკადემიის ბრწყინვალე დარბაზში გადმოვინაცვლეთ, სადაც წვრთნისა და მსოფლიოს ჩემპიონატისათვის (ოქტომბერი, სანკტ-პეტერბურგი) მოსამზადებლად იდეალური ვითარებაა შექმნილი. აღსანიშნავია, რომ მხარში დაგვიდგა ცნობილი ბიზნესმენ-მეცენატი ელგუჯა ბუბუტეიშვილი, რომელიც ყველა პრობლემის მოგვარებას დაგვპირდა. ღმერთმა გვიმრავლოს ქართველ სპორტსმენებს ასეთი მოჭირნახულე პიროვნებები. რაც შეეხება მომავალ ფორუმს, ვეცდები, ნევისპირა ქალაქიდან მსოფლიოს ჩემპიონის ოქროს მედლით მკერდდამშვენებული დავბრუნდე, რითაც, ვიმედოვნებ, საქართველოს 2003 წლის 10 საუკეთესო სპორტსმენს შორის დავიმკვიდრებ ადგილს.

**— და ბოლოს, თქვენი კერპები და ჰობი.**

— თედიაშვილი, მეკოკიშვილი, პროფესიული კალათბურთი, ბრაზილიური ფეხბურთი, პელე, გარინჩა და მარადონა.

ესაუბრა
**შალვა ქირია.**

ჭადრაკი

# მსოფლიოს ჩემპიონმა თავი გაგვახსენა




**მსოფლიო ჩემპიონს (ფიდეს ვერსიით) რუსლან პონომარიოვს (უკრაინა) კარგა ხანია არსად უთამაშია, ამიტომაც მან სიამოვნებით მიიღო მონაწილეობა სწრაფ ჭადრაკში, რომელიც ესპანურ ქალაქ ლეონში გაიმართა.**

ჩემპიონის გარდა ასპარეზობაში ჩაება სამი დიდოსტატი: ბულგარელი ვესელინ ტოპალოვი, ესპანელი ფრანსისკო ვალეხო და 13 წლის სერგეი კარიაკინი (უკრაინა).

ნახევარფინალში ტოპალოვმა მოუგო კარიაკინს — 2,5:1,5, ხოლო პონომარიოვმა — ვალეხოს — 3,5:0,5.

ფინალურ მატჩში პონომარიოვმა დაამარცხა ტოპალოვი 2,5:1,5 და პირველი პრიზი მოიპოვა.

ელიტა

# ზოგს „ოქროს ბურთი", ზოგს — „ოქროს ბუცი"

**ჯერ რა დროს ამ ჯილდოების მინიჭებაა, მაგრამ ევროპელი მიმომხილველები. მაინც ასახელებენ ზოგიერთ ფეხბურთელს, რომლებმაც განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი ეროვნულ ჩემპიონატებში.**

ინგლისის ჩემპიონატში ყველანი დაჩრდილა „მანჩესტერ იუნაიტედის" ჰოლანდიელმა თავდამსხმელმა რუუდ ვან ნისტელროიმ. ფერგიუსონი არ მოტყუვდა, როცა ამდენ ხანს მოუცადა ამ მძიმედ ტრავმირებული ფორვარდის გამოჯანმრთელებას. რუუდი მწყობრში ჩადგა და 2002-03 წლების რეზონში მეკარეების ნამდვილი რისხვა იყო. ჩემპიონთა ლიგაში მან 12 გოლი გაიტანა, ინგლისის პრემიერლიგაში — 25. სულ კი ნისტელროის ანგარიშზე სეზონში 47 გოლია, რაც პირდაპირ გასაოცარ შედეგად უნდა მივიჩნიოთ.



თავი ისახელა მეორე ჰოლანდიელმა თავდამსხმელმა როი მაკაიმაც, რომელიც „დეპორტივოში" (ლა-კორუნია) გამოდის. მან ესპანეთის პირველობაზე 37 ტურის შემდეგ 28 გოლი გაიტანა და დიდი შანსები აქვს „ოქროს ბუცს" დაეუფლოს.

შეიძლება ისეც მოხდეს, რომ „ოქროს ბურთი" ჩეხეთის ნაკრების ნახევარმცველ პაველ ნედვედს მიანიჭონ. მან ტურინის „იუვენტუსში" არამარტო ღირსეულად შეცვალა თვით ზინედინ ზიდანი, არამედ, ზოგი მიმომხილველის აზრით, კიდევაც აღემატება მას. არის აზრიც, რომ სწორედ ნედვედი იყო იტალიის 2002-03 წლების ჩემპიონატის მთავარი გმირი. ჩეხს მართლაც მრავალი ღირსება აქვს: ჩინებულად ურტყამს ორივე ფეხით, შესანიშნავად უძლევა თამაშს.

ძალიან აქებენ „ჟირონდას" ანუ „ბორდოს" თავდამსხმელ პაულეტას. პორტუგალიელი ოფიციალურად აღიარეს საფრანგეთის ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელად. უკვე მესამე სეზონია პედრო პაულეტას ამ ჩემპიონატებში ოცზე ნაკლები გოლი არ გაუტანია.

გერმანიის ჩემპიონატში დიდი ყურადღება მიიპყრო მიუნხენის „ბაიერნის" ფრანგმა მცველმა ვილი სანიოლმა. იგი მეტისმეტად შეუპოვარია, პირდაპირ შეუძლებელია მისთვის გვერდის ავლა. სანიოლს ძალიან აქებს გერმანული ჟურნალი „კიკერი".

ათლეტიზმი

# ივარჯიშეთ ჩვენთან ერთად

## პროფესიონალი I ნაწილი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის კურსდამთავრებული **ნიკოლოზ ხარხელაური** (დაიბადა 1976 წელს) ჭაბუკობიდანვე ვარჯიშობს თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ათლეტიზმის სექციაში. თსუ-ს გუნდის ერთ-ერთი ლიდერი ძირითადად 75 კგ-მდე წონით კატეგორიაში ასპარეზობს და ეროვნული თასის გათამაშების ოთხგზის გამარჯვებულია.

**გთავაზობთ რამდენიმე ვარჯიშს ნიკოლოზ ხარხელაურის შესრულებით.**

**1. ჩაჯდომა შტანგით ზურგიდან** (სურ. 1).

**2. ჩაჯდომა შტანგით მკერდიდან** (სურ. 2).

თითოეულ ვარჯიშს ეთმობა 6-6 მისვლა 5-5 გამეორებით.

**3. ზნექები შტანგით ზურგიდან დგომში** (სურ. 3). სრულდება 6 მისვლა 4-4 გამეორებით.

**4. ზნექები დვირზე** (სურ. 4). სრულდება 6 მისვლა 10-10 გამეორებით.

**5. მუცლის კუნთების ვარჯიში დვირზე** (სურ. 5). სრულდება 6 მისვლა 10-10 გამეორებით.

**6. იგივე ვარჯიში დახრილ დაფაზე** (სურ. 6). სრულდება 6 მისვლა 12-12 გამეორებით.

**ზურაბ ჭავჭანიძე.**

**თედო ნიკოლაიშვილის ფოტო.**








გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა"!

## მიყვარხარ, მთაო, ტიალო



[fghb&tt,bc fv,fdb

### 1. კობა

მეჩვიდმეტე-მეთვრამეტე საუკუნეებში თუშეთის პირიქითა ხეობაში, ქომიტოს მწვერვალის კალთებზე პატარა მამულის – „ცირმაშტეს" პატრონებად ითვლებოდნენ ძმები ხუთყურაულები. მათი თუშეთში დასახლების დრო ცნობილი არ არის. ხაპრო ხუთყურაულის ვაჟიშვილს – გიორგის მამის პატივსაცემად გვარი ხაპრიძედ გადაუკეთებია.

გიორგი ხაპრიძის (ხუთყურაულის) შვილი იყო ლუი, ლუის შვილი – მიქო, მიქოს შვილი – როსტომი, როსტომის შვილი – კობა.

ერწო-თიანეთისა და ნაწილობრივ ყაზბეგის მკვიდრთა შთამომავალი ხუთყურაულები, უკვე თუშეთში „ცირმაშტეს" მფლობელებად ითვლებიან, სადაც პირუტყვს აზამთრებდნენ, საზაფხულოდ კი სოფელ დანოში ჩამოდიოდნენ.

დიდხანს ახსოვდათ ხაპრიძეების წინაპრების ნამდვილი სამშობლო-კუთხე თუშეთში, თუმცა უკვე თუშებად ითვლებოდნენ. როსტომისა და თებროს ოჯახში მეოთხე შვილი კობა (იაკობ ხაპრიძე) დაიბადა.

კობას მამა შვიდი წლისას გარდაეცვალა. ძველ სამემკვიდრეო ბინებში – „ცირმაშტეს", ანუ მცირე ბაშტეს (პირუტყვის პატარა სადგომი) ცხრა წლის კობა ნახირს მწყემსავს.

იგი საუკეთესოდ კითხულობდა და წერდა. ნახირის მწყემსვის დროს, როცა საქონელს დააჟამკრებდა, აიღებდა სიპ ქვას და ლურსმნით გამოჰყავდა ასოები. აქედან იწყება მისი დამოუკიდებელი ნაბიჯები. პაპა-ბებოს მონაყოლი კვებავდა პატარა კობას სულს. თუში გმირების თავგადასავლები – შეთეს, ზეზვას, კახოს, თინასი თუ მურთაზის ლაშქრობისა.

თორმეტი წლისა სოფელ დიკლოს დაწყებითი სკოლის პირველ კლასში შეიყვანეს: მასწავლებლებს აოცებდათ ბავშვის ნიჭიერება და სწავლის წყურვილი, მისი ნახატი დიკლოზე. მალე დედამისს ყმაწვილი სკოლიდან გამოუყვანია. სწავლის სურვილი კი დიდი იყო. თან დაჰქონდა წიგნის პატარა ნაგლეჯი. ათი წლისა უკვე ძველ ქართულ ანბანს იცნობს. წერდა და კითხულობდა ნუსხურს.

მოხუცი პაპა, მეფანდურე და მოლექსე ჰაშაკო, ხედავდა ბავშვის ნიჭიერებას და ასწავლიდა ლექსებს, უამბობდა თუშეთის ისტორიას და ბავშვის ფანტაზია ივსებოდა შემოქმედისათვის სასარგებლო ცოდნით და წერდა ლექსს მეცხვარეზე, კავკასიონზე, წინაპართა საფლავებზე, სატრფიალო თემაზე „ჩაჩან-გურჯის" ფსევდონიმით. ხორცს ისხამს მისი ჩანაფიქრი, მალე აქვეყნებს ლექსებს „ახალგაზრდა კომუნისტში", რომელსაც მასთან თუშეთში სტუმრად ჩამოსულ თბილისელ სტუმრებს მზია ერისთავს, თამარ ერისთავს, თენგიზ მირზაშვილს და სხვებს უძღვნის.

იგი უკვე ავტორია ასამდე ლექსისა, ორი პოემის.

მას ოთხი შვილი შეეძინა. იმდენად პოპულარული გახდა კობას პიესები და ლექსები ბახტრიონზე, ზეზვა გაფრინდაულზე, ომში დაკარგულ ძმებზე, თორღვა პანკელის თავგადასავალზე, რომ ზემო ალვანის დრამატული წრის წევრთა ძალებით დგამენ პიესას „მამის ანდერძი", მღერიან მის ლექსებს. იგი წერს მოთხრობას, „უკანონო შურისმაძიებელნის" სათაურით, სადაც გმობს სისხლის აღების დამღუპველ წესს.

ყველაფერი, რაც მწყემსის კალამს შეუქმნია, ეს ხერხდებოდა თეოზე, ცხვრის ფარასთან, მწყემსური ცხოვრების გვერდით. ამან დაუმკვიდრა მას ხალხის უსაზღვრო სიყვარული.

ალვანში, ყოველ ნაბიჯზე მოისმენთ ფანდურსა თუ გარმონზე ამღერებულ კობა ხაპრიძის ლექსებს.

#### მეცხვარეს

**ხანში შესულო მეცხვარევ,**
**კიდევ გიმღერის გულია**
**მაშ, დავიჯერო, არა ხარ**
**ბედისგან დაჩაგრულია?**
**მაშ, დავიჯერო, არა გაქვს,**
**ბავშვობა დაკარგულია?**
**მაშ, დავიჯერო, არ იცი**
**დარდი და სიყვარულია?**
**— აბა, რა გითხრა მაგაზე,**
**ბედია ჩემი სვედრისა**
**მუდამ ტრიალებს ჩემ გულში**
**ნისლები შავი ბედისა.**
**მე თუ ჩემ გულის დარდს ვიტყვი,**
**ტირილი, მღერა ერთია**
**ხნით ცოტა დარდის სიმრავლით**
**უდროოდ ჩამოვბერდია...**

### 2. ნაზი

ნაზი ხაპრიძის მშობლებიც თუშეთის მკვიდრნი იყვნენ. დანოში ცხოვრობდნენ. კობა ხაპრიძის ძმა იყო ნაზის მამა – სამსონი. იგი ბარად ჩამოსახლების შემდეგ რუსეთ-საქართველოს ომში იბრძოდა და იქ დაიკარგა. დედამისს – ბაბე ცაძიკიძეს მარჯვე ხელი ჰქონია. ზემო ალვანში თუშური ხალხური სამოსის – ჩოხა-ახალუხის, ქათიბების საუკეთესო და უკანასკნელი მკერავ-მქარგველი იყო.

ამ ხელობის ოსტატი აქ სხვა არავინ ყოფილა. ერთი შვილი დარჩათ, პატარა ნაზი, რომელიც ბავშვობიდანვე სათნოებითა და კეთილშობილებით გამოირჩეოდა. თელავის პედაგოგიური ინსტიტუტის ფილოლოგიის ფაკულტეტი დაამთავრა და ამ სასწავლებელში ლიტერატურულ წრეს ხელმძღვანელობდა. ნაზის ძალზე საინტერესო სტუდენტური ცხოვრება ჰქონია. დიდი სიყვარულით იხსენებს ალექსანდრე (საშა) გვენცაძეს, რომელსაც შვილივით უყვარდა ეს წარჩინებული სტუდენტი.

„საშა პაპას გოგოს" ეძახდნენ ნაზის. მართალია, საშა გვენცაძეს ორი ქალიშვილი ჰყავდა, მაგრამ ნაზის გამო სამი შვილი ჰყავსო, იძახდნენ.

სასწავლებელი რომ დაამთავრა, ქვემო ალვანის სკოლაში მიავლინეს. აქ შვიდი წელი დაჰყო. მერე „განახლებული თუშეთის" რედაქტორი გახდა, რასაც ერთი წლის მანძილზე უძღვებოდა.



ეს ის დრო იყო, თბილისში გამართულ ხალხური პოეზიის საღამოზე სამი თუში – დანოელი პოეტი რომ მიიწვიეს: კობა ხაპრიძე, ეთერ თათარაიძე, ნაზი ხაპრიძე და მეოთხე გახლდათ ეთერის და, სწორუპოვარი მომღერალი ლელა თათარაიძე. ყველას კარგად გვახსოვს, ხალხური შემოქმედების ის დაუვიწყარი საღამო და გამომსვლელთა წარმატებანი.

ნაზი ხაპრიძე მალე ქვემო ალვანის მეცხვარეობის სანაშენე საბჭოთა მეურნეობის პროფკავშირის თავმჯდომარედ იწყებს მუშაობას. მისი სამოქმედო არეალი იყო ქვემო ალვანი, ფიჩხოვანი, ბაბანეური, კასრისწყალი და თუშეთი. აქ ათი წელი დაჰყო. იქიდან ზემო ალვანის სასოფლო საბჭოს მდივნად გადავიდა, მერე ისევ სკოლას დაუბრუნდა (ზემო ალვანში).

„ნაზი ხაპრიძე ყმაწვილებმა გულით შეიყვარეს. ამას კი ხშირად ვერ ალწევენ მასწავლებლები. მისი შრომა ჩანდა არა მარტო კლასში, ეზოშიც, ქუჩაშიც, თეატრშიც, საზოგადოებაშიც. მისი საქმიანობა იგრძნობოდა არა მარტო იქ, სადაც იგი ფიზიკურად იმყოფებოდა, იქაც მისი ყოფნა მხოლოდ გონებითა და სინდისით იგულისხმებოდა".

ეს ნაწყვეტია ქვემოალვანელი პედაგოგის, საზოგადო მოღვაწის და თუშთა ღირსეული მოძღვარის დეკანოზ გოჩილაიძის დახასიათებიდან.

ნაზის ნებისმიერი გამოსვლა ამშვენებდა თბილისში გამართულ სხვადასხვა ღონისძიებებს, თავყრილობებს.

ერთ-ერთი ღონისძიება მიეძღვნა თუშეთის სამკურნალო მცენარეების



რეცეპტების დამზადებას. ეს საქმე ნაზის დაევალა. 33 მარტო მხალეული მცენარისა შექმნა, რომელიც საკვებად გამოიყენება და ამზადებენ ხინკალს, „საწებას" (რძესთან ერთად). აი, სახელწოდებები: ჭიმი, მათუთი, მჟავია, საღვიძლა, ძაღლთქოლა, გულბანდი, ქონდარი, პიტნა, მამალი, დეკა, ღოლო, თავშავა, ლენცოფა, სტომი, კრაზანა, ხვაფა (მალინა), ასკილი, თუშეთის შავი ასკილი...

ნაზი ხაპრიძემ თუშურ ხურჯინში ჩაალაგა მცენარეთა პაკეტები, ჰერბარიუმების დიდი ალბომი რეცეპტებით, რომელსაც ასეთი წარწერა გაუკეთა: ძვირფასო ედუარდ შევარდნაძე, სამშობლო, ეს რაღაც ძალიან დიდია. სწორედ სამშობლოს მიწის ბარაქაა ჩემი ამანათი, მალამოდ მოეცხოს თქვენს სულსა და სხეულს თუშეთის მიწის სურნელი და თუში ქალის ნაქარგი. პატივისცემით **ნაზი ხაპრიძე.**

ამგვარი საქმიანობის გამო, ახმეტის სატყეო მეურნეობის მაშინდელ დირექტორს ზაქრო არაბულს უთქვამს: ნაზი ხაპრიძემ ქვეყანაზე გაგვაჭენაო...

როცა ახმეტელებმა გურამ ფანჯიკიძის საღამო გამართეს, ნაზიმ მას ლექსით ნაქარგი ხელსახოცი უბოძა ასეთი ექსპრომტით:

**რაც შენ გაგიცან გურამო,**
**შემომეჯარნენ ფიქრები,**
**შენ ფანჯიკიძის კი არა,**
**ცამიკიძისა იქნები.**

ერთ ასეთ შემთხვევასაც მაცნობს ნაზი: თბილისქალაქობაზე ახმეტელებს სტუმრად ეწვივნენ ცნობილი ადამიანები – ვერიკო ანჯაფარიძე, ზურაბ ანჯაფარიძე, გურამ ფანჯიკიძე და სხვ.

ნაზი ხაპრიძემ სენსაციური და დაუვიწყარი ექსპრომტები უძღვნა ზურაბ ანჯაფარიძესაც.

მრავალი ხატოვანი სტრიქონით არის გაჯერებული ნაზი ხაპრიძის ხალასი პოეზია...

#### ჯანსუღ ჩარკვიანს

(ტელეფონით ნათქვამი)

**უდერახ მოგწერ შაირხა**
**თუშურ ფარ-ღილად ახხმულხ,**
**ჩემ ქვეყნად გაჭენებისად,**
**დიდი მადლობა, ჯანსუღ!..**

#### ცკივილი

**გადაიქროლეს ქარებმა,**
**ჭორაობით და**
**სვივილით,**
**ეს რა ჭრილობა მაჩუქე,**
**რა საოცარი ტკივილი,**
**რა შორ-შორს დაჩრჩი, როგორც**
**ნიაღვრის შემდეგ იები,**
**შენ იქ ნაღვლობ და მე აქა,**
**გვზაფრავენ ეჭვის ჭიები.**

**ქარები ჩემი მთებისა გადაკარგულან**
**სვივილით.**
**წახვედი და დამიტოვე ცისფერთვალება**
**ტკივილი,**
**ტკივილი გაუხუნარი, მოურჩენელი**
**ტკივილი.**

#### ის ქალი მე ვარ

**ყველაფერს უკვე შენს**
**სახელს ვარქმევ,**
**გავშალე, ვზარდე ბაღებში ჩერო,**
**დაგისაკუთრე, დაგისაკუთრე,**
**სიზმარეულო ხატებავ ჩემო.**

**ვით სიო, ჩუმად შემოგეპარე,**
**ზოგჯერ შრიალა, ზოგჯერ**
**წენარი ვარ...**
**ხან დაგაღონებ, ხან გაგახარებ...**
**მე ის ქალი ვარ...**

ნაზის ბაცალიგოელი მეუღლე ჰყავს – შოთა არაბული. მათ ოთხი შვილი ჰყავთ: ნათია, ლელა, დავითი და სოსო. ნაზი უკვე პენსიონერია. იგი ლექსებთან ერთად ნოველებსაც წერს და ოჯახისთვისაც იხარჯება.

ქალი – დედა, პედაგოგი, რომელმაც თავისი მშვენიერი ლექსებით ჯერ კიდევ 1987 წელს გაახარა მკითხველი – გამომცემლობა „ნაკადულმა" წიგნად აკინძა მისი ნაწარმოებები.



ძნელად თუ შეხვდებით ნაზისმიერ მოუბარს. მისი საამო ხმა ყოველთვის მალამოსავით გვესალბუნება.

**იზა ჯაჭვაძე.**

## წიგნი

### თამაშ-თამაშით – მწერლის სამყაროში



**სკოლისგარეშე დაწესებულებაში, სადაც სკოლის ზარი არ ირეკება, მუშაობა ყოველთვის რთული იყო და ასეა ახლაც. ამ პროცესს წლების განმავლობაში თავდადებული ადამიანები ემსახურებიან. ერთ-ერთი მათგანია კრებულის „გვინათე კვლავაც" ავტორი, მოსწავლე ახალგაზრდობის რესპუბლიკური სასახლის ჰუმანიტარული განყოფილების ფოლკლორის კაბინეტის მასწავლებელი ზულერი ჩხეიძე. ისე, როგორც მის მიერ ადრე გამოცემული წიგნები, ეს კრებულიც მოსწავლეებს სკოლის პროგრამის ათვისებაში ეხმარება. „გვინათე კვლავაც" კარგა ხანს ელოდა გამოცემას (რეცენზენტები – პროფესორი სოლომონ ხუციშვილი და თბილისის 53-ე სკოლის საქართველოს დამსახურებული მასწავლებელი თამარ ბურჯანაძე) და, რახან გამოვიდა, დარწმუნებული ვართ, რომ იგი მოსწავლეს შეაყვარებს წიგნს, მასზე მუშაობას შეაჩვევს, ბიბლიოთეკებსა და წიგნის საგანძურის მოძიებისკენ უბიძგებს.**

კრებულში წარმოდგენილია ილია ჭავჭავაძის ცხოვრების და შემოქმედების ძირითადი ეპიზოდები, რაც მოსწავლეებს დაეხმარება სასწავლო პროგრამით გაუთვალისწინებელი მასალის გაცნობა-შესწავლასა და XIX საუკუნის მეორე ნახევრის საქართველოს ლიტერატურულ-საზოგადოებრივი და სოციალ-პოლიტიკური ცხოვრების საკითხების გარკვევაში.

ავტორი ცდილობს სახალისო და გასართობი ხერხების სახით მკითხველი ილია ჭავჭავაძის გიგანტურ, სიკეთით სავსე სამყაროში შეიყვანოს.

კრებულში კარგად არის წარმოდგენილი ილია მართლის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ის ეპიზოდები, რომლებმაც ერის ცხოვრებაში უდიდესი კვალი დატოვეს, ეს კი ყველა ქართული სკოლის მოსწავლისათვის არის აუცილებელი. წიგნი „გვინათე კვლავაც" გვკარნახობს ილიას ბრძნულ გამონათქვამებს, მოგონებებს მასზე, გამოძახილს მის მკვლევარებზე; გვთავაზობს ლიტერატურულ გასართობებს, ლიტერატურულ თავსატეხებს, მოგზაურობას ილიას თხზულებათა სამყაროში, აგრეთვე მწერლის ბიოგრაფიის ტოპონიმებს და ა. შ.

ნაშრომი სარგებლობას მოუტანს ყველა ასაკის ადამიანს, ყველას, ვისაც უნარი აქვს დააკვირდეს მწერლის ბიოგრაფიას, მის შემოქმედებას, აზროვნებას და ამოიცნოს, ან პასუხი გასცეს იმ შეკითხვებს, კროსვორდებს თუ სავარჯიშოებს, რომლებიც ნაშრომში გონებამახვილურად არის შეტანილი. ყველაფერი ეს **გართობის, თამაშის, შეჯიბრების** სახით მიეწოდება მკითხველს.

კრებული გამოსცა გამომცემლობა „საქართველოს მაცნემ" (დირექტორი ლევან ფოფხაძე). საქართველოს განათლების სამინისტროს სახელმძღვანელოების სამმართველომ კი განიხილა წარმოდგენილი ნაშრომი **„გვინათე კვლავაც"** და მას მიანიჭა გრიფი: – „დაამტკიცა საქართველოს განათლების სამინისტრომ დამხმარე სასწავლო მასალად ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის IX-XI კლასების მოსწავლეთათვის".

**ნათელა ფაილოძე.**

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა"!

საქართველოს რესპუბლიკა
№ 163, ორშაბათი, 23 ივნისი, 2003 წელი.

## მცირე პროზა

# სამწყესური



ხვალ „ოჩერედი" გვიწევს — სამწყესურში ვარ წასასვლელი.

ო, რა შემზარავია ამის გაფიქრებაც კი.

სიცხეში, ქარში, წვიმაში მიდენი მთელი ქუჩის ნახირს ბარე სამ-ოთხ კილომეტრზე — სოფლის გასათავარში და გუბისწყლის პირას სახნავ-სათესად გამოუსადეგარ მინდვრებზე აძოვებ საღამომდე. ამ გზაში უამრავი შუკა და შესახვევია, არ გინდა შენს ჭკუაზე ატარო მშიერი, თავნება პირუტყვი? ახლა, კოლექტივის ყანები და ჩაის პლანტაციები, ქარსაფარი ზოლები!.. თუ ყურადღებით არ იქენი, შერგავს სადმე თავს, მაგალითად, მურთაზიე კვეჟოს ძროხა და სდიე მერე წინ და უკან.

თითქმის წარმოუდგენელია, რომ მარტო მიხედო ამდენ საქონელს. შენ რომ მიერეკები, ვილაცამ ან გვერდიდან, ან წინიდან უნდა ადევნოს თვალყური. ვიყავით უწინ მეზობლები შეზიარებულები, დაწყვილებულები, მაგრამ გადაწყვიტეს, ამ ოციოდე გამსლეულ ძროხას, რად უნდა ამდენი მწყემსი, გავიჭირვოთ, ცალ-ცალკე გავდენოთ, სამაგიეროდ გვიან-გვიან მოგვიწევს „ოჩერედიო". ჰო, მაგრამ ძალიან ძნელია სამწყესურში მარტო ყოფნა. აღარ გადის დრო, მიიზლაზნება, აღარ დაადგება საშველი შეღამებას. უფროსებისგან ვიცით ყმაწვილებმა: რომ გადაიშუადღებს და ჩრდილები აღმოსავლეთისკენ გაწვებიან, საკუთარი ჩრდილი უნდა ზომო ნაბიჯ-ნაბიჯ და ათზე რომ ახვალ, უკვე შეიძლება სოფლისკენ დაძრა საქონელი, უკვე მზე დასალიერზე ეშვება, მაგრამ ამ ათი ნაბიჯის შესრულება არ გინდა? დაუვლი თავს საქონელს, შეაქუჩებ, გადაზომავ საკუთარ ჩრდილს... ჯერ სადაა!..

ზაფხულის შუადღეს არა უშავს — ჩარეკავ გუბისწყალში ამ სამგლეებს და, თუ ამყოფე, კარგა ხანს წვანან დაბალ წყალში, იცოხნებიან, კუდით ბუზებს იგერიებენ... შენც გაგრილდები მდინარეში, სიმინდის სათოხნად წამოსული მეზობლები და შენი ტოლი ბიჭ-ბუჭობა შემოგიერთდებიან და ცოტას გაერთობი.

ამოდენი მერე ნელ-ნელა წყლიდან, წააბალახებ, ამასობაში მოსაღამოვდება კიდეც და აძრავ პირუტყვს სოფლისაკენ.

ახლა, მთავარია, რომელიმე არ გაკლდეს, არსად იყოს დარჩენილი, სულაც — გუბის სიმინდის ყანებში ან ჩაის პლანტაციებში. შარია, უნდა წაიყვანო ოჯახის უფროსი, რათა იქაურ მეველეს გული მოულბოს (შეიძლება მოქრთამოს კიდეც) და „ფაქტზე" დაჭერილი პირუტყვი დაგიბრუნოს.

იმედია, ხვალ ასეთი რამ არ მოხდება, შემოდგომაა — ყანებიც აღებულია და ჩაის კრეფის სეზონიც დამთავრებული.

ჰოდა, იქნებ მოვიარო სამწყესური მშვიდობით!

**ვილენ მარდალეიშვილი.**

---

# კვერნაძის ბალი

### ციკლიდან: „ოლასკურის ლორჯო"

სადღაა ის ბლის ხეები — გზის ორივე მხარეს, კოლექტივის ფართობში არიგებულ-ჩარიგებული. გამქრალან, ეგერ ეეეეე... წლების მიღმა დარჩენილან და ხანდისხან თუ გაანათებს გონების რომელიღაც უჯრედს ნიავის შემოქროლაზე ფოთლებიდან ცელქად მომზირალი ბლის კუნწულა.

...უკვე ჩემი საგამზრდელო ჩანდა, ჩემი დედულეთი ხელს მიქნევდა, ბუხრის საკვამური მესალმებოდა ილარიონ ნიქაბაძის ორსართულიანი სახლის სახურავიდან.

გული ამოვარდნას ლამობდა, ბაბუაჩემის კარ-მიდამო თავისკენ მექაჩებოდა, მაგრამ, ჯერ ბლის კუნწულები უნდა მომეწყვიტა, პირი ჩამეგემრიელებინა უტკბილესი კვერნაძის ბლით. თუ ქვემოდან ვერ მივწვდებოდი, ხეზეც ბარე ორჯერ ავმძვრალვარ.

ჰოდა, რომ ვარ ერთხელ ასე ტოტზე ჩამომჯდარი და ბლის ჭამით გართული, ჩახველების ხმა მომესმა. ჩავიხედე. ბიჭოს, ფილიპე გოდუაძე — კოლექტივის დამსახურებული მეველე, წელში წალდგარჭობილი და ცალთვალმოჭუტული არ შემომცქერის ქვემოდან?!..

„ჩამოდი, ჩამოდი!"

„ცოტა შორს დადექი და ჩამოვალ!"

„სად ამძვრალხარ მაქ... მაღლაკში ბალი არა გაქვთ?! ჩამოდი და მოუსვი, ბებიაშენი ჭიშკართან დგას".

და, ფილიპე სტვენა-სტვენით მიუყვება არხის პირს.

ბებიაშენი ჭიშკართან დგასო? კი, მელოდება, ალბათ, ელენე (ელენჩქას რომ ეძახის მთელი სოფელი) ბებია — ქორქოლიანის ქალი. დღეს შაბათ ნაშუადღევია, უქმე წინაა და სულმოუთქმელად ფარცხანაყანევისკენ გამოვწიე. იქვეა ეს სოფელი — მაღლაკის საზღვარზე, თითქოს მაღლაკისგან არაფრით განსხვავებული — იგივე ხალხი — მიწის მოიმედე, ხალისიანი, ენაკვიმატი, სტუმართმოყვარე, იგივე ბაღ-ბოსტან-ბალჩები... მგონი, აქ მიწა ცოტათი უფრო ქვიანია. ამას ადასტურებს სახუმარო ლექსიც, ვიღაცას რომ შეუთხზავს და ხშირად ამღერებენ არღანზე დარდიმანდი ბიჭები: „ვაი-ვუი ფარცაყანებს, ამდენი ქვა სად დაყარეს, გამევიდა მანიფესტი, აიღეს და გადაყარეს".

იხუმრეთ, იხუმრეთ, მაგრამ იმ ფაქტს სად გაექცევით, რომ სწორედ ფარცხანაყანევმა შვა დიდი ქართველი ფილოსოფოსი და მამულიშვილი შალვა ნუცუბიძე...

...ბებო მართლაც ჭიშკართანაა, ბროწეულის ტოტების ცოცხი უჭირავს და მისასვლელს გვის.

„ბებო!"

წელში იმართება, შავი თავსაფრის ბოლოთი სახეზე ოფლს იმშრალებს: „რატო დაგაგვიანდა, ბებო?" გულში მიკრავს და ყურთან მესალბუნება მისი ჩურჩული: „ჩემი ხვაჭაიე... ჩემი ხვაჭაიე"...

„ბალზე გევედი გოდუაძეების გადმოსახვევთან, ფილიპიამ კინაღამ დამიჭირა".

„თავს გვჭრი, ბებო? მაგათი ბაღი გადაშენდა, აგერ არ გვაქვს ბლები ეზოში? ადი და ჭამე რამდენიც გინდა!"

ილარიონ ნიქაბაძის ოჯახს „თავისი ანგარიშები" აქვს „მაგათთან", ანუ კომუნისტებთან, კოლექტივთან. ჩემს მახსოვრობაში ბაბუა უკვე დავრდომილი იყო. ბამბუკის ლამაზ საწოლზე იწვა ქვედა სართულზე და მოთმინებით ელოდა სიკვდილს. არადა, თავის დროზე, კაი ვაჟკაცი ყოფილა. ნამუსიანი ვაჭრის სახელით დადიოდა თურმე და სავსე ოჯახი ჰქონდა. ორსართულიანი ოდა-სახლი, დღეს რომ აღარავის უკვირს, ილარიონმა იმ საუკუნის ოციანი წლების დასაწყისში წამოჭიმა.



ახლაც დგას ეს სახლი დედულეთში, ქვედა სართული ქვიტკირითა და აგურითაა ნაგები, მეორე — ერთიანად წაბლის მასალაა, დგას და აცილებს თაობებს....

ყველაფერი რომ გაკოლექტივდა, მაიდგნენ თურმე ილარიონს, ჩამოართვეს უზარმაზარი სახნავ-სათესი, ხარძროხა... დედაჩემი იტყოდა ხოლმე, ამოცვივდნენ მეორე სართულზე ტანისამოსჩაზინზლული, წვერაბურძგნული, ერთ დროს, ვითომ, კაი მეზობლები, მოაოხრეს ოთახები, ალუბლის მურაბით სავსე კილოიანი „ბანკები" იპოვეს საწოლქვეშ. მახსოვს, როგორ ხარბად ისხამდნენ პირში ტკბილ სითხეს — მურაბის უნახავები, წვენით ჰქონდათ მოთხვრილი პირ-სახე...

შეიყვანეს ილარიონი „შავ" სიაში, ორსათულიან ოდაში კოლმეურნეობის კანტორის გახსნა დააპირეს, მაგრამ ისევ ბაბუის კაიკაცობამ, ირგვლივ უშურველად დათესილმა სიკეთემ გადასწონა, თანაც ჩათრევას ჩაყოლა ამჯობინა ილარიონმა — კოლწევრი გახდა და ასე სასწაულად „დაუძვრა" ჩეკისტებს.

...ეზოში მართლაც დგას რამდენიმე ძირი — ეს კვერნაძის ბალიო, ეს — კიკვაძის (საადრეო) ბალიო, ეს თეთრი (სამურაბე) ბალიო... ვენახის ბოლოში ქვიშნებია ჩამწკრივებული, იქით მარიობისთვის მსხალი გატოტვილა, აქეთ ატმები — საპობი, სათლელი... კარალიოკი — უამრავი...

სანამ ბებოს მაღლაკის ამბებს ვუყვები, უკვე შემოსულან ეზოში ჩემი დედულეთელი ძმაკაცები, ბიძაშვილს — ჭაბუკა ნიქაბაძეს კაუჩუკის ბურთი გამოაქვს და... მორჩა...

„ჯერ გესადილათ, ბებო".

სადილი ვის უნდა, უკვე ყიჟინა დგას გარშემო. ხოლო საღამოთი, როცა ეზოში ასწლოვანი კვიპაროსების წვეროებს ქარი შეარხევს, როცა უზარმაზარი კაკლის ხეც ტოტებს აატლაშუნებს, როცა დაცალუღლებული, მარად მოფუსფუსე მარუსია დეიდა სავახშმოდ ჯამჭურჭელს აახმიანებს, ტანში ნეტარება მივლის ბალახზე წამოგორებულს — დედულეთის ცის თავანზე დაკიდებულ უზარმარზარ მთვარეს შევცქერი, შორეახლო კი უტკბილესი, მზრუნველი ხმა მესმის: „ოფლიანი ხარ, ბებო, უქმური არ აგყვეს, მოიცვი რამე ზემოთ".

...დღეს რომ საქართველოში ერთ-ერთი ულამაზესი, უფართოესი და მკვიდრად ასფალტირებული სამანქანო გზაა ქუთაისი-სამტრედიისა, მისი მშენებლობა სწორედ იმ წლებს, ჩემი ბავშვობის ხანას ემთხვევა. იქვეა ეს გზა, ჩვენი კარ-მიდამოდან — ხელის გაწვდენაზე. მას სამხედროები აშენებდნენ, „რაბოჩი ბატალიონის" ბიჭები არიანო, თქვა ერთხელ ვალოდია ბიძიამ.

ბიჭების უმრავლესობა ქართველი იყო. წელზევით შიშვლები, დაკუნთულები, გარუჯულები, დილით ადრიანად იწყებდნენ საქმიანობას, შუადღეზე კი, მზე რომ აჭერდა, ერთიორი საათით აკაციების ჩრდილებს აფარებდნენ თავს. იქვე სადილობდნენ... ბავშვები მათ ახლო-მახლო ვერთობოდით, გვაინტერესებდა ეს ხალხი. ზოგის სახელიც კი ვიცოდით უკვე და თავი მათ მეგობრად მიგვაჩნდა. წარმოიდგინეთ, რომ ისინიც გვენდობოდნენ. აი, ამის საუკეთესო მაგალითი: ერთხელ მეძახის ჯარისკაცი ნიკო, ოთხად გაკეცილ ქაღალდის ფურცელს მაწვდის და საიდუმლოდ მეუბნება, ეს წერილი თინიკო კილაძეს მიუტანეო. მკერდსავსე, სანდომიანი თინიკო იქვე ცხოვრობდა. მივუტანე წერილი. წაიკითხა, თვალებში ცელქი ღიმილი ჩაუდგა, აქ დამიცადე, ახლავე მოვალო, მითხრა და სახლში შებრუნდა. ცოტა ხანში გამოიტანა ქაღალდში რაღაც შეხვეული და, აი, ეს ნიკოს მიუტანეო.

ქაღალდი ძლივს ფარავს შეხვეულს — მჭადებს, ერთ წველა ყველს, კიტრს, პამიდორს, მწვანილეულს... ჯარისკაცების სიბრალულის გრძნობა მიპყრობს, ყმაწვილური გუმანი რაღაცეებს სწვდება...

ახლაც გამახსენდება ხოლმე, როგორ სულმოუთქმელად შეექცეოდნენ თინიკოს გამოგზავნილ საგზალს ნიკო და კიდევ ორი-სამი ჯარისკაცი...

...კვირა საღამოს კი უკან — მაღლაკისკენ... ბებო და ბიძაშვილები კარგა შორს მაცილებენ. ჯერ მათ უჭირავთ ლამაზად მოწნული კალათი, რომლიდანაც კვერნაძის ბალი იჭყიტება, მერე მე მიმაქვს ტვირთი — მხარზე შედგმული, თან მალიმალ უკან ვიხედები, იქნებ მანქანა წამომეწიოს.

**ვილენ მარდალეიშვილი.**

---

## ზოდიაქო და პოლიტიკა

# თხა თუ მგელმა შეჭამა... მოდი, ვნახოთ ცხვარი

ჩვენი ქვეყნის სხვა მოქალაქეთა მსგავსად, მეც შიშნარევი ინტერესით ველი 2003 წლის საპარლამენტო არჩევნებს. პოლიტიკური ბრძოლა ხელისუფლებისათვის აპოგეას მიაღწევს, იქნება მკვეთრი დაპირისპირებები და შეიძლება ხელჩართული ბრძოლებიც.

2003 წელი თხის წელიწადი ყოფილა.

თხა, ჩვენი რწმენით, ცუდის ნიშანია. საოცრად არ გვიმართლებს ქართველებს: ამდენი განსაცდელი, ამდენი უბედურება და იმედგაცრუება გამოვიარეთ და ახლა კიდევ თხა გვინდოდა?

ბავშვობიდანვე არ მიყვარს თხა. თუ არიან ჩვენთან ადამიანები, რომლებსაც უყვართ ეს ცხოველი, მე ხმას როგორ ამოვიღებ, მაგრამ დარწმუნებული ვარ, ასეთები არ იქნებიან.

„კომუნისტური იმპერიის" მხატვრები ეშმაკს რომ დახატავდნენ, აუცილებლად თხის თავს დაადგამდნენ, რქებით და წვერით.

ამის დამნახავს როგორ უნდა შეგყვარებოდა თხა?

ღრმა ხევზე გადებულ ვიწრო ხიდზე ორი თხა ერთმანეთს შეხვდა, არც ერთს გზის დათმობა არ უნდოდა, ერთმანეთს რქებით დაეჯახნენ და ორივენი ხევში გადაიჩეხნენო. თხამ ვენახი შეჭამაო... ყურძენი კი არა, ვენახი შეჭამა, რომ მას ყურძენი აღარ მოესხა...

ამას წინათ, ერთმა ჩემმა ნაცნობმა მკითხა, რა საერთოა თხებსა და პოლიტიკოსებს შორისო. დავფიქრდი და ბევრი საერთო დავინახე.

პოლიტიკოსების მსგავსად თხებსაც სულ ლიდერობა უნდათ. დაღუნავს თხა თავს და მიდის, შეიძლება უფსკრულშიაც გადაიჩეხოს და თან მთელი ფარა გადაიყოლოს.

ფარაში თხების ზენორმატიული რაოდენობის დროს, ხშირია შემთხვევა, როცა წინ მიმავალი თხა, უკანა ფეხებზე შედგება, ტანით მობრუნდება და რქებით დაეჯახება მის უკან მიმავალ თხას — ლიდერობისათვის იბრძვიან.

ეს მეტად საინტერესო და მიმზიდველი სანახაობაა, მაგრამ ისიც გასათვალისწინებელია, რაც ემართებათ თხების თავებს, შემდეგ ამ თავებით ისინი კვლავ ფარას მიუძღვიან...

მავანი იკითხავს, დავიჯერო, თხას დადებითი არაფერი აქვსო? როგორ არა, თხა გვაძლევს 2-3 ლიტრ მეტად მარგებელ რძეს, მაგრამ რის ფასად? — მთელი ტყე უნდა გადაჭამოს. მიადგება და ბუჩქს სულ გადაუჭამს ფოთლებს, ყლორტებს...



ჩვენი მწვანეები თავიანთ რეკლამებში გვიჩვენებენ პირველი ათასწლეულის ქართველ გლეხს, ქალამნებით, წალდით, მშვენიერი ტყით და თხით. მოგვიწოდებენ შეინარჩუნეთ საქართველო, როგორიც არისო.

თუ ვინმე მშვენიერ ტყეს და თხას ერთდროულად შეინარჩუნებს, ხმას ნამდვილად არ ამოვიღებ.

ბევრი რომ არ ვამტკიცო, თხას მაინც მგელი ჭამს, ასეთია მისი ხვედრი.

ჰოდა, თხა თუ მგელმა შე-ჭა-მა, მოდი, ვნახოთ ცხვარი.

2003 წელი ცხვრის წელი რომ ყოფილიყო, ჩვენს ბედს ძაღლი არ დაჰყეფდა. მგონი, მახსენდება... დიახ, 2003 წელი თხის წლად გამოაცხადეს იაპონელებმა, ხოლო ჩინელებმა ცხვრის წელიწადად.

ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, სად თხა და სად ცხვარი. ცხვარი ლატაკი კაცის ბინაში შევიდა და სიღარიბეს ფეხები დაუბაკუნაო... იმ კუთხეში მატყლი უნდა დავყარო, იმ კუთხეში რძე უნდა დავდგაო...

ცხვრის გადასარეკ ტრასებზე ცხვარი რომ მიდის, მაშინაც საკვებს დაეძებს. ეს იმას ნიშნავს, რომ ცხვარში ყოველთვის ჩართულია მატყლის, რძის და ხორცის საწარმოო ტექნოლოგიური ხაზები. ე. ი. ცხვრისთვის ეკონომიკა, მრეწველობა პრიორიტეტული დარგებია, იგი მეტად თვინიერი და ჭკვიანი არსებაა. ვინმეზე რომ იტყვიან ცხვარივით კაციაო, ეს იმას ნიშნავს, რომ იგი „ღირსად წარმოჩენილი" არასოდეს იქნება.

აუჰ, ცხვარივით ადამიანები პოლიტიკაში...

ბედი არ გინდა? ყველაფრის ყიდვა შეიძლება — ფეხბურთელების, მწვრთნელების, ექსპერტების, სამუშაო ძალის, ინტელექტის, აი, ცხვარივით პოლიტიკოსის ყიდვა კი ოცნებაშიაც არ შეიძლება.

მეტი გზა არ არის, უნდა ავირჩიოთ ხელისუფლებაში ცხვარივით კაცი და დავაბრალოთ პოლიტიკოსობა.

ცხვარივით პოლიტიკოსი მოვა თავის სამსახურში, თავს ჩარგავს კანონშემოქმედებით ან სხვა საქმეებში, სხვის აზრს მოისმენს, თავისას წარმოთქვამს, მერე ნათქვამს და მოსმენილს შეაჯერებს ყოველგვარი ამბიციების გარეშე და ხმას მისცემს იმ ვარიანტს, რომელსაც მისაღებად ჩათვლის.

ზოგიერთი ოპოზიციონერი არ დამეთანხმება. ძალიან უინტერესოაო, იტყვის, — ხალხს როცა პური არა აქვს, სანახაობა ხომ უნდა მისცეო. ამიტომ „რქების ჯახანი" ჯერჯერობით აუცილებლად უნდა დარჩეს ჩვენს ცხოვრებაშიო.

გეთანხმებით, ბატონებო! მაგრამ თუ ის სანახაობა ყოველდღიურია, იგი თავის მიმზიდველობას კარგავს. ხომ არის ჟამი ქვების დაგროვებისა და ჟამი ქვების სროლისა.

„მიმდინარე მომენტის თავისებურება" გვარწმუნებს, რომ „ახლა ცხვრების დროა", ისინი დიდხანს ელოდნენ. ეგეც რომ არ იყოს, თხა თუ მგელმა შეჭამა, მოდი, ვნახოთ ცხვარი.

**ნუგზარ კობახიძე.**

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა"!

# საქართველოს ეროვნული ბანკის სატენდერო კომისიის განცხადება

1. საქართველოს ეროვნული ბანკი, სატენდერო კომისიის 28.05.2003 წლის №1 სხდომის გადაწყვეტილებით, ბიუჯეტის სახსრებით გათვალისწინებული სხვადასხვა სიმძლავრისა და მოდიფიკაციის კონდიციონერების შესყიდვაზე აცხადებს ღია ტენდერს და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს. სპეციფიკაციის შესახებ დაწვრილებითი ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ საქართველოს ეროვნული ბანკის სატენდერო კომისიის სამდივნოს.

2. მიწოდება სასურველია განხორციელდეს ტენდერის დამთავრებისა და ხელშეკრულების გაფორმებიდან 45 კალენდარულ დღეში. CIP-თბილისის პირობით. საქონლელი, ტექნიკური სპეციფიკაციის მიხედვით თავის დანიშნულებით და გამოყენებით უნდა აკმაყოფილებდეს სეკ (CPA)002-99 შესაბამის მოქმედ სტანდარტებს კერძოდ:D-DK-29.23.1;CPC-439a;

3. დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა წარმოადგინონ ქართულ ენაზე, განცხადების გამოქვეყნებიდან არა უგვიანეს 15 კალენდარული დღისა სებ-ის კანცელარიაში სათანადო რეგისტრაციის გავლით 18 სთ-მდე შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ლეონიძის ქ. 3/5, სატენდერო კომისიის სამდივნო ტელ/ფაქსი: 98-21-34. ტელ. 44-23-88, 44-22-11 შიდა ტელ. 2-11; 3-88;

4. დაინტერესებულ პირთა საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს ცნობებს და ინფორმაციებს რომ:

ა) მისი ქონება არ არის დაყადაღებული (ცნობა ნოტარიუსთა პალატიდან);

ბ) მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება, არ მიმდინარეობს მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია (ცნობა სასამართლოდან);

გ) მის მიმართ არ მიმდინარეობს იძულებით სააღსრულებო წარმოება (ცნობა სააღსრულებო ბიუროდან);

დ) ტენდერის დაწყების მომენტისთვის მისი ხელმძღვანელის (ფიზიკური პირის) მიმართ არ არის აღძრული სისხლის სამართლის საქმე სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის (ცნობა შინაგან საქმეთა სამინისტროდან);

ე) ფიზიკური პირისთვის; ცნობა, რომ სასამართლოს მიერ მას მთლიანად ან ნაწილობრივ არა აქვს შეზღუდული ქმედითუნარიანობა (ცნობა ჯანმრთელობის დაცვის სპეციალიზირებული დაწესებულებიდან);

ვ) ბიუჯეტის წინაშე არ გააჩნია დავალიანება (ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან).

ზ) ბოლო ხუთი წლის აუდიტირებული ბალანსი აუდიტის დასკვნასთან ერთად;

თ) დადგენილების ასლი სასამართლოში რეგისტრაციის შესახებ;

ი) რეკვიზიტები (მისამართი, ტელეფონი, ფაქსი, საბანკო რეკვიზიტები);

კ) საქმიანობასთან დაკავშირებული ლიცენზია, სერტიფიკატი ან ნებართვა;

5. იურიდიული ან ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო მონაცემებს, თუ იგი დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს მე-4 პუნქტით განსაზღვრულ ყველა ცნობასა და ინფორმაციას ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

6. სატენდერო დოკუმენტაციას მიიღებენ სებ-ის სატენდერო კომისიის მიერ პრეტენდენტად აღიარებული ის პირები, რომლებიც აღიარებიდან და შეტყობინებიდან 3 დღის განმავლობაში გადაიხდიან სატენდერო მოსაკრებელს 500 ლარის ოდენობით, საქართველოს ეროვნულ ბანკში გახსნილ №000904742 „შესყიდვებთან დაკავშირებით მიღებული სატენდერო მოსაკრებლის" სპეციალურ ანგარიშზე, ბანკის კოდი 220101107.

7. დამატებითი ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ მიმართოთ სატენდერო კომისიის სამდივნოს საქ. ეროვნულ ბანკში მისამართი: ქ. თბილისი, ლეონიძის ქ. 3/5,საფოსტო ინდექსი 380005, ოთახი №320 ტელ./ფაქსი: 98-21-34. ტელ. 44-23-88, 44-22-11 შიდა ტელ. 2-11; 3-88.

**საქართველოს ეროვნული ბანკის სატენდერო კომისია.**

---

1. საქართველოს ეროვნული ბანკის სატენდერო კომისიის 28.01.2003 წლის №1 სხდომის ოქმის თანახმად, ბიუჯეტის სახსრებით გათვალისწინებული ინდივიდუალური პროექტის (ფორმისა და მოცულობის), ჭაღების დამზადებაზე, აცხადებს ღია ტენდერს და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს. სპეციფიკაციის შესახებ დაწვრილებითი ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ საქართველოს ეროვნული ბანკის სატენდერო კომისიის სამდივნოს.

2. დამზადება განხორციელდება 2003 წლის განმავლობაში, სებ-ის მოთხოვნების შესაბამისად კონკრეტული სამუშაოს სიდიდისა და ამ სამუშაოების ვადების გათვალისწინებით. მომსახურება ტექნიკური სპეციფიკაციის მიხედვით, თავის დანიშნულებით და გამოყენებით უნდა აკმაყოფილებდეს სეკ (CPA)002-99 შესაბამის მოქმედ სტანდარტს D-DL-31.50.2; CPC-465b;

3. დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა წარმოადგინონ ქართულ ენაზე, განცხადების გამოქვეყნებიდან არა უგვიანეს 15 კალენდარული დღისა სებ-ის კანცელარიაში 18 სთ-მდე სათანადო რეგისტრაციის გავლით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ლეონიძის ქ. 3/5, სატენდერო კომისიის სამდივნო ტელ/ფაქსი:98-21-34. ტელ. 44-23-88, 44-22-11 შიდა ტელ. 2-11; 3-88

4. დაინტერესებულ პირთა საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს ცნობებს და ინფორმაციებს რომ:

ა) მისი ქონება არ არის დაყადაღებული (ცნობა ნოტარიუსთა პალატიდან);

ბ) მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება, არ მიმდინარეობს მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია (ცნობა სასამართლოდან);

გ) მის მიმართ არ მიმდინარეობს იძულებით სააღსრულებო წარმოება (ცნობა სააღსრულებო ბიუროდან);

დ) ტენდერის დაწყების მომენტისთვის მისი ხელმძღვანელის (ფიზიკური პირის) მიმართ არ არის აღძრული სისხლის სამართლის საქმე სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის (ცნობა შინაგან საქმეთა სამინისტროდან);

ე) ფიზიკური პირისთვის; ცნობა, რომ სასამართლოს მიერ მას მთლიანად ან ნაწილობრივ არა აქვს შეზღუდული ქმედითუნარიანობა (ცნობა ჯანმრთელობის დაცვის სპეციალიზირებული დაწესებულებიდან);

ვ) ბიუჯეტის წინაშე არ გააჩნია დავალიანება (ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან).

ზ) ბოლო ხუთი წლის აუდიტირებული ბალანსი აუდიტის დასკვნასთან ერთად;

თ) დადგენილების ასლი სასამართლოში რეგისტრაციის შესახებ;

ი) ინფორმაცია განხორციელებული ანალოგიური მომსახურების შესახებ;

კ) რეკვიზიტები (მისამართი, ტელეფონი, ფაქსი, საბანკო რეკვიზიტები);

5. იურიდიული ან ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო მონაცემებს, თუ იგი დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს მე-4 პუნქტით განსაზღვრულ ყველა ცნობასა და ინფორმაციას ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

6. ტენდერის პროცედურებში საქართველოსა და უცხო ქვეყნის პრეტენდენტების მონაწილეობის შემთხვევაში საქართველოს პრეტენდენტისადმი გამოყენებული იქნება პრეფერენციული შეღავათი 15%-ის ოდენობით იმ შემთხვევაში, როდესაც საქართველოში რეგისტრირებული მეწარმე წარმოადგენს დოკუმენტს საქონლის ადგილობრივი წარმოშობის შესახებ.

7. სატენდერო დოკუმენტაციას მიიღებენ სებ-ის სატენდერო კომისიის მიერ პრეტენდენტად აღიარებული პირები აღიარებიდან და შეტყობინებიდან 3 დღის განმავლობაში, რომლებიც გადაიხდიან სატენდერო მოსაკრებელს 500 ლარის ოდენობით, საქართველოს ეროვნულ ბანკში გახსნილ №000904742 „შესყიდვებთან დაკავშირებით მიღებული სატენდერო მოსაკრებლის" სპეციალურ ანგარიშზე, ბანკის კოდი 220101107.

8. დამატებითი ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ მიმართოთ სატენდერო კომისიის სამდივნოს საქ. ეროვნულ ბანკში, ქ. თბილისი, ლეონიძის ქ. 3/5, ოთახი №124, 125 ტელ./ფაქსი: 98-21-34. ტელ. 44-23-88, 44-22-11 შიდა ტელ. 2-11; 3-88

**საქართველოს ეროვნული ბანკის სატენდერო კომისია.**

---

რეპლიკა

## ბიჭო, ვისი ხარ, მალხაზი!

საბჭოთა პერიოდში პიროვნების ოფიციალურ დოკუმენტებში მოხსენიება ინიციალების ან სახელ-მამის სახელის მითითებით ხდებოდა. 1990 წლის ოქტომბრიდან, ამის ნაცვლად, რაიმე გადაწყვეტილების მიუღებლად, პრაქტიკულად დაკანონდა პირის ოფიციალურ დოკუმენტაციაში მამის სახელის მიუთითებლობა.

ასეთ პრაქტიკას არც იურიდიული და არც ისტორიული გამოცდილება არა აქვს.

თავი დავანებოთ რუსეთს. ქართულ სიგელ-გუჯრებში, როგორც წესი, პიროვნების „უპატრონოდ" ხსენება არ იყო მიღებული. ჩვეულებრივად მიეთითებოდა წარმომავლობა — ვისი ძე ან ასული იყო.

პიროვნების გარჩევა მარტო სახელის ხსენებით არც დასავლეთშია მიღებული. იქ ოფიციალურ დოკუმენტებში, როგორც წესი, თუ სრულად არა, მითითებულია მეორე სახელის ინიციალი, ან უმცროს-უფროსობა, ან მერიგეობა და სხვ.

ასე რომ, არა მგონია, ამ მეთოდით „საბჭოურობასთან" ბრძოლა რაიმე დადებითის მომტანი იყოს. უხერხულობა კი ძალიან ბევრია — მოგვარეებსა და სეხნიებს რა გამოლევს საქართველოში.

როგორც მითხრეს, არა ერთი შემთხვევა იყო მხოლოდ გვარ-სახელით მითითებული დოკუმენტების (დიპლომი და სხვა მრავალი) უკანონოდ გამოყენებისა.

რაღაც ვერ ვიხსენებ, მითხრეს თუ დამესიზმრა, რომ პარლამენტი აპირებს ამ საკითხის განხილვას. რომ ჩავუფიქრდი, ალბათ, დამესიზმრა, თორემ პარლამენტს, აბა, სად სცალია საამისოდ (ჩვენმა პარლამენტარებმა ზედმიწევნით გაითვალისწინეს ძველი რომის მმართველთა საყოველთაოდ ცნობილი გამოცდილება — ხალხს გართობა უნდაო. ჰოდა, გამოსავალი იოლად მოინახა: მას არც კანონების შექმნა, არც ბიუჯეტი და დაფინანსება სჭირდება, მაყურებელიც უზრუნველყოფილია — მთელი საქართველო. ტრანსლაციის ფულს სახელმწიფო იხდის. და პარლამენტში გაჩაღდა სიტყვიერი და ფიზიკური ტლინკაობა, გაწევ-გამოწევა და კრივი. თან, დიდის წარმატებით).

სახელმწიფოს და პიროვნების ინტერესებიდან გამომდინარე, მიმაჩნია, რომ ოფიციალურ დოკუმენტებში პირის ინიციალებით ან სახელ-მამის სახელით მითითება აუცილებელია, რითაც, ვფიქრობ, მრავალი გაუთვლელი, უნებლიე შეცდომა გამოსწორდება.

პარლამენტი, დარწმუნებული ვარ, მაინც მოიცლის საამისოდ.

თუ არადა, მამაპაპური წესი არა გვაქვს თუ: ზრდასრულ ადამიანებს ენის მოჩლექით მივესიყვარულოთ — ბიჭო, ვისი ხარ, მალხაზი!

**ვანო შენგელაია,**
**საქართველოს კულტურის დამსახურებული მუშაკი.**

---

ნამდვილი ამბავი

## გომურაანთ ნათია

ამას წინათ მაღაზიაში 19-20 წლის ქალიშვილი შემოვიდა და ნადუღი იყიდა. ტუჩზე ბეჭედი ეკეთა. ამ სამკაულს ტუჩი ისე დაესიებინა, საუბარი უჭირდა და თურმე საჭმლის ყლაპვასაც უშლიდა. იქნებ ნადუღი მაინც გადავყლაპოო, — ამოილუღლუღა.

* * *

— თებრო, ჰაი თებრო, თებრო-ო-ო; სად დაიკარგა ნეტა ამ დილა უთენია, დაყრუვდა თუ რა მოუვიდა — თებრო, თებ-როო...

— შენა ხარ, რა შორიდან იძახი, ვერ ჩამოხვალ ეზოშია, ხო იცი ძაღლი არ მიბია...

— აქეთ მოდი, აქეთა, შემოსასვლელად არა მცალია...

— რა იყო ქა, ჩამო რა დაგემართა.

— რა და, არ იცი რა დაემართა გომურაანთ ნათიასა?!..

— რაო, რა, ცუდი ხო არაფერია...

— ო, და, და, და, და, მეხი კი დასცემია ეხლანდელ თავაშვებულ გოგოებსა, რას არ მოიგონებენ იმ ქალაქშია. ესაო, ისაო, ჩაჭრილ-ჩამოჭრილი კაბებით დადიან გულმოღლეტილნი, ჭიპგადმოყრილნი და აღარ იციან როგორ და რით გაალიზიანონ ე ბიჭები. მათაც მეტი რა უნდათ...

— ქა, ეგ რა ახალი ამბავია, რა დაემართა გომურაანთ ნათიასა...

— ისა, რო, ე მოდაა თუ რა ჯანდაბაა მაგათ თავსა...

— ადამიანო, თქვი, ისე თავგამოდებით რა, ამიტომ მეძახდი?...

— ჰო, ჩემო თებრო, ნათიას რო დაემართა, ეგ მოდის უშნო აყოლამ იცის, მაშა...

— აღარ იტყვი ადამიანო, რა დაემართა იმ უბედურსა?..

— რა და, ეხლანდელ გოგოებსა ტუჩებზედა ბეჭდების დაკიდება დაუწყიათ.

— ჰაა, რა თქვი ადამიანო, ტუჩებზე ბეჭდებს იკიდებენ? ეგ ვითომ რააო — ქა, ი, არ ეყოთ ჭიპზე რომ დაიკიდეს, ეხლა რა ტუჩებსაც მიადგნენ?!..

— მეხი რო დაეცათ იმ ტუტუც თავზედა... ჰო, და ამ ჩვენ ნათიასაც ბეჭედი ტუჩზე დაუკიდია. ტუჩი გახეთქია, დასჩირქებია, ქვედა ყბა სულ ერთიანად დასიებია და ქალაქში გულგახეთქილი გაქცეულან ვანუა და მისი ცოლი ნინელი. თბილისშია, მექვაბიანთ კირილე შეხვედრია და ენგრე უთქვამს ვანუასა, როგორ იქნება ჩვენი საქმე ჯერ არ ვიცითო.

— დახე, დახე, ღმერთო ჩემო, ეგ რა მოუგონიათ, გაგონილა... ი დალოცვილ ქალაქშია სასწავლებლად არიან თუ დროს სატარებლადა ჰაა...

— ნინელის გაზრდილი რა, კარგს იზამდა? არ გახსომს შარშან, მაღალ ქუსლებზე შემდგარი, სოფლის ორღობეშია, ჭიპგადმოგდებული, ზედ ბეჭედდაკიდებული აღმადაღმა რო დადიოდა? ეს სოფლის ბიჭები ხროვა-ხროვა რო დასდევდნენ, რა, ეგ არ იყო?

— ვაი, საცოდავ კეკეს მოსწრებასა, საწყალი მოხუცი, ზის და მთელი დღე ლოცვაშია. ღმერთო, შეუნდე ჩემს უგუნურ შვილსა და რძალსაო, ღმერთო, გადამირჩინე ჩემი ნათიაო, — გაიძახის.

— ეგრე იცის თავგასულობამა, ეგრე, მაშა, გომურაანთა არც უმცროს-უფროსობა იციან და არც სირცხვილ-ნამუსი აწუხებთ. ნინელი არ იყო, რო გაიძახოდა, ჩემი დედამთილის დანახვა აღარ მინდა, მოწყდეს აქაურობასო? იმ ვაჟბატონმაც დედა თავის აშენებული სახლიდან გამოასახლა და ძველ მიწურში ჩაასახლა.

— მაშ, ქალო, მაშა... ღმერთო, მოიყვანე გონებაზე უგუნურნი, ღმერთო, შეუნდე და გადაარჩინე გომურაანთ ნათია, — ლოცულობდნენ სოფლის დედაკაცები და ხელებს თავ-პირზე იბარტყუნებდნენ.

მართლაც და რა ეშველება ამდენ უგუნურს?!..

**ცისანა სიხარულიძე.**

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა"!

საქართველოს რესპუბლიკა
№ 163, ორშაბათი, 23 ივნისი, 2003 წელი.

## ორშაბათი
### 23 ივნისი

**07.30** ალიონი **09.45** მხ. ფილმი **"უზენაესი სიმართლე"** **11.45** დოკ. სერიალი "მსოფლიოს ქალაქები" **11.45, 15.00, 20.00** მოამბე **12.00** სასამართლო დარბაზიდან (რეპორტაჟი გლდანი-ნაძალადევის რაიონული სასამართლოდან) **15.15** მხ. ფილმი **"არხების გადართვისას"** **16.55** ტელესერიალი **"ძილის წინ"** **17.15** რამპა **17.20 50 – 50** **18.00** ვესტნიკი **18.20** დოკ. სერიალი "აფრიკის ბუნება" **18.30** ბასტი-ბუბუ **18.50** მრავალჟამიერ **19.20** ტელეთამაში "იმღერე რამე" **21.05** ტელესერიალი **"ეშმაკუნა"** **21.55** რეზო ამაშუკელი **22.35** ტელესერიალი **"ძილის წინ"** **23.00** "რა ხდება?" **00.00** მხ. ფილმი **"ორმო"**.

**19.00, 22.00** "მოამბე" მეორე არხზე **19.10** მულტფილმი **19.30** სერიალი **"რვაფეხა"** **20.30** ვმესტე **21.00** ჯანმრთელობა **21.30** მოგზაურობა სასიტყვეთში **22.10** მხ. ფილმი **"შავი მანტია"**.

**07.00** მუსიკა **07.30** სერიალი "ლეიტენანტ მარშის კოსმიური მაშველები" **08.00** დილა მშვიდობისა **09.40** სერიალი **"ასულ ტეკილა"** **10.20** დოკ. ფილმი "მეოცე საუკუნე" **11.10** სერიალი **"მეწამული ყვავილი"** **12.00, 15.00** კურიერი **12.15** სერიალი **"დატყვევებული გულები"** **13.30** მხ. ფილმი **15.20** მხ. ფილმი **17.20** სერიალი **"ასულ ტეკილა"** **18.00, 21.00, 04.00** კურიერი **18.15** ჩვენი ეზო **18.25** სერიალი "ლეიტენანტ მარშის კოსმიური მაშველები" **18.50** სერიალი **"მაშველები"** **19.40** სერიალი **"დატყვევებული გულები"** **22.00** ედუარდ შევარდნაძე "ხელისუფლებაში მოსვლა" **22.50** ღამის კურიერი **00.20** სერიალი **"ჯაშუში"** **01.00 2003** წლის უიმბილდონის ყოველდღიური მიმოხილვა **02.00** მხ. ფილმი **"პირველი სისხლი"**. მე-**2** ნ. მთ. რ-ში: სილვესტერ სტალონე. **04.10** კლასიკა

**08.00** ანონსი, მულტფილმი **08.15** აღსავალი **08.20, 10.15, 12.30, 17.20, 17.50, 19.30, 23.30, 01.05** მუსიკა **08.30** მხ.ფ. **"სიყვარულის ისტორია"** **10.20** მხ.ფ. **"პირადი მცველი"** **13.00, 15.00, 17.00, 19.00, 22.00, 22.45** ახალი ამბები **13.10, 18.00** დოკ. ფილმი **14.10** დოკუმენტური ფილმი **17.30** დოკ. სერიალი **20.00** ბურთი და მოედანი **20.30** მხ.ფ. **"შანტაჟი"** **22.15, 23.00** დიალოგი **23.45** მხ.ფ. **"კორუფციონერი"** **01.30** ღამის ფილმი

**08.55, 10.55, 13.55, 15.55, 17.55, 20.55** ქრონიკა **09.05, 13.15, 17.20, 23.55** იმედის მელოდიები **09.30** სერიალი **"იუდას ქალი"** **61**-ე ს. **10.30** ლარის მახე **11.05** სერიალი **"შტოკინგერი"** მე-**13** ს. **12.00, 13.00, 15.00, 17.00, 19.00, 22.00** ქრონიკა **12.10** სერიალი **"გრაფი მონტე-კრისტო"** მე-**3** ს. **13.30** სერიალი **"უკიდურესი ზღვარი"** **14.05** სერიალი **"ეარ ამერიკა"** მე-**24** ს. **15.15** ფანების კინოკლუბი **"წმინდა წელიწადი"** **17.30** X-კლუზივი **18.05** სერიალი **"იუდას ქალი"** **19.30** სერიალი **"გრაფი მონტე-კრისტო"** **20.30** სპორტ. პროგრამა "გოლი" **21.05** სერიალი **"ეარ ამერიკა"** **23.00** სერიალი **"ეროვნული უშიშროების აგენტი"** **23.55** კინო-ნოსტალგია **"ფრთხილად, ლა ტურ"**

**09.00** საინფ. გამოშვება "მზერა" (გან) **11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 18.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **11.10** დღის კინოდარბაზი **18.30** მულტსერიალი "პრინცესა შეჰერეზადა" **19.00** სერიალი **"მარია ემილია"** **20.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **20.45** მხ. ფილმი **"უარესი რაღა გინდა"** **22.45** საინფ. გამოშვება "ღამის მზერა" **23.45** მხ. ფილმი **"იმცვალებულს დენვერში რაღა ესაქმება"**

**12.00** ინდური მხ. ფილმი **"მზიური დინასტია"** **15.00** მხ. ფილმი **"როგორ გაძდა პრინცესა"** **17.00, 19.00, 20.30, 00.00** საინფორმაციო პროგრამა "დღეს" **17.15** მხ. ფილმი **"ჯუმანჯი"** **19.20** სპექტრი **21.00** მხ. ფილმი **"ტიტანიკი"**

**10.30** ჩვენ ვსწავლობთ კომპიუტერს, რუსული ენის გაკვეთილი, ინგლისური ენის გაკვეთილი **12.00** "ვარსკვლავები გვამცნობენ" **13.00** საბავშვო მუსიკალური კოლაჟი **14.00** მხ. ფილმი **15.00, 21.00** ვესტი **15.30** ფილმის გაგრძელება **18.00** ჩვენ ვსწავლობთ კომპიუტერს, რუსული ენის გაკვეთილი, ინგლისური ენის გაკვეთილი **19.30** ექსტრაორდინალური **20.30** მუსიკალური პაუზა **21.30** ტალანტები და თაყვანისმცემლები **22.30** პირველი ნაბიჯები **23.00** ინდური მხ. ფილმი **"გამოფხიზლება"**

**08.00** მუსიკა **09.00** ტოროლა **12.00** ფილმი **14.00** მუსიკა **16.00** ფილმი **"ბუნდი"** მთ. რ-ში ბერტ რეინოლდსი. **18.00, 19.15** ქართული მუსიკა **19.00, 20.00, 21.00, 22.00** ინფორმატორი **19.30, 20.15** ვიდეორადიო **20.50** ათი ლექსი **21.15** უცხოური მუსათეული **22.35** პაპარაცი **23.00** აბა გამოიცანი კადრი **00.00** "ბრავო" **"მოწყალე და დაიძაბა"** მთ.რ-ში კიმ ბესინჯერი. **01.40** "ღამურა" **"როგორც თევზი უწყლოდ"** მთ.რ-ში მონიკა ბელუჩი. **03.45** პაუზის გარეშე

**08.00** პროგრამა "დილა" **10.00** მხ. ფილმი **"შეყვარებული სიბლერა"** **11.40** მულტფილმი "ზღაპარი მზეთუნახავსა და მეცეზე" **12.30, 15.20, 17.20** მუსიკა **12.40** მხ.სერიალი **"რუსი ამორძალები"** 1-ლი ს. **13.50** "ისტატუში" - მესამე **14.00** "ბელისიმო" - საქართველოს კონკურსი **14.15** "ჩემი ქვეყანა" – "ბატონი სოკრატე" **14.30, 17.30, 20.30, 00.00** დღის ამბები **14.50** "მსოფლიო ფეხბურთი" **15.40** მულტფილმი "სამი მუშკეტერი" **16.30** დოკ. ფილმი "ნაციონალური გეოგრაფიული საზოგადოება" **18.05** სერიალი **"ალექს მაკის საიდუმლო სამყარო"** **18.30** მულტსერიალი "სიმბა - მეფე ლომი" **19.00** სერიალი **"მოჯადოება"** **20.00** გადაცემა "მსოფლიო რაგბი" **21.15** სერიალი **"სირინოზები"** მე-**26** ს. **22.00** გადაცემა "ღამის მატარებელი" **00.20** მხ.ფილმი **"თქვენთან წერილია"**.

**08.00, 03.00** საინფორმაციო დაიჯესტი **08.20** დოკუმენტური ფილმი **09.00, 12.00, 16.00** საინფორმაციო გამოშვება **09.10** სათავგადასავლო ფილმი **"ზევსი და როქსანა"** **10.45, 14.20** მუსიკა **11.00** დოკუმენტური ფილმი **12.10** ისტორიული ფილმი **"ჰენრი მე-8"** **14.35** კომედია **"კავშირი შეწყვეტილია"** **16.10, 19.20, 22.20, 00.20** საინფორმაციო გამოშვება "ნოვოსტი" **16.20** მულტფილმი "ქალთევზა – II" **17.30** თრილერი **"შავი არწივი"** **19.00, 22.00, 00.00** საინფორმაციო გამოშვება "დღეს" **19.30, 22.40** მუსიკა **20.00** ისტორიული ფილმი **"სამეფო წყალობა"** **23.00** "ალტერნატივა" **00.40, 01.00** მუსიკა **00.45** საინფორმაციო გამოშვება ინგლისურ ენაზე **00.50** საინფორმაციო გამოშვება გერმანულ ენაზე **00.55** საინფორმაციო გამოშვება ფრანგულ ენაზე **01.25** თრილერი **"ვეფხვების ქვეყანა"** **03.20** დოკუმენტური ფილმი **04.10** თრილერი **"მერია"**

## სამშაბათი
### 24 ივნისი

**07.30** ალიონი **09.45** მულტსერიალი "დაკარგული სამყაროს თავგადასავალი" **10.15** მხ. ფილმი **"ორმო"** **12.00, 15.00, 20.00** მოამბე **12.15** ტელესერიალი **"ეშმაკუნა"** **13.00** ლერერის შოუ **14.00** ტელესერიალი **"ცისფერი ველოსიპედი"** **15.15** მხ. ფილმი **"ბიჭები სტადიონზე"** **16.50** ტელესერიალი **"ძილის წინ"** **17.05** შემეცნებითი ფილმი "ქვეყანა, ქვეყნები" **17.30** საქართველო და გარე სამყარო **18.00** ვესტნიკი **18.20** დოკ. სერიალი "აფრიკის ბუნება" **18.30** ბასტი-ბუბუ **18.50** პალიტრა **19.20** ტელეთამაში "იმღერე რამე" **21.05** ტელესერიალი **"ეშმაკუნა"** **21.55** სათავეებთან **22.35** ტელესერიალი **"ძილის წინ"** **23.00** "რა ხდება?" **00.00** მხ. ფილმი **"სიკვდილი არავის უნდოდა"**.

**19.00, 22.00** "მოამბე" მეორე არხზე **19.10** მულტფილმი **19.30** ზღაპარ იყო **19.40** სერიალი **"რვაფეხა"** **20.30** დოკ. ფილმი **21.00** გლობუსი **21.30** ასპარეზი **22.10** მხ. ფილმი **"უკანასკნელი რელიქვია"**

**07.00** მუსიკა **07.30** სერიალი "ლეიტენანტ მარშის კოსმიური მაშველები" **08.00** დილა მშვიდობისა **09.40** სერიალი **"ასულ ტეკილა"** **10.20** დოკ. ფილმი "მეოცე საუკუნე" **11.10** სერიალი **"ჯაშუში"** **12.00, 15.00** კურიერი **12.15** სერიალი **"დატყვევებული გულები"** **13.30** მხ. ფილმი **15.20** მხ. ფილმი **17.00 2003** წლის უიმბილდონის ყოველდღიური მიმოხილვა **18.00, 21.00, 04.00** კურიერი **18.20** სერიალი "ლეიტენანტ მარშის კოსმიური მაშველები" **18.45** დოკ. ფილმი "ბუნება" **19.15** პერეკროსტოკი **19.40** სერიალი **"დატყვევებული გულები"** **22.00** ედუარდ შევარდნაძე "პირველი მდივანი" **1**-ლი ნ. **22.50** ღამის კურიერი **00.20** სერიალი **"სექსი დიდ ქალაქში"** **01.00 2003** წლის უიმბილდონის ყოველდღიური მიმოხილვა **02.00** მხ. ფილმი **"მოსამართლე და მკვლელი"** მთ. რ-ში: ფილიპ ნუარე. **04.10** კლასიკა

**08.00** ანონსი, აღსავალი **08.05** დიალოგი **10.35** ბურთი და მოედანი **10.50** მხ. ფილმი **"შანტაჟი"** **12.30** დოკ. ფილმი **13.00, 15.00, 17.00, 19.00, 22.00, 22.45** ახალი ამბები **13.10, 18.00** დოკ. ფილმი **14.10, 17.20, 19.30, 21.45, 00.55** მუსიკა **15.15** მხ. ფილმი **"კორუფციონერი"** **17.30** მულტფილმი **20.00** მხ.ფ. **"მოხუცი ნედის სიურპრიზი"** **22.15, 23.00** დიალოგი **23.45** მხ. ფილმი **"მართლმსაჯულების მხედრები"** **1**-ლი ნ. **01.10** ღამის ფილმი

**08.55, 10.55, 13.55, 15.55, 17.55, 20.55** ქრონიკა **09.05, 13.15, 17.20, 23.55** იმედის მელოდიები **09.30** სერიალი **"იუდას ქალი"** **10.30** სპორტ. პროგრამა "გოლი" **11.05** დოკ. სერიალი "ბრძოლა გადარჩენისთვის" **12.00, 13.00, 15.00, 17.00, 19.00, 22.00** ქრონიკა **12.10** სერიალი **"გრაფი მონტე-კრისტო"** **13.30** სერიალი **"უკიდურესი ზღვარი"** **14.05** სერიალი **"ეარ ამერიკა"** **15.15** კინონოსტალგია **"ჟანდარმი ნიუ-იორკში"** **17.30** დოკ. სერიალი "ისტორიის ერთი კვირა" მე-**16**ს. **18.05** სერიალი **"იუდას ქალი"** **19.30** სერიალი **"გრაფი მონტე-კრისტო"** **20.30** ლარის მახე **21.05** სერიალი **"ეარ ამერიკა"** **23.00** სერიალი **"ეროვნული უშიშროების აგენტი"** **23.55** მძაფრსიუჟეტიანი კინო **"განგსტერები"**

**09.00** "ღამის მზერა" (გან) **10.00** სერიალი **"მარია ემილია"** **11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 18.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **11.10** დღის კინოდარბაზი **18.30** მულტსერიალი "პრინცესა შეჰერეზადა" **19.00** სერიალი **"მარია ემილია"** **20.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **20.45** მხ. ფილმი **"გზაჯვარედინი"** **22.45** საინფ. გამოშვება "ღამის მზერა" **23.45** მხ. ფილმი **"12 მაიმუნი"**

**12.00** მხ. ფილმი **"ტიტანიკი"** **15.00** მხ. ფილმი **"გასეირნება ამერიკაში"** **17.00, 19.00, 20.30, 00.00** საინფორმაციო პროგრამა "დღეს" **17.15** მხ. ფილმი **"მარტის კატები"** **19.20** სპექტრი **21.00** მხ. ფილმი **"ბოლერო"**

**10.30** ჩვენ ვსწავლობთ კომპიუტერს, რუსული ენის გაკვეთილი, ინგლისური ენის გაკვეთილი **12.00** დოკ. ფილმი "ფანჯარა ევროპაში" **12.30** სალონი **14.00** საბავშვო მუსიკალური კოლაჟი **15.00, 21.00** ვესტი **18.00** ჩვენ ვსწავლობთ კომპიუტერს, რუსული ენის გაკვეთილი, ინგლისური ენის გაკვეთილი **19.30** "სალონი" **21.30** "სპორტის სამყარო" **22.30** სტუდია "ეკონომისტი" **23.30** მუსიკალური პაუზა **23.45** ტელესერიალი **"ყაყახანა"**

**08.00** მუსიკა **09.00** ტოროლა **12.00** ფილმი **14.00** მუსიკა **16.00** ფილმი **"ძერა ქალი"** მთ. რ-ში რიზ უიზერსპუნი. **18.00, 19.15** ქართული მუსიკა **19.00, 20.00, 21.00, 22.00** ინფორმატორი **19.30, 20.15** ვიდეორადიო **20.50** ათი ლექსი **21.15** უცხ. მუსათეული **22.35** მუსიკა **23.00** სველი ხაზი **00.00** "ბრავო" **"შიმშილი"** მთ. რ-ში კატრინ დენევი. **01.40** "ღამურა" **"სექსი, სიცრუე, სიგიჟე"** მთ. რ-ში ჯეიმს სპეიდერი. **03.45** პაუზის გარეშე

